

სექტემბერი, 2021წ.

წინამდებარე ვერსია
ანაცვლებს 2021 წლის
ივნისის ვერსიას

დანერგვის სახელმძღვანელო

ხარისხის მართვის საერთაშორისო
სტანდარტი (ხმსს) 1 - ხარისხის მართვა
ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ
ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან
მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და
დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს

IAASB

International Auditing
and Assurance
Standards Board

დანერგვის სახელმძღვანელო

ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 1 -
ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური
ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და
დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს

შინაარსი

შესავალი.....	3
ხარისხის მართვის სისტემაზე პასუხისმგებლობა.....	14
ფირმის რისკის შეფასების პროცესი.....	17
მმართველობა და ხელმძღვანელობა	33
სათანადო ეთიკური მოთხოვნები.....	36
დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება	39
გარიგების შესრულება.....	41
რესურსები.....	43
ინფორმაცია და კომუნიკაცია.....	55
საპასუხო ზომების განსაზღვრა.....	60
მონიტორინგისა და რეგულირების პროცესი.....	63
ქსელის მოთხოვნები ან ქსელის მომსახურება.....	82
ხარისხის მართვის სისტემის შეფასება	87
დოკუმენტაცია.....	94

წინამდებარე პუბლიკაცია მომზადებულია აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) პერსონალის მიერ. სტანდარტის დანერგვის სახელმძღვანელოს მიზანია ხმსს 1-ის მოთხოვნების გაგებასა და გამოყენებაში აუდიტორების დახმარება. იგი არ წარმოადგენს IAASB-ის ოფიციალურ დოკუმენტს, არც ცვლის და არც უგულებელყოფს ხმსს 1-ს, რომლის ტექსტიც წარმოადგენს ოფიციალურ დოკუმენტს. გარდა ამისა, ეს პუბლიკაცია არ არის ამომწურავი და მასში განხილული ნებისმიერი მაგალითი მხოლოდ საილუსტრაციო მიზნებისთვის არის განკუთვნილი. ამ სახელმძღვანელოს გაცნობა ვერ ჩაანაცვლებს ხმსს 1-ის გაცნობას.

შესავალი

რა არის ხმსს 1



ხმსს 1, პ. 16(ე)

IAASB-ის გარიგების სტანდარტების შესაბამისად, ფირმები შესაძლოა სხვადასხვა სახის გარიგებებს ასრულებდნენ, როგორიცაა:

- ასსს-ების¹ (ISAs) და მგსს-ების² (ISREs)-ს შესაბამისად შესრულებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან მიმოხილვა;
- მგსს-ების³ (ISAEs) შესაბამისად შესრულებული მარწმუნებელი გარიგებები, გასული პერიოდების ფინანსური ინფორმაციის აუდიტისა და მიმოხილვის გარდა (მაგალითად, მარწმუნებელი გარიგება გაფართოებულ გარე ანგარიშგებაზე ან მარწმუნებელი გარიგება მომსახურე ორგანიზაციების კონტროლის მექანიზმების შესახებ); ან
- დმსს-ების⁴ (ISRSs) შესაბამისად შესრულებული დაკავშირებული მომსახურების გარიგებები (ე.ი. გარიგებები მეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე და კომპილაციური გარიგებები).

IAASB-ის გარიგების სტანდარტები ეხება ზემოაღნიშნული გარიგებების შესრულებას, მათ შორის გარიგების პარტნიორისა და გარიგების გუნდის პასუხისმგებლობას. ეს სტანდარტები შემუშავებულია იმის საფუძველზე, რომ ფირმაზე ვრცელდება ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტები (ხმსს 1 და ხმსს 2⁵), ან ისეთი ეროვნული მოთხოვნები, რომლებიც ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებზე არანაკლებ მკაცრია.

ხმსს 1 ეხება ფირმის პასუხისმგებლობას ხარისხის მართვის სისტემის ქონასთან დაკავშირებით. ხარისხის მართვის სისტემა არის მექანიზმი, რომელიც კმნის გარემოს, რომელიც გარიგების გუნდებს საშუალებას აძლევს და ეხმარება მაღალი ხარისხის გარიგებების შესრულებაში, ხოლო ფირმებს ეხმარება შესაბამისი გარიგების ხარისხის მიღწევაში, რადგან მიმართულია ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების ხარისხის მართვაზე.

ხმსს 1-მა ჩაანაცვლა მოქმედი ხსსს 1 - „ხარისხის კონტროლი ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვას და სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“.



ეს სიმბოლო სახელმძღვანელოში გამოიყენება ხმსს 1-ის პუნქტების მისათითებლად.



ეს ბლოკი და სიმბოლო სახელმძღვანელოში გამოიყენება ხმსს 1-ის მაგალითების გამოსაყოფად.

არსებულ სტანდარტში (ხსსს 1) შესული ძირითადი ცვლილებები

ხმსს 1 მიზნად ისახავს ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ქმედუნარიანობის ამაღლებას. იგი ფირმას ავალდებულებს, უზრუნველყოს ისეთი ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება. რომელიც მიესადაგება ფირმის და მის მიერ შესრულებული გარიგებების ბუნებას და გარემოებებს. გარდა ამისა, ფირმას ავალდებულებს, ხსსს 1-ით მოთხოვნილი, ცალკეულ ელემენტებზე ფოკუსირებული პოლიტიკიდან და პროცედურებიდან ხარისხის მართვის ინტეგრირებულ მიდგომაზე გადასვლას, რომელიც მთელ სისტემას ასახავს. ძირითადი ცვლილებები მოიცავს:

- ხარისხის მართვის უფრო პროაქტიულ და ფირმის სპეციფიკაზე მორგებულ მიდგომას, რომელიც ფოკუსირებულია ხარისხის მიზნების მიღწევაზე, ამ მიზნებთან დაკავშირებული რისკების გამოვლენისა და მათზე რეაგირების გზით;



ეს სიმბოლო სახელმძღვანელოში გამოიყენება ამაჟამად მოქმედ ხსსს 1-ში განხორციელებული ცვლილებების წარმოსაჩენად.

¹ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები.

² მიმოხილვის გარიგებების საერთაშორისო სტანდარტები.

³ მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტები.

⁴ დაკავშირებული მომსახურებების საერთაშორისო სტანდარტები.

⁵ ხმსს 2, გარიგების ხარისხის მიმოხილვა.

- ფირმის მმართველობისა და ხელმძღვანელობის მიმართ გაზრდილ მოთხოვნებს, მათ შორის ხელმძღვანელობის გაზრდილ პასუხისმგებლობას;
- გაფართოებულ მოთხოვნებს, სტანდარტის მოდერნიზებისა და ფირმის გარემოზე მოქმედი ფაქტორების ასახვის მიზნით, მათ შორის მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ტექნოლოგიებს, ქსელებს და გარე მომსახურების პროვაიდერების გამოყენებას;
- ახალ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება ინფორმაციასა და კომუნიკაციას, მათ შორის გარე მხარეებთან კომუნიკაციას;
- მონიტორინგის და რეგულირების მიმართ გაზრდილ მოთხოვნებს, რათა ხელი შეეწყოს ხარისხის მართვის სისტემის უფრო პროაქტიულ მონიტორინგსა და ნაკლოვანებების ეფექტურ და დროულ გამოსწორებას.



ხმსს 1, პუნქტები:
5, 19 და 30

ხმსს 1-ის მოქმედების სფერო, რამდენადაც ის ფირმაში გამოიყენება

ხმსს 1 ვრცელდება ყველა ფირმაზე, რომელიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი ან დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს ასრულებს. თუ ფირმა ასრულებს **რომელიმე** ზემოაღნიშნულ გარიგებას, მაშინ ხმსს 1 მასზე ვრცელდება.

იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმა ასრულებს სხვა სახის გარიგებებს, რომელიც არ რეგულირდება IAASB-ის გარიგების სტანდარტებით (მაგ.: საგადასახადო ან საკონსულტაციო მომსახურებას), ხმსს 1 არ მოითხოვს, რომ ხარისხის მართვის სისტემა ამგვარ გარიგებებზეც გავრცელდეს.

მიუხედავად ამისა, ხმსს 1-მა შესაძლოა გავლენა იქონიოს ფირმის საოპერაციო გარემოზე (მაგ., საინფორმაციო ტექნოლოგიური სისტემები და ადამიანური რესურსები), სხვა გარიგებებზე, რომლებიც არ არის IAASB-ის გარიგების სტანდარტების შესაბამისად შესრულებული გარიგებები, ან ფირმის პერსონალზე, რომელიც ჩართული არ არის IAASB-ის გარიგების სტანდარტების შესაბამისი გარიგებების შესრულებაში. ეს იმით აიხსნება, რომ ხმსს 1 ხარისხის მართვას არ განიხილავს როგორც ფირმის განცალკევებულ ფუნქციას. ამის ნაცვლად, ხარისხის მართვის ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, ხმსს 1 ხელს უწყობს ხარისხის მართვის ინტეგრირებას ფირმის კულტურაში, ფირმის სტრატეგიაში, საოპერაციო საქმიანობასა და ბიზნესპროცესებში. გარდა ამისა, ფირმის ხარისხის მართვის სისტემა შესაძლოა გავრცელდეს ფირმის სხვა მიმართულებებზეც, კანონების, რეგულაციების ან სათანადო ეთიკური მოთხოვნების დაცვის მიზნით.

მაგალითები იმისა, თუ როგორ შეიძლება ფირმის ხარისხის მართვის სისტემამ გავლენა იქონიოს ფირმის საქმიანობის სხვა ასპექტებზე


- ხმსს 1 ფირმას ავალდებულებს, დაადგინოს ხარისხის მიზანი, რომლითაც „ფირმა ხარისხის მიმართ ერთგულებას წარმოაჩენს იმ კულტურის მეშვეობით, რომელიც არსებობს მთელ ფირმაში“. გარდა ამისა, იგი ეხება ისეთი კულტურის საჭიროებას, რომელიც აღიარებს და განამტკიცებს „ხარისხის მნიშვნელობას ფირმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში, მათ შორის ფირმის ფინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებში.“ შესაბამისად, ფირმის სტრატეგიაში, გადაწყვეტილებებში, მიზნებსა და რესურსების მართვაში უნდა გამოიხატოს ხარისხისადმი ერთგულება.
- ხმსს 1 ეხება ადამიანურ და ტექნოლოგიურ რესურსებს. შედეგად, ხარისხის მართვის სისტემამ შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფირმის საინფორმაციო ტექნოლოგიებისა (სტ) და ადამიანური რესურსების ფუნქციაზე.
- ხმსს 1 ეხება რესურსების საჭიროებებსა და დაგეგმვას, მათ შორის რესურსების მოზიდვას, განაწილებას ან გამოყოფას. აღნიშნული გავლენას ახდენს ფირმის რესურსების, მათ შორის ფინანსური რესურსების გამოყენებაზე.

- ხმს1 ეხება სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესრულებას. სათანადო ეთიკური მოთხოვნების დებულებების გათვალისწინებით, ფირმას შეიძლება დასჭირდეს ისეთი პოლიტიკისა და პროცედურების დადგენა და განხორციელება, რომლებიც:
 - ☒ კრძალავს გარკვეული არამარწმუნებელი მომსახურების გაწევას იმ დამკვეთებისთვის, რომლებიც საზოგადოებრივი დაინტერესების პირები არიან და რომელთათვისაც ფირმა ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას ატარებს;
 - ☒ უკრძალავს ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და მიმოხილვის, ან სხვა სახის მარწმუნებელი გარიგებების შესრულებაში ჩართულ პერსონალს, ასევე ფირმის სხვა იდენტიფიცირებულ პირებს, ჰქონდეთ გარკვეული ფინანსური ინტერესი იმ სუბიექტებში, რომლისთვისაც ამგვარი გარიგებები სრულდება.
- ამგვარმა პოლიტიკამ ან პროცედურებმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ფირმის იმ ბიზნესერთეულებზე, რომლებიც სხვა მომსახურებას ასრულებენ (ე.ი. არ მონაწილეობენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტსა და მიმოხილვაში, ან სხვა სახის მარწმუნებელ გარიგებებში) და პირებზე, რომლებიც აღნიშნულ ბიზნესერთეულებში მუშაობენ.

 ხმს 1, პუნქტები: 14-15, 16(ბ) და გ5

ხმს 1-ის მიზანი

ხმს 1-ის მე-14 პუნქტში აღწერილია ფირმის მიზანი ხარისხის მართვასთან დაკავშირებით, რაც მდგომარეობს ხარისხის მართვის სისტემის შექმნაში, დანერგვასა და ფუნქციონირებაში. როგორც შიდა კონტროლის ყველა სისტემას, ხარისხის მართვის სისტემასაც უნდა ჰქონდეს მიზანი. მიზანი მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის სისტემის შექმნისა და იმის განსაზღვრისათვის, ეფექტურია თუ არა ხარისხის მართვის სისტემა (ე.ი. მიღწეულია თუ არა მიზანი). ამგვარად, ხმს 1-ის მე-14 პუნქტში განსაზღვრულია როგორც ფირმის, ისე ხარისხის მართვის სისტემის მიზანი.





ხარისხის მართვის სისტემის მიზანი ცალსახად არის ასახული ხმს 1-ის მოთხოვნებში შემდეგნაირად:

- იგი გამოიყენება ფირმის მიერ, რათა განსაზღვროს, საჭიროა თუ არა დამატებითი ხარისხის მიზნების დადგენა (ხმს 1-ის 24-ე პუნქტი).
- იგი გამოიყენება იმის დასადგენად, უზრუნველყოფს თუ არა ხარისხის მართვის სისტემა ფირმას დასაბუთებული რწმუნებით იმისა, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიღწეულია (ხმს 1-ის 54-ე პუნქტი).

ხმს 1-ში განმარტებულია, რომ დასაბუთებული რწმუნება არ არის რწმუნების აბსოლუტური დონე, რადგან ფირმის ხარისხის მართვის სისტემას თანდაყოლილი შეზღუდვები ახასიათებს. ამგვარ შეზღუდვებს განეუთვნება მაგალითად ის ფაქტი, რომ ადამიანის განსჯა გადაწყვეტილებების მიღებისას შესაძლოა მცდარი იყოს და ფირმის ხარისხის მართვის სისტემის მუშაობა შეფერხდეს, მაგალითად, ადამიანის ქცევის ან შეცდომის, ანდა სტ გამოყენებითი პროგრამების გაუმართაობის/ხარვეზების გამო.

ხმს 1-ის ურთიერთკავშირი ხმს 2-სა და ასს 220-თან (გადასინჯული)⁶



ხმს 1, პუნქტები:
2-3, გ1

ხმს 1:
ხარისხის მართვა
ფირმის დონეზე

ხმს 1 ფირმას ავალდებულებს, უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების ხარისხის მართვის მიზნით.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემა ქმნის გარემოს, რომელიც გარიგების გუნდებს საშუალებას აძლევს და ხელს უწყობს მაღალი ხარისხის გარიგებების შესრულებას.

ხმს 2:
გარიგების ხარისხის
მიმოხილვა

გარიგების ხარისხის მიმოხილვები ფირმის ხარისხის მართვის სისტემის ნაწილია. ხმს 2 ეფუძნება ხმს 1-ს და აწესებს კონკრეტულ მოთხოვნებს, რომლებიც ეხება:

- გარიგების ხარისხის მიმოხილველის დანიშვნასა და უფლებამოსილებას;
- გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესრულებას; და
- გარიგების ხარისხის მიმოხილვის დოკუმენტაციას.

ასს 220 (გადასინჯული)
ხარისხის მართვა
გარიგების დონეზე

ასს 220 (გადასინჯული) ეხება აუდიტორის პასუხისმგებლობას გარიგების დონეზე ხარისხის მართვასთან დაკავშირებით და ასევე გარიგების პარტნიორის შესაბამის პასუხისმგებლობას.

ეს სტანდარტი გამოიყენება ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის.

⁶ ასს 220 (გადასინჯული), ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ხარისხის მართვა.

ფირმა პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე. ხარისხის მართვის სისტემის გარკვეული ასპექტები შესაძლოა დაინერგოს და ფუნქციონირებდეს გარიგების დონეზე, თუმცა, ფირმა მაინც პასუხისმგებელია ხარისხის მართვის სისტემაზე. ხარისხის მართვის სისტემის ცალკეული ასპექტები რა დონეზე დაინერგება და იფუნქციონირებს გარიგების დონეზე, დამოკიდებულია ფირმის ხასიათზე, გარემოებებსა და მის მიერ შესრულებულ გარიგებებზე.



ხმს 1-ის გ50 პუნქტში განხილულია იმ საპასუხო ზომების მაგალითი, რომლებიც მოქმედებს ფირმის და გარიგების დონეზე.



ნებისმიერი ფირმა, მოუხედავად ზომისა, ვალდებულია დაიცვას ხმს 1 და, შესაბამის შემთხვევაში, ხმს 2. გარიგების გუნდები, რომლებიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ატარებენ, ვალდებული არიან, დაიცვან ასს 220 (გადასინჯული). ხარისხის მართვის სისტემის ზოგიერთ ასპექტთან დაკავშირებით, შედარებით პატარა ფირმას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ აუცილებელი არ არის ფირმის დონის საპასუხო ზომების დანერგვა და, ამის ნაცვლად, შეიმუშაოს და განახორციელოს ისეთი საპასუხო ზომები, რომლებიც მოქმედებს გარიგების დონის ხარისხის მართვის პარალელურად.

ძალაში შესვლის თარიღი



ხმს 1, პუნქტი: 13

ფირმა ვალდებულია, ხმს 1-ის შესაბამისი ხარისხის მართვის სისტემა შექმნილი და დანერგილი ჰქონდეს 2022 წლის 15 დეკემბრისთვის, ხოლო ხარისხის მართვის სისტემის შეფასება ხმს 1-ის 53-54 პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად სავალდებულოა 2022 წლის 15 დეკემბრიდან ერთი წლის მანძილზე.

ეს ნიშნავს, რომ 2022 წლის 15 დეკემბრისთვის მოსალოდნელია, რომ ფირმამ უნდა:

- (ა) დაადგინოს ხარისხის მიზნები, განსაზღვროს და შეაფასოს ხარისხის რისკები და შეიმუშაოს და დანერგოს საპასუხო ზომები; და
- (ბ) შეიმუშაოს და დანერგოს მონიტორინგის ღონისძიებები.

საპასუხო ზომების დამონიტორინგის ღონისძიებების განხორციელების დაწყება მოითხოვება მხოლოდ 2022 წლის 15 დეკემბრის შემდეგ.

ნებადართულია ხმს 1-ის ვადამდელი გამოყენება, თუმცა ფირმა ვალდებულია, ერთდროულად შემოიღოს სამოქმედოდ ხარისხის მართვის სამივე სტანდარტი.



IAASB-მ გამოაქვეყნა ვიდეო, რომელშიც განხილულია პრაქტიკული პერსპექტივები, რომლის შესახებაც შეუძლია იფიქროს ფირმამ დანერგვისთვის მზადებისას. (დააწკაპუნეთ ამ ბმულზე)



იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმა ბაზარზე ახალია და გარიგებების შესრულებას ხმს 1-ის ძალაში შესვლის თარიღის შემდგომ იწყებს, ფირმა ვალდებულია ჰქონდეს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც შექმნილი და დანერგილი იქნება იმ დროისთვის, როდესაც ფირმა დაიწყებს IAASB-ის „გარიგების სტანდარტების“ შესაბამისად გარიგებების შესრულებას. საპასუხო ზომები და მონიტორინგის ღონისძიებებიც უნდა ამოქმედდეს იმავე თარიღიდან.

მაგალითები იმისა, თუ როგორ შეუძლია ფირმას პრაქტიკულად ხმს 1-ის დანერგვა

- ძალაში შესვლის თარიღამდე, ფირმას შეუძლია დანერგვის ეტაპობრივ მეთოდს მიმართოს. მაგალითად, ეს შეიძლება გულისხმობდეს ხარისხის მართვის სისტემის გარკვეული კომპონენტებისთვის პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებას და დანერგვას და ამ პოლიტიკისა და პროცედურების ამოქმედებას სხვადასხვა ეტაპზე, ხმს 1-ის ძალაში შესვლის თარიღამდე. ამ შემთხვევაში, ფირმა თვითონ დაადგენს თითოეული პოლიტიკის ან პროცედურისათვის ძალაში შესვლის თარიღს.

- ☒ აღნიშნულმა მეთოდმა შესაძლოა შეამციროს მრავალი ცვლილების ერთდროულად განხორციელების ეფექტი.
- ☒ მართალია, სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღამდე ფირმამ შეიძლება დანერგოს გარკვეული პოლიტიკა ამ პროცედურები, მაგრამ არ მიიჩნევა, რომ ეს ფირმა ხმს 1-ს „ვადაზე ადრე იყენებს“, რადგან ახალი ხარისხის მართვის სისტემის მხოლოდ ნაწილი იქნება დანერგილი.
- ფირმას შეუძლია ყველა ახალი და გადასინჯული პოლიტიკისა და პროცედურების ამოქმედება დაიწყოს სტანდარტის ძალაში შესვლის თარიღისთვის.
- ფირმას შეუძლია ახალი ხარისხის მართვის სისტემის პილოტირება ან ტესტირება ძალაში შესვლის თარიღამდე. პილოტირება ან ტესტირება შეიძლება ჩატარდეს ხარისხის მართვის სისტემის გარკვეულ მიმართულებებზე ან გარიგების გუნდების შერჩევით.
- ☒ ხარისხის მართვის სისტემა ამოქმედებულად არ მიიჩნევა მანამ, სანამ ფირმა ახალ ხარისხის მართვის სისტემას ოფიციალურად არ დანერგავს და მთლიანად არ ამოქმედებს.



თუ ფირმა ამჟამად იცავს ხსს 1-ის მოთხოვნებს, მას პოლიტიკა და პროცედურები უკვე მზად ექნება. ეს პოლიტიკა და პროცედურები შესაძლოა მაინც რელევანტური და მისაღები იყოს ფირმის ახალი ხარისხის მართვის სისტემისთვის, ან შესაძლოა გადასინჯვა და გაუმჯობესება დასჭირდეს, რათა შეესაბამებოდეს ახალ ხარისხის მართვის სისტემას. მართალია, არსებული პოლიტიკა და პროცედურები შეიძლება რელევანტური და მისაღები დარჩეს, მაგრამ ფირმას მაინც დასჭირდება ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, რომელიც ხმს 1-თან იქნება შესაბამისობაში.

ხმს 1-ის სტრუქტურა და კომპონენტები



ხმს 1, პუნქტები:
6 და 63

ხმს 1 შედგება:

- რვა ერთმანეთთან დაკავშირებული კომპონენტისგან, რომელიც ეხება ხარისხის მართვის სისტემის ძირითად ასპექტებს; და
- სხვა მოთხოვნებისგან, რომლებიც კონკრეტულ თემებზე/ასპექტებზეა მიმართული.

ფირმა ვალდებულია შეასრულოს ხმს 1-ის ყველა მოთხოვნა, მათ შორის კომპონენტებში მოცემული მოთხოვნები.

ფირმა ვალდებული არ არის რვა კომპონენტის მიხედვით შექმნას ხარისხის მართვის სისტემა და შეუძლია ამჯობინოს განსხვავებული ტერმინო-ლოგიის ან საფუძვლების გამოყენება ხარისხის მართვის სისტემის კომპონენტების აღწერისთვის.



ამჟამად არსებული ხსს 1 მოიცავს ექვს კომპონენტს, რომლისთვისაც ფირმას სჭირდება პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავება.

ხმს 1-ს აქვს რვა კომპონენტი. ხმს 1-ის კომპონენტები აერთიანებს ამჟამად არსებული ხსს 1-ის ელემენტებს, მათ შორის, ორ ახალ კომპონენტსაც:

- ფირმის რისკის შეფასების პროცესს; და
- ინფორმაციას და კომუნიკაციას.

ხმს 1-ის რვა კომპონენტის მიმოხილვა		
ფირმის რისკის შეფასების პროცესი	ფირმის მიერ ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში დანერგილი პროცესი	- პროცესი, რომელიც ფირმამ უნდა დაიცვას/გამოიყენოს ხარისხის მართვის რისკზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვისას. - მოიცავს ხარისხის მიზნების დადგენას, ხარისხის რისკების გამოვლენას და შეფასებას ხარისხის მიზნების მიღწევის მიზნით და აღნიშნულ რისკებზე რეაგირებისთვის საპასუხო ზომების განსაზღვრას და განხორციელებას.
მმართველობა და ხელმძღვანელობა	აყალიბებს გარემოს, რომელშიც ხარისხის მართვის სისტემა მოქმედებს	ეხება ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფირმის კულტურა, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, ფირმის ორგანიზაციული სტრუქტურა, თუნქიებისა და ვალდებულებების განაწილება და რესურსების დაგეგმვა და განაწილება.
სათანადო ეთიკური მოთხოვნები	კონკრეტული საკითხი, რომელიც ფუნდამენტურია გარიგების შესრულებისთვის	- ეხება სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესრულებას ფირმისა და მისი პერსონალის მიერ - ასევე განიხილავს სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს. რამდენადაც იგი ზრახვობა ფირმის კარიერებზე.
დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება	კონკრეტული საკითხი, რომელიც ფუნდამენტურია გარიგების შესრულებისთვის	ეხება ფირმის განსჯას და მიღებულ გადაწყვეტილებებს, დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასთან, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებასთან დაკავშირებით.
გარიგების შესრულება	კონკრეტული საკითხები, რომელიც ფუნდამენტურია გარიგების შესრულებისთვის	- ეხება ფირმის ქმედებას, ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესრულებას, მათ შორის ხელმძღვანელობის, ზედამხედველობის და მიმოხილვის, კონსულტაციების და აზრთა სხვადასხვაობის მეშვეობით. - მოიცავს, თუ როგორ ეხმარება ფირმა გარიგების გონდებს პროფესიულ განსჯაში და, საჭიროების შემთხვევაში, პროფესიული სპეციფიკებით მოქმედებაში, გარიგების ხასიათისა და გარემოებებიდან გამომდინარე.
რესურსები	იძლევა სხვა კომპონენტების ამოქმედების საშუალებას	- ეხება ისეთი რესურსების დროულ მოპოვებას, განვითარებას, გამოყენებას, შენარჩუნებას, განაწილებას და გამოყოფას, რაც ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვის და თუნქიონირების საშუალებას იძლევა. - მოიცავს ტექნოლოგიურ, ინტელექტუალურ და ადამიანურ რესურსებს და ეხება მომსახურების პროვაიდერების გამოყენებას.

ინფორმაცია და კომუნიკაცია	იძლევა სხვაკომპონენტების ამოქმედების საშუალებას	• ეხება ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვებას, შექმნასა და გამოყენებას, ამ ინფორმაციის დროულად გავრცელებას თვრმის თვრგლებში და ასევე გარე მხარეებისთვის მიწოდებას, რათა შესაძლებელი იყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება.
მონიტორინგის და რემედიაციის პროცესი	თვრმის მიერ ხარისხის მართვის სისტემის თვრგლებში დახელოვნილი პროცესი	პროცესი, რომელიც: • დროულად უზრუნველყოფს თვრმას ხარისხის მართვის სისტემის თვრგლების თვრგების შესახებ რელევანტური და საიმედო ინფორმაციით; • ითვალისწინებს ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სათანადო ზომების იმგვარად გატარებას, რომ ნაკლოვანებები დროულად გამოსწორდეს.

როგორც ზემოთ იყო მითითებული, თვრმის რისკის შეფასების პროცესი და მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი მოიცავს **სპეციფიკურ პროცესებს**, რომელთა დაცვაც თვრმას ევალება. დანარჩენი კომპონენტები მოიცავს ხარისხის იმ მიზნებს, რომელთა დადგენაც თვრმას ევალება და რომლებიც ქმნის საფუძველს ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასების და ასევე საპასუხო ზომების განსაზღვრისა და განხორციელებისთვის.

ხმსს 1-ის სხვა მოთხოვნები, რომლებიც ზემოაღნიშნული რვა კომპონენტის გარდა სხვა სპეციფიკურ ასპექტებთან არის დაკავშირებული, ეხება:

- ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობების განაწილება;
- კონკრეტულ საპასუხო ზომებს, რომლის შემუშავება და განხორციელება თვრმას ევალება;
- გარემოებებს, როდესაც თვრმა ქსელის წევრია და იყენებს ქსელის მოთხოვნებს ან ქსელის მომსახურებას თავის ხარისხის მართვის სისტემაში;
- ხელმძღვანელობის მიერ ხარისხის მართვის სისტემის ყოველწლიურ შეფასებასა და ხელმძღვანელობის საქმიანობის შეფასებას; და
- დოკუმენტაციას.

როგორ მუშაობს ხარისხის მართვის სისტემა უწყვეტად და იტერაციულად



ხმსს 1, პუნქტები: 7 და 64

ხმსს 1-ში შეტანილი ძირითადი ცვლილება ის არის, რომ ხარისხის მართვის სისტემამ უნდა იმუშაოს უწყვეტად და იტერაციულად (დინამიკურად) და რეაგირება მოახდინოს თვრმისა და მისი გარემოებების ხასიათსა და გარემოებებში მომხდარ ცვლილებებზე. გარდა ამისა, მართალია, ხმსს 1 „სწორხაზოვნად“ არის დაწერილი, მაგრამ თვითონ ხარისხის მართვის სისტემა არ ფუნქციონირებს სწორხაზოვნად. ეს ნიშნავს, რომ:

- ხმსს 1-ში მოცემული მრავალი კომპონენტი და მოთხოვნა ერთმანეთის კონტექსტში უნდა განიხილებოდეს; და
- თითოეულმა კომპონენტმა ან მოთხოვნამ, შესაძლოა გავლენა მოახდინოს სხვა კომპონენტზე ან მოთხოვნაზე.

კომპონენტების ურთიერთქმედება და სხვაკომპონენტებზე ზეგავლენა განსხვავებული იქნება კომპონენტების განსხვავებული ბუნების გამო.



ეს სიმბოლო სახელმძღვანელოში გამოიყენება ხმსს 1-ის იმ ძირითადი ასპექტების წარმოსაჩენად, რომლებიც სხვა კომპონენტთან ან მოთხოვნასთან არის დაკავშირებული.



ხმსს 1-ის 64 და 111 პუნქტებში აღწერილია კომპონენტების ურთიერთკავშირის მაგალითები.

კომპონენტებისა და მოთხოვნების ურთიერთკავშირის მაგალითები ხმს 1-ში

რისკის შეფასების პროცესი და მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი ფართოდ გამოიყენება ხარისხის მართვის სისტემაში

ფირმის რისკის შეფასების პროცესი არის პროცესი, რომელიც გამოიყენება ხარისხის მიზნების დასადგენად, ხარისხის რისკების გამოსავლენად, შესაფასებლად და საპასუხო ზომების შესაძრავებლად და განსაზოცილებლად. იგი ვრცელდება სხვა კომპონენტებზეც (გარდა მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისა).

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი მონიტორინგს აზოცილებს მთლიან ხარისხის მართვის სისტემაზე და, შესაბამისად, მონიტორინგის ღონისძიებები ზოცილებს ხარისხის მართვის სისტემის ყველა კომპონენტზე (მათ შორის რისკის შეფასების პროცესზე).

მმართველობა და ხელმძღვანელობა აყალიბებს გარემოს, რომელიც ხელს უწყობს ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებას

მაგალითად, თუ ხელმძღვანელობა არ განამტკიცებს ხარისხს და ხელს არ უწყობს იმ ქმედებებს, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხის ამაღლებას, შესაძლოა რთული იყოს ხარისხის მართვის სისტემაში (მაგ.: მონიტორინგის ღონისძიებებში ან კონსულტაციებზე) დასაქმებული პერსონალის დათანხმება ან დაყოლიება, ისე შეასრულონ თავიანთი ფუნქციები, რომ ხელი შეუწყონ ხარისხის ამაღლებას, ზოლო გარიგების გუნდების შემთხვევაში - ხარისხიანად შეასრულონ სამუშაო.

რესურსები და ინფორმაცია და კომუნიკაცია აუცილებელია ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებისთვის

რესურსები საჭიროა სხვა კომპონენტების მხარდასაჭერად, მაგალითად:

- სტ გამოყენებითი პროგრამების სახით წარმოდგენილი ტექნოლოგიური რესურსები, შესაძლოა საჭირო გახდეს დამკვეთებთან ახალი ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგებების დამტკიცების ხელშესაწყობად, ფირმის შესაფერის ღონეზე;
- სახელმძღვანელოები და მითითებები, რომლებიც სათანადო ეთიკური მოთხოვნების დებულებებს შეიცავს (ინტელექტუალური რესურსები), შესაძლოა საჭირო გახდეს სათანადო ეთიკური მოთხოვნების გასაგებად და გასააზრებლად.

ინფორმაცია და კომუნიკაცია საჭიროა სხვა კომპონენტების მხარდასაჭერად, მაგალითად:

- ინფორმაცია საჭიროა გარიგებებისთვის შესაფერისი პერსონალის განსაზღვრის პროცესის გასამართივებლად;
- ინფორმაცია საჭიროა დამკვეთებთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასა და გაგრძელებასთან დაკავშირებით ფირმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასამყარებლად;
- სათანადო ეთიკური მოთხოვნების ინფორმირება აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ პერსონალისთვის ცნობილი იყოს თავისი მოვალეობები სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.

კომპონენტების თვისებები ემთხვევა

მაგალითად, სათანადო ეთიკური მოთხოვნები შესაძლოა მოიცავდეს დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასა და გაგრძელებასთან დაკავშირებულ დებულებებს.

მაგალითად, მმართველობა და ხელმძღვანელობა აგვარებს რესურსების საჭიროებას, უზრუნველყოფს რესურსების დაგეგმვას და მოზიდვას, განაწილებას ან გამოყოფას ისეთნაირად, რომ შერაბამბოლოს ხარისხისადმი ფირმის ერთგულებას.

ერთი კომპონენტის მიმართ საპასუხო ზომის გატარებამ შეიძლება სხვა კომპონენტში გამოიწვიოს ხარისხის რისკი

მაგალითად, გარიგების გუნდებისთვის აუდიტისა და ბუღალტრული აღრიცხვის საკითხებზე კონსულტაციის გაწევის მიზნით ფირმამ შესაძლოა დაიქირავოს მომსახურების პროვაიდერი (ე.ი., ეს არის საპასუხო ზომა რესურსების კომპონენტის, რომელიც ეხება შესაფერისი პირების მიღების საჭიროებას, რათა ამოქმედდეს ხარისხის მართვის სისტემა). მომსახურების პროვაიდერი ფირმას კონსულტაციებისთვის საათობრივი ანაზღაურების გადახდას აკისრებს. კონსულტაციებისათვის მომსახურების პროვაიდერის გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ხარისხის რისკი გარიგების შესრულების კომპონენტში, რადგან ფირმისთვის ხარჯების თავიდან აცილების მიზნით, გარიგების გუნდმა შეიძლება კონსულტაციის გავლის გარეშე სცადონ საკითხის მოგვარება.

საპასუხო ზომები შეიძლება მიესადაგებოდეს მრავალი კომპონენტის ხარისხის რისკებს

მაგალითად, საპასუხო ზომები, რომლებიც ფირმამ შეიმუშავა და გაატარა საჩივრებისა და ბრალდებების გადასაჭრელად, შესაძლოა ეხებოდეს ასევე ხარისხის რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია (i) რესურსების, (მაგალითად, ხარისხისადმი პერსონალის ერთგულება), (ii) სათანადო ეთიკური მოთხოვნების და (iii) მმართველობისა და ხელმძღვანელობის კომპონენტებისთვის დადგენილ ხარისხის მიზნებთან.

როგორ განიხილავს ხმს 1 გრადაციას



ხმს 1, პუნქტები:
10, 16(3) 19 და გ31

ხმს 1 ფირმას ავალდებულებს, რომ ფირმის და მის მიერ შესრულებული გარიგებების ხასიათს და გარემოებებს მოარგოს თავისი ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება. შესაბამისად, ხმს 1-ის მე-19 პუნქტი ფირმას ავალდებულებს, მიმართოს პროფესიულ განსჯას ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირებისას.

მაგალითები, როდესაც ფირმა მიმართავს პროფესიულ განსჯას

დასრულებული გარიგებების ინსპექტირების პოლიტიკისა და პროცედურების შემუშავებისას ფირმა მიმართავს პროფესიულ განსჯას, რათა განსაზღვროს:

- გარიგებების ის მახასიათებლები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს გარიგებების შერჩევა ინსპექტირებისთვის;
- გარიგების პარტნიორების ის მახასიათებლები, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს გარიგების პარტნიორის შესამოწმებლად შერჩევა;
- ციკლურისა და ფუძეული გარიგების პარტნიორების შესარჩევად.

იმის შესაფასებლად, წარმოადგენს თუ არა გამოვლენილი ფაქტი ნაკლოვანებას, ფირმა იყენებს პროფესიულ განსჯას, ისეთი ფაქტორების გათვალისწინებით, როგორიცაა, მაგალითად ხარისხის რისკები, რომლებსაც გამოვლენილი ფაქტი უკავშირდება, გამოვლენილი ფაქტის ბუნება და ყოვლისმომცველობა და როგორ შემუშავდა და განხორციელდა მონიტორინგის ღონისძიებები.

ხარისხის მართვის სისტემის გრადაცია და ადაპტირება ხმს 1-ის მოთხოვნებში რამდენიმენაირად არის ინტეგრირებული:

- ხარისხის მიზნები არის შედეგზე დაფუძნებული. ფირმა განსაზღვრავს, როგორ მიაღწიოს ხარისხის მიზნებს;
- ხარისხის რისკები ფირმაზეა მორგებული. ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასებისას ფირმა აქცენტს აკეთებს იმ პირობების, მოვლენების, გარემოებების, ქმედებებისა ან აკრძალვების გაგებაზე, რომლებიც უკავშირდება ფირმის და მისი გარიგებების ხასიათსა და გარემოს;
- კონკრეტული საპასუხო ზომების მხოლოდ შეზღუდული რაოდენობაა სავალდებულო. ივარაუდება, რომ ფირმა ხარისხის რისკებზე რეაგირებისათვის საკუთარ საპასუხო ზომებს შეიმუშავებს და განახორციელებს;
- მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისთვის განუთვნილი მოთხოვნები განსაზღვრავს, თუ რა უნდა ჰქონდეს ფირმას დანერგილი მონიტორინგისა და რემედიაციისთვის, ხოლო კონკრეტულად როგორ ახორციელებს ფირმა პრაქტიკულად ამ პროცესს, მორგებული იქნება ფირმის გარემოებებზე.

ხმს 1-ში მოცემული სტანდარტის გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა მოიცავს მაგალითებს, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ გამოიყენება სტანდარტის ცალკეული ასპექტები ნაკლებად რთული და მეტად რთული ფირმების შემთხვევაში. გარდა ამისა, სახელმძღვანელოში განხილულია სხვა მაგალითებიც, რომლებიც წარმოაჩენს, როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს ხმს 1-ის გამოყენება სხვადასხვა ფირმაში.

ეს სიმბოლოები სახელმძღვანელოში გამოიყენება იმ მითითებების გამოსავლად, რომლებიც კონკრეტულად შეესაბამება:



პატარა ან ნაკლებად რთულ ფირმას.



ფირმას, რომელიც ქსელს ეკუთვნის.



საჯარო სექტორში არსებულ ფირმას.

გარდა ამისა, ამ სახელმძღვანელოში მოცემულია სხვა მრავალი მაგალითი, რომელიც ყველა ფირმას შეესაბამება.



ხმს 1-ში მოცემული მაგალითები, რომლებიც კონკრეტულად გრადაციას ეხება:

- პუნქტი გ35: ფუნქციებისა და ვალდებულებების განაწილება;
- პუნქტები გ39 და გ52: ფირმის რისკის შეფასების პროცესი;
- პუნქტი გ99: რესურსები;
- პუნქტი გ111: ინფორმაცია და კომუნიკაცია;
- პუნქტები გ114, გ156 და გ116: მონიტორინგის და რემედიაციის პროცესი;
- პუნქტები გ189 და გ199: ხარისხის მართვის სისტემის შეფასება და პერსონალის საქმიანობის შეფასება;
- პუნქტი გ203: დოკუმენტაცია.



ხმს 1-ის მე-17 პუნქტში აღნიშნულია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ხმს 1-ის მოთხოვნა შეიძლება არ შეესაბამებოდეს ფირმას, თვითონ ფირმის ან მისი გარიგებების ხასიათისა და გარემოებების გამო, რა შემთხვევაშიც ფირმას არ მოეთხოვება ამ მოთხოვნის შესრულება. ამგვარი გარემოებების მაგალითები განხილულია ხმს 1-ის გ29 პუნქტში.



პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის სისტემაზე

პასუხისმგებლობების განაწილება

ხმს 1-ის მე-19 პუნქტში მითითებულია, რომ ფირმა ვალდებულია უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნა, დანერგვა და ფუნქციონირება. შედეგად, ხარისხის მართვის სისტემაზე საბოლოო პასუხისმგებელი არის ფირმა. მაგრამ ფირმა არ არის ადამიანი, რომელსაც ზომების მიღება შეუძლია; ის არის სუბიექტი. შედეგად, ხმს 1 ფირმას ავალდებულებს, გაანაწილოს პასუხისმგებლობები ხარისხის მართვის სისტემაზე და ხარისხის მართვის სისტემის სხვა ასპექტებზე და პასუხისმგებელ პირებს მოსთხოვოს პასუხი დაკისრებული ფუნქციების შესრულებაზე.

პასუხისმგებლობების განაწილებასთან დაკავშირებით ხმს 1 მოიცავს შემდეგ მოთხოვნებს:

ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რომელთა ცალკეულ პირებზე დაკისრება ფირმას ევალება

პირებს, რომლებსაც დაკისრებული აქვთ ეს პასუხისმგებლობები, მოეთხოვებათ ჰქონდეთ შესაბამისი გამოცდილება, ცოდნა, დრო, გავლენა და უფლებამოსილება.

28(ბ) - 28(გ) პუნქტებში განსაზღვრულია ხარისხის მიზნები, რომლებზეც ხელმძღვანელობა არის პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებული და ხარისხისადმი ერთგულებას წარმოაჩენს თავისი ქცევითა და ქმედებით.

საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხარისხის მართვის სისტემაზე

- დაკისრებულია მთავარ აღმასრულებელ პირზე (ან ანალოგიური რანგის პირზე), მმართველ პარტნიორზე (ან ანალოგიური რანგის პირზე) ან, შესაბამის შემთხვევაში, პარტნიორთა მმართველ საბჭოზე (ან ანალოგიური რანგის ორგანოზე).
- მოიაზრება, რომ კარგად უნდა იცოდეს და ესმოდეს ხმს 1 (პუნქტი 18).
- ის არის საბოლოოდ პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ფირმის მიერ ხმს 1-ის მიზნის მიღწევაზე.
- პასუხისმგებელია შეათავსოს და დასკვნა გამოიტანოს იმის თაობაზე, აღწევს თუ არა ხარისხის მართვის სისტემა ხარისხის მართვის სისტემის მიზნებს, რაც მნიშვნელოვანია ხარისხის მართვის სისტემაზე უშუალო პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების დასაკისრებლად (53-54 პუნქტები).

ოპერატიული პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის სისტემაზე

- მოიაზრება, რომ კარგად უნდა იცოდეს და ესმოდეს ხმს 1 (პუნქტი 18).
- პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია ხარისხის მართვის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე.

ოპერატიული პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის სისტემის კონკრეტულ ასპექტებზე

- დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვა
 - o პასუხისმგებელია დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ყველა საკითხის ზედამხედველობაზე (პუნქტი გ36).
- მონიტორინგის და რემედიაციის პროცესი
 - o პასუხისმგებელია მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ზედამხედველობაზე.
 - o პირ(ებ)ს მოეთხოვება(თ) ნაკლოვანებების გამოსასწორებელი ზომების მიღება და მონიტორინგისა და რემედიაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე ინფორმაციის მიწოდება (პუნქტები 43-44 და 46).
- ფირმის მიერ განსაზღვრული სხვა კონკრეტული ასპექტები.

ხმსს 1 განმარტავს, რომ ფირმაში ფირმის მიერ ფუნქციების, პასუხისმგებლობებისა და უფლებამოსილებების განაწილება შეიძლება იცვლებოდეს და მასზე გავლენას ახდენდეს კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით დადგენილი მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია ხელმძღვანელობისა და მმართველობის სტრუქტურასთან ან მათზე დაკისრებულ მოვალეობებთან.

მართალია, ხმსს 1 ფირმას ავალდებულებს მოვალეობების განაწილებას, მაგრამ პირ(ებ)ს, რომელზეც (რომლებზეც) ეს ვალდებულებებია დაკისრებული, არ მოეთხოვება(თ) ყველა იმ პროცედურის, ამოცანის ან მოქმედების შესრულება, რომელიც საჭიროა ამ ვალდებულების შესასრულებლად. ზემოაღნიშნულ პირ(ებ)ს შეუძლია(თ) პროცედურების, ამოცანების ან მოქმედებების დელეგირება, თუკი ისევ ის (ისინი) იქნება (იქნებიან) პასუხისმგებელ(ნ)ი და ანგარიშვალდებულ(ნ)ი მასზე (მათზე) დაკისრებულ მოვალეობებზე.



ხმსს 1-ის გ35 პუნქტში მოცემულია მაგალითი იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ შეიძლება ხორციელდებოდეს ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების შესრულება და განსხვავდებოდეს ნაწილობრივ ფირმასა და მეტად რთულ ფირმაში.



ხმსს 1-ის გ33 პუნქტში მოცემულია მაგალითი იმის წარმოსაჩენად, თუ როგორ არის ფირმა პასუხისმგებელი ხარისხის მართვის სისტემის შეფასებასა და დასკვნაზე და შემდეგ როგორ ანაწილებს შეფასებისა და დასკვნის გამოტანის ფუნქციებს პირ(ებ)ზე, რომელსაც (რომლებსაც) საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრია(თ) ხარისხის მართვის სისტემაზე.



ხელმძღვანელობისა და მმართველობის კომპონენტი მოიცავს ხარისხის მიზანს, რომელიც გულისხმობს, რომ ფირმას აქვს ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურა და იმგვარად აქვს განაწილებული როლები, პასუხისმგებლობები და უფლებამოსილებები, რაც მას ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების საშუალებას აძლევს.

ხმსს 1-ის 56-ე პუნქტი ფირმას ავალდებულებს, ჩაატაროს იმ პირ(ებ)ის პერიოდული შეფასება, რომელსაც (რომლებსაც) საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრია (აკისრიათ) ხარისხის მართვის სისტემაზე, ასევე იმ პირ(ებ)ის, რომელსაც (რომლებსაც) ოპერატიული პასუხისმგებლობა აკისრია (აკისრიათ) ხარისხის მართვის სისტემაზე.

ვის შეიძლება დაეკისროს ხარისხის მართვის სისტემაზე ან მის ცალკეულ ასპექტებზე პასუხისმგებლობა

ხმსს 1 განმარტავს, რომ პირები, რომელთაც ხარისხის მართვის სისტემაზე ან მის ცალკეულ ასპექტებზე აქვთ დაკისრებული პასუხისმგებლობა, როგორც წესი, ფირმის პარტნიორები არიან. თუმცა, სტანდარტში ისიც არის აღიარებული, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული პირი შესაძლოა ამ ფირმის პარტნიორი არ იყოს. მაგალითად, ასე შეიძლება იმ შემთხვევაში მოხდეს, როდესაც პირი პარტნიორია ქსელის რეგიონულ ქვედანაყოფში და ფირმა ამ რეგიონის ერთ-ერთ რაიონს მოიცავს.

ფირმას არ შეუძლია ხელმძღვანელობის მოვალეობების მომსახურების პროვაიდერზე გადაცემა, რადგან ფირმა პასუხისმგებელი თავის ხარისხის მართვის სისტემაზე და ზემოაღნიშნულ პირ(ებ)ს, სტანდარტის თანახმად, უნდა ჰქონდეს(თ) შესაბამისი გავლენა და უფლებამოსილება ფირმაში.

ხმსს 1 მოითხოვს, რომ პირებს, რომელთაც ხარისხის მართვის სისტემაზე ან მის ცალკეულ ასპექტებზე აქვთ დაკისრებული პასუხისმგებლობა, ასევე ჰქონდეთ შესაბამისი გამოცდილება და ცოდნა მათზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად. ზოგიერთ შემთხვევაში, ფირმას შეიძლება ჰქონდეს განცალკევებული ბიზნესერთეულები ან მომსახურების მიმართულებები, რომლებიც არ არის ჩართული ფირმის მიერ IAASB-ის „გარიგების სტანდარტების“ შესაბამისი გარიგებების შესრულებაში (მაგ., საკონსულტაციო მომსახურება). ხმსს 1 არ მოითხოვს, რომ პირებს, რომელთაც ხარისხის მართვის სისტემაზე ან მის ცალკეულ ასპექტებზე აქვთ დაკისრებული პასუხისმგებლობა, ჰქონდეთ ფირმის მიერ შესრულებულ კონკრეტულ გარიგებებთან დაკავშირებული დიდი გამოცდილება (მაგ., აუდიტის გარიგებებთან დაკავშირებული გამოცდილება ან ცოდნა). მიუხედავად ამისა, პირთა პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, მათ შეიძლება დასჭირდეთ ფირმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებთან, მოქმედებებთან და ბიზნესოპერაციებთან, მათ შორის ფირმის მიერ შესრულებულ გარიგებებთან დაკავშირებული გამოცდილება და ცოდნა.

**რა ცვლილებები შევიდა ხმსს 1-ში ამჟამად არსებულ სტანდარტთან შედარებით
ხელმძღვანელობასთან მიმართებით**



- დაზუსტება იმისა, თუ ვის მოეთხოვება ხმსს 1-ის ცოდნა.
- ხარისხის მართვის სისტემაზე ხელმძღვანელობის ანგარიშვალდებულებაზე გაზრდილი ყურადღება.
- გაფართოებული მოთხოვნები ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული კონკრეტული პასუხისმგებლობების დაკისრებასთან დაკავშირებით:
 - o ოპერატიული პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის სისტემაზე;
 - o ოპერატიული პასუხისმგებლობა დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვაზე; და
 - o ოპერატიული პასუხისმგებლობა მონიტორინგის და რეგულირების პროცესზე.
- გაზრდილი მოთხოვნები, რომლებიც ეხება იმ პირთა კვალიფიკაციას, რომელთაც პასუხისმგებლობები დაეკისრათ:
 - o მოიცავს პირ(ებ)ს, რომელსაც (რომლებსაც) ეკისრება (ეკისრებათ) საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხარისხის მართვის სისტემაზე.
 - o მოითხოვება, რომ ჰქონდეთ შესაფერისი გამოცდილება, ცოდნა, გავლენა და უფლებამოსილება ფირმაში, ასევე საკმარისი დრო დაკისრებული პასუხისმგებლობის შესასრულებლად.
- ახალი მოთხოვნები, რომლებიც მოითხოვს პირდაპირი კომუნიკაციის არსებობას:
 - o ხარისხის მართვის სისტემაზე, დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვაზე და მონიტორინგის და რეგულირების პროცესზე ოპერატიული პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)სა და
 - o ხარისხის მართვის სისტემაზე საბოლოო პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)ს შორის.



ხმს 1, პუნქტები: 16(რ), 16(ს), 16(ფ),
23-27, გ25-გ27 დაგ39-გ54

ფირმის რისკის შეფასების პროცესი

ხმს 1-ის საფუძველი და ამჟამად არსებულ ხსს 1-თან შედარებით მასში შეტანილი ძირითადი ცვლილებების არის, რომ ფირმამ ხარისხის მართვისთვის უნდა გამოიყენოს რისკზე დაფუძნებულ მიდგომა, რომლის დროსაც ფირმა აქცენტს აკეთებს:



ფირმის რისკის შეფასების პროცესი ახალია ხმს 1-ისთვის.

- რისკებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას ფირმის და მის მიერ შესრულებული გარიგებების ხასიათისა და გარემოებებიდან გამომდინარე; და
- საპასუხო ზომების განხორციელებაზე, ამ რისკებზე სათანადოდ რეაგირების მიზნით.

რისკზე დაფუძნებული მიდგომა ფირმას ეხმარება, ხარისხის მართვის სისტემა მოარგოს როგორც ფირმის, ისე ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების გარემოებებს. გარდა ამისა, ეხმარება ფირმას, ყველზე მნიშვნელოვან საკითხებზე კონცენტრირებით ეფექტურად მართოს ხარისხი, ფირმის და მის მიერ შესრულებული გარიგებების ხასიათისა და გარემოებების გათვალისწინებით.

ხმს 1 ფირმას ავალდებულებს, შემუშავებული და დანერგილი ჰქონდეს რისკის შეფასების პროცესი, რომლის მიზანია, დაადგინოს ხარისხის მიზნები, გამოავლინოს და შეაფასოს ხარისხის რისკები და შეიმუშაოს და გაატაროს საპასუხო ზომები ხარისხის რისკებზე რეაგირების მიზნით. ხმს 1 ადგენს მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენოს ფირმამ ეს პროცესი შემდეგნაირად:



ხმს 1, პუნქტები:
23, გ39-გ41

ფირმის რისკის შეფასების პროცესის სტრუქტურა

ფირმის მიერ ხარისხის მიზნების დადგენა, ხარისხის რისკების გამოვლენა და შეფასება და საპასუხო ზომების შემუშავება და განხორციელება განსხვავებული იქნება თითოეულ ფირმაში. ეს განპირობებულია ფირმის ხასიათით და გარემოებებით, მათ შორის იმით, თუ როგორ არის ფირმა სტრუქტურირებული და ორგანიზებული.

ხარისხის მართვის პროაქტიული და უწყვეტი მიდგომის პირობებში, ინფორმაცია, რომელსაც ფირმა იყენებს ხარისხის მიზნების დასადგენად, ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასებისთვის და ასევე საპასუხო ზომების შემუშავებისა და განხორციელებისთვის, მოიცავს ფირმის ხარისხის მართვის სისტემიდან მიღებულ ინფორმაციას, როგორიცაა:

- ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტებიდან წარმოშობილი ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა წარმოიქმნა შიდა ან გარე წყაროდან; და
- ფირმის მონიტორინგისა და რეგულირების პროცესის შედეგები.



ხმს 1-ის გ39 პუნქტში მოცემულია მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ფირმის რისკის შეფასების პროცესი განსხვავდებოდეს ნაკლებად რთულ ფირმასა და მეტად რთულ ფირმაში.



ხმს 1-ის გ41 პუნქტში მოცემულია იმ ინფორმაციის წყაროების (როგორც შიდა ისე გარე) მაგალითები, რომლის გამოყენება ფირმას შეუძლია რისკის შეფასების პროცესში.

ხარისხის მიზნების დადგენა, ხარისხის რისკების გამოვლენა და შეფასება, საპასუხო ზომების შემუშავება და განხორციელება განმეორებადი და დინამიკური პროცესია. ხმს 1 განამრტავს, რომ:

- ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასებისას ფირმას შეუძლია გადაწყვიტოს, რომ აუცილებელია ხარისხის დამატებითი მიზნების განსაზღვრა.
- საპასუხო ზომების შემუშავებისა და განხორციელებისას, ფირმამ შესაძლოა დაადგინოს, რომ ხარისხის ზოგიერთი რისკი არ იყო გამოვლენილი და შეფასებული.
- ფირმის საპასუხო ზომებმა შეიძლება წარმოქმნას ისეთი პირობები, მოვლენები, გარემოებები, ქმედებები ან აკრძალვები, რომლებიც ხარისხის დამატებითი რისკების წარმოშობას გამოიწვევს.

მაგალითი, როდესაც ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასებისას დგინდება, რომ საჭიროა ხარისხის მიზნების განსაზღვრა

კანონის, რეგულაციის, პროფესიული სტანდარტებისა და იმ გარემოს გაცნობისას, რომელშიც ფირმა ფუნქციონირებს, ფირმა ადგენს, რომ არსებობს აუდიტორული ფირმის იურისდიქციული მმართველობის კოდექსი, რომლისთვისაც აუცილებელია დამატებითი ხარისხის მიზნების დადგენა.


მაგალითი საპასუხო ზომებისა, რომლებიც იწვევს ხარისხის რისკის წარმოშობას

ფირმა ქირაობს მომსახურების პროვაიდერს ფირმის სტ გარემოს ყველა ასპექტის სამართავად. ეს, წარმოქმნის ახალ ხარისხის რისკებს სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რადგან მომსახურების პროვაიდერს დამკვეთების კონფიდენციალურ ინფორმაციაზე აქვს წვდომა.

ხარისხის მიზნების დადგენა



ხმს 1, პუნქტები:
16(რ), 24, გ42-გ44



ხარისხის მართვის სისტემა მაშინ არის ეფექტური, როდესაც ის აღწევს ხარისხის მართვის სისტემის მიზნებს (ხმს 1-ის მე-14 პუნქტში განსაზღვრული მიზნები). ხმს 1-ის მე-14 პუნქტში მითითებული ხარისხის მართვის სისტემის მიზნები (რომლებიც ზემოთ არის აღწერილი), ზოგადი მიზნებია. შედეგად, ხმს 1 მოიცავს უფრო კონკრეტულ ხარისხის მიზნებს ხარისხის მართვის სისტემის სხვადასხვა კომპონენტისთვის, ისე რომ აშკარაა, რა შედეგის მიღწევა სჭირდება ფირმას იმისათვის, რომ ჰქონდეს ხარისხის მართვის სისტემა, რომელიც ეფექტურია ხარისხის მართვისთვის.

თითოეული კომპონენტისთვის დადგენილი ხარისხის მიზნები ფირმას ეხმარება ხარისხის რისკების სათანადოდ გამოვლენასა და შეფასებაში, რადგან ხარისხის მიზნები ფირმას აქცენტს აკეთებინებს უფრო მეტად იმაზე, თუ რისი მიღწევაა საჭირო და რა პრობლემები შეიძლება წარმოიშვას ხარისხის მიზნების მიღწევისას.



რომელი ხარისხის მიზნების დადგენა ევალუა ფირმას

ხმს 1 მოიცავს ხარისხის მიზნებს შემდეგი კომპონენტებისთვის:

- მმართველობა და ხელმძღვანელობა;
- სათანადო ეთიკური მოთხოვნები;
- დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება;
- გარიგების შესრულება;
- რესურსები; და
- ინფორმაცია და კომუნიკაცია.

ფირმა ვალდებულია დაადგინოს ამ კომპონენტებისთვის სპეციფიკური ხარისხის მიზნები. თუმცა, შეიძლება არსებობდეს ისეთი გარემოებები, როდესაც ფირმის ან მისი გარიგებების ხასიათის და გარემოების გამო, ხარისხის ესა თუ ის მიზანი ან მისი რომელიმე ასპექტი ამ ფირმისათვის რელევანტური არ იყოს.

მაგალითი იმისა, როდესაც ხარისხის მიზანი შეიძლება რელევანტური არ იყოს

ხმს 1-ის 31(ბ) პუნქტში მოცემული ხარისხის მიზნები, რომლებიც ეხება ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და მიმოხილვას, შეიძლება არ იყოს რელევანტური, როდესაც ფირმა ინდივიდუალური პრაქტიკოსია.

სტანდარტში მოყვანილი ხარისხის მიზნები ყოვლისმომცველია. მნიშვნელოვანია სიტუაციის გამოჩენა, თუ ხმს 1-ით განსაზღვრული ხარისხის მიზნების აღწერისას ფირმა გამოიყენებს განსხვავებულ ან შემოკლებულ ტერმინოლოგიას, რადგან ამ დროს შეიძლება უნებლიედ შეიცვალოს ხარისხის მიზნის მნიშვნელობა ან დაიკარგოს ხარისხის მიზნის ძირითადი ასპექტი. ნაწილობრივ დადგენილმა ხარისხის მიზანმა შეიძლება ხარისხის მართვის სისტემის ნაკლოვანება გამოიწვიოს.

ნაწილობრივ (არასრულად) დადგენილი ხარისხის მიზნის მაგალითი

ფირმა ხარისხის მიზანს ადგენს შემდეგნაირად:

გარიგების დოკუმენტაციის დაკომპლექტება დროულად ხდება გარიგების ანგარიშის (დასკვნის) თარიღის შემდგომ.

თუმცა, ფირმას მიზნის დარჩენილი ნაწილი არ შეუძლებია, ხმს 1-ის 31(ვ) პუნქტის შესაბამისად, შემდეგნაირად:

გარიგების დოკუმენტაციის დაკომპლექტება დროულად ხდება გარიგების ანგარიშის დათარიღების შემდეგ და სათანადოდ ინახება ფირმის საჭიროებისა და კანონმდებლობის, სათანადო ეთიკური მოთხოვნების ან პროფესიული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

ფირმის მიერ ხარისხის მიზნის სხვაგვარად აღწერის მაგალითი, რომელშიც დაიკარგა ხარისხის მიზნის ძირითადი ასპექტი

ფირმა ხარისხის მიზანს ადგენს შემდეგნაირად:

გარიგების დოკუმენტაცია არჩევდება 60 დღის განმავლობაში და ინახება ხუთი წლის მანძილზე გარიგების ანგარიშის (დასკვნის) თარიღიდან, ან ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღიდან, თუ ეს უკანასკნელი უფრო გვიან განხორციელდა, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულ ხარისხის მიზანში უნებლიედ დაიკარგა ხმს 1-ის 31(ვ) პუნქტში მოცემული ხარისხის მიზნის ძირითადი ასპექტი. კერძოდ:

- იგივე რესურსების დოკუმენტების შენახვის მოთხოვნას.
- იგივე რესურსების წინადადება, რომ შენახვის ვადა შეიძლება შეიცვალოს ფირმის საჭიროებების, კანონმდებლობის, რეგულირების სისტემის, სათანადო ეთიკური მოთხოვნების ან პროფესიული სტანდარტების ცვლილებებიდან გამომდინარე.

ფირმა ვალდებული არ არის, მაგრამ შეუძლია აირჩიოს ქვემიზნების (ამოცანების) დადგენაც, რათა გააძლიეროს ხარისხის რისკების გამოსავლენად და შესაფასებლად დადგენილი ფირმის პროცესი და ასევე შესაბამისი საპასუხო ზომების განსაზღვრისა და პრაქტიკაში რეალიზების პროცესიც.

მაგალითი, როდესაც ფირმა ადგენს ქვემიზნებს

ფირმას აქვს სამი საოპერაციო ერთეული: აუდიტის, საგადასახადო და ბუღალტრული აღრიცხვის მომსახურება. საგადასახადო საოპერაციო ერთეული ზოგჯერ ასრულებს შეთანხმებული პროცედურების ჩატარებაზე გარიგებებს, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის საოპერაციო ერთეული დამკვეთებისთვის ადგენს ფინანსურ ანგარიშგებებს. ფირმა საოპერაციო ერთეულებს უდგენს ქვემიზნებს, რომლებიც სპეციალურად იმისთვისაა შემუშავებული, რომ საოპერაციო ერთეულების მიერ გაწეული მომსახურების ხასიათისა და მათ მიერ შესრულებული გარიგებებისთვის იყოს უფრო მეტად რელევანტური და შესაბამისი. მაგალითად, ფირმა ადგენს ხმს 1-ის 32(ა)(i) პუნქტში აღწერილ ხარისხის მიზნებთან დაკავშირებულ შემდეგ ქვემიზნებს:

ხმს 1-ის 32(ა)(i) პუნქტში მოცემული ხარისხის მიზნები:

ისეთი პერსონალის დაქირავება, განვითარება და შენარჩუნება ხდება, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია და შესაძლებლობები მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესასრულებლად, მათ შორის აქვთ იმ გარიგებებისთვის შესაფერისი ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც ფირმა ასრულებს.

ფირმის მიერ დადგენილი ქვემიზნები:

- აუდიტის საოპერაციო ერთეული: *ისეთი პერსონალის დაქირავება, განვითარება და შენარჩუნება ხდება, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია და შესაძლებლობები მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესასრულებლად, მათ შორის აქვთ აუდიტის და იმ დარგების შესაფერისი ცოდნა ან გამოცდილება, რომელთა აუდიტსაც ფირმა აატარებს.*
- საგადასახადო საოპერაციო ერთეული: *ისეთი პერსონალის დაქირავება, განვითარება და შენარჩუნება ხდება, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია და შესაძლებლობები მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესასრულებლად, მათ შორის აქვთ შეთანხმებული პროცედურების გარიგებების შესრულებისთვის შესაფერისი ცოდნა ან გამოცდილება.*
- ბუღალტრული აღრიცხვის საოპერაციო ერთეული: *ისეთი პერსონალის დაქირავება, განვითარება და შენარჩუნება ხდება, რომელსაც გააჩნია კომპეტენცია და შესაძლებლობები მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესასრულებლად, მათ შორის აქვთ ფინანსური ანგარიშგებების კომპილაციისთვის შესაფერისი ცოდნა ან გამოცდილება.*

დამატებითი ხარისხის მიზნების დადგენა

ვინაიდან ფირმების გარემოებები მრავალფეროვანია, შესაძლებელია, რომ ხმს 1-ში მოყვანილი ხარისხის მიზნების გარდაარსებობდეს სხვა ხარისხის მიზნებიც, რომლის დადგენა და მიღწევაც აუცილებელია ფირმისთვის, რათა ხარისხის მართვის სისტემის მიზნებს მიაღწიოს. შესაბამისად, ხმს 1 ფირმას

ავალდებულებს დამატებითი ხარისხის მიზნების დადგენას მაშინ, როდესაც ფირმა ამის გაკეთებას საჭიროდ ჩათვლის ხარისხის მართვის სისტემის მიზნების მისაღწევად. მოსალოდნელი არ არის, რომ ხშირი იქნება ისეთი გარემოებები, როდესაც ფირმას შეიძლება დასჭირდეს დამატებითი ხარისხის მიზნების დადგენა და, მაშასადამე, დამატებითი ხარისხის მიზნების დადგენა ყველა ფირმისთვის არ იქნება აუცილებელი.



ხმს 1-ის გ42 პუნქტში მოყვანილია მაგალითი, თუ როდის შეიძლება ფირმა მიიჩნიოს დამატებითი ხარისხის მიზნების დადგენა მიზანშეწონილად.

ურთიერთკავშირი ხარისხის მიზნებს შორის

ხარისხის მიზნები, მისი წარმატებით განხორციელების შემთხვევაში, ერთობლივად აღწევს ხარისხის მართვის სისტემის მიზნებს. შედეგად, კომპონენტებში წარმოდგენილი ხარისხის მიზნები ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთზე დამოკიდებულია. მაგალითად, ერთ კომპონენტში მოცემული მიზანი შეიძლება ფარავდეს, უკავშირდებოდეს, ამყარებდეს ან თავად იყოს გამყარებული სხვა კომპონენტში მოცემული ხარისხის მიზნით.

ხარისხის მიზნის მაგალითი, რომელიც ამყარებს სხვა ხარისხის მიზანს

ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტების ხარისხის მიზნები ეხება საინფორმაციო სისტემას, კომუნიკაციას და ინფორმაციის გაცვლას ფირმის მასშტაბით და გარიგების გუნდებთან. ეს ხარისხის მიზნები მნიშვნელოვანია სათანადო ეთიკური მოთხოვნების კომპონენტისთვის დადგენილი ხარისხის მიზნების გასამყარებლად, რადგან დროულად გადაცემული შესაბამისი ინფორმაცია მნიშვნელოვანია სათანადო ეთიკური მოთხოვნების სათანადოდ შესრულებისთვის.

ხარისხის რისკების გამოვლენა და შეფასება



ხმს 1, პუნქტი: 16(ს), 25, გ45-გ48



ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასების პროცესი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ რა უარყოფითი შედეგი შეიძლება მოჰყვეს ხარისხის მიზნების მიღწევას. მამასადამე, იგი ეხმარება ფირმას იმ საპასუხო ზომების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც ეფექტურად რეაგირებს ხარისხის რისკებზე, ასევე ხარისხზე რეაგირებისა და გაუმჯობესებისთვის ფირმის რესურსების უფრო მწარმოებლურად და ეფექტიანად გამოყენებაში.

რა არის ხარისხის რისკი?

შეიძლება არსებობდეს უამრავი ისეთი რისკი, რომლებიც უარყოფითად იმოქმედებს ხარისხის მიზნების მიღწევაზე. თუმცა, ყველა რისკი არ მიიჩნევა ხარისხის რისკად ხმს 1-ში მოცემული განმარტების შესაბამისად, რადგან ფირმისათვის არც გონივრულია და არც პრაქტიკული ყოველი შესაძლო რისკის გამოვლენა და შეფასება და ყველა რისკისთვის საპასუხო ზომების შემუშავება და განხორციელება. ხმს 1-ის მიზანია, ფირმის ყურადღება გაამახვილოს ისეთ რისკებზე, რომლებსაც დიდი გავლენა აქვს ხარისხის მიზნების მიღწევაზე, რათა ამ რისკების მიმართ ფირმამ სათანადო ზომები გაატაროს.

ხმს 1-ში მოცემული ხარისხის რისკის განმარტება შეიცავს ზღვარს იმის დასადგენად, რომელი რისკები მიიჩნევა ხარისხის რისკად. რისკი მიიჩნევა ხარისხის რისკად, როდესაც ის აკმაყოფილებს განმარტებაში მოცემულ ორივე კრიტერიუმს:

რისკს აქვს წარმოქმნის გონივრული შესაძლებლობა.

რისკს აქვს გონივრული შესაძლებლობა, რომ უარყოფითად იმოქმედოს ერთი ან რამდენიმე ხარისხის მიზნის მიღწევაზე, ინდივიდუალურად ან სხვა რისკებთან ერთად.


ფირმა მიმართავს პროფესიულ განსჯას, რათა განსაზღვროს, აკმაყოფილებს თუ არა კონკრეტული რისკი ხარისხის რისკების განმარტებაში მოცემულ ზღვარს.



იმის მიუხედავად, აქვს თუ არა ფირმას ქვემიზნები, ხარისხის რისკების იდენტიფიცირების საზღვარი ყოველთვის იქნება ხმს 1-ით განსაზღვრული ხარისხის მიზნების დონეზე. შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც რისკს აქვს ქვემიზნების (ამოცანების) მიღწევაზე უარყოფითად მოქმედების გონივრული შესაძლებლობა, მაგრამ არ აქვს ხარისხის მიზნების მიღწევაზე უარყოფითად ზემოქმედების გონივრული შესაძლებლობა, რა შემთხვევაშიც, რისკი არ მიიჩნევა ხარისხის რისკად.

როგორ ავლენს და აფასებს ფირმა ხარისხის რისკებს

ხმსს 1 ადგენს პროცესს, რომლის დაცვაც ფირმას ევალება ხარისხის რისკების გამოვლენისა და შეფასებისას დარომელიც შემდეგნაირად გამოიხატება:



პროცესი, პირველ რიგში, ყურადღებას ამახვილებს ფირმასა და მის გარიგებებთან დაკავშირებული სხვადასხვა პირობის, მოვლენის, გარემოების, ქმედების ან ავრძალვის შეცნობაზე, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე. უფრო ზუსტად, ფირმა ვალდებულია გაიგოს, რამ შეიძლება იმოქმედოს უარყოფითად ხარისხის მიზნების მიღწევაზე.


ხარისხის რისკების გამოვლენისას, ფირმა ითვალისწინებს შემდეგ ფაქტორებს:

- როგორ და რამდენად შეიძლება იქონიოს გავლენა პირობებმა, მოვლენებმა, გარემოებებმა, ქმედებებმა ან ავრძალვებმა ხარისხის მიზნების მიღწევაზე; და
- ხარისხის რისკების შესაძლო წარმოქმნა. ეს აუცილებელია, იმის დასადგენად, ავრძალვებს თუ არა რისკი ხარისხის რისკების განმარტების ზღვარს.

i ხმსს 1-ის გ48 პუნქტში მოცემულია ისეთი ფაქტორების მაგალითები, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს იმაზე თუ რამდენად შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს რისკმა ხარისხის მიზნ(ებ)ის მიღწევაზე, როგორიცაა მოხდენის სიხშირე და ეფექტის ხანგრძლივობა.

ხარისხის რისკების **შეფასებაზე** მოქმედებს ასევე ისიც, როგორ და რამდენად ახდენს გავლენას პირობები, მოვლენები, გარემოებები, ქმედებები თუ ავრძალვები ხარისხის რისკებზე და მათი წარმოქმნის ალბათობაზე. მამასადამე, ხარისხის რისკების გამოვლენა და შეფასება შესაძლოა ერთდროულად განხორციელდეს. ფირმას შეუძლია აირჩიოს ხარისხის რისკების გამოვლენა და შეფასება ორ ცალკეულ ეტაპად, თუმცა ეს არ არის სავალდებულო და არც მოსალოდნელი.

ხარისხის რისკის გამოვლენისა და შეფასების პროცესის გამოყენების მაგალითი



პირობები, მოვლენები, გარემოებები, ქმედებები ან აკრძალვები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე

იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ფირმაში რისკის გამოვლენისა და შეფასების პროცესის თანმიმდევრულ გამოყენებას, ხმს 1-ში მოცემულია პირობები, მოვლენები, ქმედებები ან აკრძალვები, რომელთა გაგებაც ფირმას მოეთხოვება და რაც ყურადღებას ამახვილებს ფირმისა და მისი გარიგებების ხასიათსა და გარემოებებზე. ხმს 1-ის 25(ა) პუნქტში მოყვანილია პირობები, მოვლენები, ქმედებები ან აკრძალვები და მოსალოდნელია, რომ ფირმა:

- გაიგებს;
- გაითვალისწინებს (ე.ი. იფიქრებს) როგორ შეიძლება მათ უარყოფითად იმოქმედონ ხარისხის მიზნების მიღწევაზე; და
- განსაზღვროს, არსებობს თუ არა რისკები, რომლებიც ხარისხის რისკებია.



ხმს 1-ის 46 პუნქტში მოცემულია ფირმის მიერ პირობების, მოვლენების, გარემოებების, ქმედებების ან აკრძალვების გააზრების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე და ხარისხის რისკებზე, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას.

მს 1-ის 25(ა) პუნქტში მოცემული პირობები, მოვლენები, ქმედებები ან აკრძალვები, რომელთა გააზრებაც ფირმას მოეთხოვება

ფირმის სირთულე და საოპერაციო მახასიათებლები

იაზრებს და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფირმის ზომა, ფირმის გეოგრაფიული გავრცელება, როგორ არის ფირმა სტრუქტურირებული, რამდენად ახდენს ფირმა თავის პროცესებსა და მოქმედებებზე (მაგ.: მომსახურების მიწოდების იწიჭრების გამოყენება) ან ფირმის რესურსების მახასიათებლებსა და ხელმისაწვდომობაზე კონცენტრაციას და ცენტრალიზაციას.

ფირმის სტრატეგიული და საოპერაციო გადაწყვეტილებები და მოქმედებები, ბიზნესპროცესები და ბიზნესმოდელი	იაზრებს და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფინანსურ და საოპერაციო საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები, მათ შორის ფირმის სტრატეგიული მიზნები, ფინანსური რესურსების მართვასთან დაკავშირებული საკითხები, ფირმის საბაზრო წილის ზრდა, დარგის სპეციფიკა ან ახალი მომსახურების შეთავაზება.
ხელმძღვანელობის მახასიათებლები და მართვის სტილი	იაზრებს და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფირმის ხელმძღვანელობის შემადგენლობა და მათი თანამდებობაზე ყოფნის ვადები, როგორ არის უფლებამოსილება ხელმძღვანელთა შორის განაწილებული ან როგორ ახდენს ხელმძღვანელობა პრესონალის მოტივაციას და წახალისებას.
ფირმის რესურსები, მათ შორის მომსახურების პროვაიდერებისგან მიღებული რესურსები	იაზრებს და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ფირმის პერსონალის წარსული საქმიანობების შესახებ ზოგადი ინფორმაცია და მომსახურე პერსონალის საერთო პროფილი და სტრუქტურა, ტექნოლოგიების გამოყენება და როგორ არის ეს ტექნოლოგიები მოპოვებული, განვითარებული და შენარჩუნებული ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა და განაწილება. მომსახურების პროვაიდერებთან მიმართებით, მომსახურების პროვაიდერების მიერ მოწოდებული რესურსების ხასიათი, როგორ და რამდენად გამოიყენებს მათ ფირმა და ფირმის მიერ გამოყენებული მომსახურების პროვაიდერების ზოგადი მახასიათებლები.
კანონმდებლობა, რეგულირების სისტემები, პროფესიული სტანდარტები და გარემო, რომელშიც ფირმა საქმიანობს	იაზრებს და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა რეგულაციები, რომლებიც უშუალო კავშირშია ფირმასთან, პროფესიული სტანდარტებთან, სხვა სტანდარტებთან ან რეგულაციებთან, რომელიც ზეგავლენას ახდენს ფირმის მიერ შესრულებულ გარიგებებზე (მაგ.: ფინანსური ანგარიშგების საერთო დანიშნულების სტრუქტურული საფუძვლები, რომელიც ჩვეულებრივ გამოიყენება იურისდიქციაში), ეკონომიკური სტაბილურობასთან, სოციალური თავისუფლებით ან პროფესიონალო ბოლოქართა ფირმების ზოგად საზოგადოებრივ აღქმასთან (მაგ.: აუდიტის რეგულაციური ჩაარდნებით გამოწვეული ნდობის საერთო ნაკლებობა).
ქსელის მოთხოვნებისა და ქსელის მომსახურების ხასიათი და მასშტაბი	იაზრებს და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ქსელის ხასიათი, როგორ არის ქსელი სტრუქტურირებული და ქსელის მოთხოვნებისა ან ქსელის მიერ მიწოდებული მომსახურების ხარისხის საერთო დონე.
ფირმის მიერ შესრულებული გარიგებებისა და გასაცემი ანგარიშების ტიპები	იაზრებს და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა ის, თუ რომელ გარიგებებს ასრულებს ფირმა, მათ შორის: • ფინანსური ანგარიშგებების აუდიტს ან მიმოხილვას და ასრულებს თუ არა ფირმა გარიგებებს კრებსით ფინანსურ ანგარიშგებებზე ანგარიშის გასაცემად, ან ატარებს თუ არა შუალედური ფინანსური ანგარიშგებების მიმოხილვას. • სხვა სახის მარწმუნებელი ან დაადაშირებული მომსახურების გარიგებები და განსახილვადი საგნის ტიპები, რომლისთვისაც ამგვარი გარიგებები განხორციელდა (მაგ.: სათბურის გაზების ანგარიში, მომსახურე ორგანიზაციების კონტროლი და ა.შ.). გარდა ამისა, ფირმამ შეიძლება გაიზაროს და განიხილოს, როგორ შეიძლება მომხმარებლებმა გამოიყენონ ფირმის მიერ გაცემული დასკვნები.

სამეურნეო
სუბიექტების ტიპები,
რომელთათვისაც
გარიგებები ჩატარდა

იაზრებს და ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა დარგები, რომლებშიც საწარმოები ფუნქციონირებენ და მათი საქმიანობის ხასიათი, საწარმოთა ზომა და სირთულე, საწარმოს აქციები ფლობის ხასიათი (მაგ.: მესაკუთრე მიერ მართული ან კოტირებული) ან საწარმოს დაინტერესებულ მხარეთა ზომა და ხასიათი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ პირობების, მოვლენების, გარემოებების, ქმედებების ან აკრძალვების სია, რომელიც ხმს 1-ის 25(ა) პუნქტშია წარმოდგენილი არ არის ამომწურავი. შეიძლება არსებობდეს სხვა პირობები, მოვლენები, გარემოებები, ქმედებები ან აკრძალვები, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე, რაზეც ფირმას დასჭირდება გაიგოს და დამატებით განიხილოს, არსებობს თუ არა ხარისხის რისკი.

გარდა ამისა, ყველა პირობა, მოვლენა, გარემოება, ქმედება ან აკრძალვა დაკავშირებული არ არის ყოველ ხარისხის მიზანთან.

პირობების, მოვლენების, გარემოებების, ქმედებების ან აკრძალვების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე და ხარისხის რისკები, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნას

პირობა, მოვლენა, გარემოება, მოქმედება ან აკრძალვა, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე	ხარისხის რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას
ფირმის სირთულე და საოპერაციო მახასიათებლები: ფირმა დიდი ფირმაა, რომელსაც მრავალი ოფისი აქვს. თითოეულ ოფისს ჰყავს ლიდერი, რომელიც პასუხისმგებელია გარიგების ხარისხსა და ოპერაციულ საკითხებზე.	მმართველობისა და ხელმძღვანელობის კონტექსტში, ამან შესაძლოა გამოიწვიოს ხარისხის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ შეაღწია თანმიმდევრულმა კულტურამ ფირმაში, ფირმის დისპერსიისა და ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის გამო.
სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებები და ქმედებები, ბიზნესპროცესები და ფირმის ბიზნესმოდელი: ფირმას გააჩნია სტრატეგიული მიზანი, გაზარდოს საგადასახადო პრაქტიკა და შესთავაზოს გადასახადების დაგეგმვასთან დაკავშირებული მეტად ფართო რჩევა და მხარდაჭერა.	სათანადო ეთიკური მოთხოვნების კონტექსტში, აღნიშნულმა შესაძლოა გამოიწვიოს ხარისხის რისკი, როდესაც ფირმა არღვევს დამოუკიდებლობის მოთხოვნებს არააუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებით.
ხელმძღვანელობის მახასიათებლები და მართვის სტილი: იმის გათვალისწინებით, რომ ფირმა მცირე ზომისაა, ხელმძღვანელობა კონცენტრირებულია ერთ პირზე, რომელსაც ყოველდღიური კავშირი აქვს პერსონალთან.	გარიგების შესრულების კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, როდესაც პერსონალს შორის არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა, რაც ხელმძღვანელობას აქცევს ფირმის ყურადღების ცენტრში.
ფირმის რესურსები, მათ შორის მომსახურების პროვაიდერებისგან მიღებულ რესურსები: ფირმას აქვს სხვა იურისდიქციაში განთავსებული მომსახურების მიწოდების ცენტრი, რომელიც ასრულებს ფირმის აუდიტის გარიგებების გარკვეულ ასპექტებს.	გარიგების შესრულების კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, როდესაც პერსონალზე არ ხორციელდება სათანადო მმართველობა და ზედამხედველობა და მათი სამუშაო არ არის სათანადოდ განხილული.

პირობა, მოვლენა, გარემოება, მოქმედება ან აკრძალვა, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე	ხარისხის რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას
კანონმდებლობა, რეგულირების სისტემები, პროფესიული სტანდარტები და გარემო, რომელშიც ფირმა საქმიანობს: ფირმა ექვემდებარება იურიდიული აუდიტორული ფირმის მმართველობის კოდექსს.	მმართველობისა და ხელმძღვანელობის კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, როდესაც ფირმა არ ასრულებს ფირმის მმართველობის კოდექსის მოთხოვნებს, რადგანაც ეს მოთხოვნები უკავშირდება ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურას და ოქმების, მოვალეობების და უფლებამოსილებების განაწილებას.
კანონმდებლობა, რეგულირების სისტემები, პროფესიული სტანდარტები და გარემო, რომელშიც ფირმა საქმიანობს: გლობალური პანდემიის გამო, გარიგების გუნდებს დისტანციურ რეჟიმში უწევთ მუშაობა.	ინფორმაციისა და კომუნიკაციის კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, როდესაც დისტანციურად მომუშავე გარიგების გუნდებს ინფორმაცია სწორი ფორმით არ მიეწოდებათ, რომ გარიგების გუნდებს საშუალება მიეცეთ გაიგონ და განახორციელონ თავიანთი მოვალეობები გარიგების შესრულებისას.
კანონმდებლობა, რეგულირების სისტემები, პროფესიული სტანდარტები და გარემო, რომელშიც ფირმა საქმიანობს: შემოიღეს ახალი რეგულაციები, რომლებიც აუდიტორულ ფირმას ავალდებულებს როტაციას ყოველ 10 წელიწადში ერთხელ, რის შედეგადაც ფირმა ერთმანეთის მიყოლებით ბევრ გარიგებას კარგავს და პერსონალის დიდი ნაწილის რესურსები გამოუყენებელი რჩება.	დათანხმებისა და გაგრძელების კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, როდესაც ფირმა არ ამიზნობრივად თანხმდება დამკვეთთან ურთიერთობას ან კონკრეტულ გარიგებას, იმის გამო, რომ ფირმას ჰყავს ჭარბი პერსონალი.
ქსელის მოთხოვნებისა და ქსელის მომსახურების ხასიათი და მასშტაბი: ქსელი, ქსელში შემავალ ყველა ფირმას ავალდებულებს გამოიყენოს ქსელის მიერ შემუშავებული სტ გამოყენებითი პროგრამები დამოუკიდებლობისათვის. პერსონალს მოეთხოვება, ჩაწერონ საკუთარი ფინანსური ინტერესები პროგრამაში. გარდა ამისა, პროგრამულ უზრუნველყოფაში რეგისტრირებულია დამკვეთებისთვის შესრულებული ყველა მომსახურება. პროგრამა თვალყურს ადევნებს ინფორმაციას, რათა ავტომატურად გაათვლილოს ფირმა დამოუკიდებლობის დარღვევის შემთხვევაში.	სათანადო ეთიკური მოთხოვნების კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, როდესაც ქსელი შესაბამისად არ ითვალისწინებს იურისდიქციულ მოთხოვნებს, რომელიც დაკავშირებულია დამოუკიდებლობასთან კომპიუტერული პროგრამის შემუშავებისას და, რომ ფირმა არ არის გაფრთხილებული, როდესაც ადგილი აქვს დამოუკიდებლობის დარღვევას.
ფირმის მიერ შესრულებული გარიგებები და გასაცემი ანგარიშების ტიპები: ფირმა ასრულებს მარწმუნებელ გარიგებებს სათბურის გაზების ანგარიშისათვის.	რესურსების კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, როდესაც ფირმა არ აქვს შესაბამისი ინტელექტუალური რესურსები ამ გარიგებების ხელშესაწყობად და, როდესაც გარიგების გუნდები იყენებენ ინტელექტუალურ რესურსებს, რომელიც არ ითვალისწინებს ემისიებთან დაკავშირებულ იურისდიქციულ კანონსა და რეგულაციას.

პირობა, მოვლენა, გარემოება, მოქმედება ან აკრძალვა, რომელმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს ხარისხის მიზნების მიღწევაზე	ხარისხის რისკი, რომელიც შეიძლება წარმოიშვას
საწარმოს ტიპები, რომელთათვისაც გარიგებები განხორციელდა: თვრმა ასრულებს ფინანსური ანგარიშგებების კომპილაციას ისეთი დარგისა-წარმოებისთვის, რომელშიც ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების ბოლოდროინდელმა ცვლილებებმა გამოიწვია დარგის ფინანსური ანგარიშგების რთული ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. ჩვეულებრივ, თვრმის მიერ შესრულებული კომპილაციის გარიგებები არ არის რთული.	გარიგების შესრულების კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, რადგან გარიგების გუნდები, რომლებიც კომპილაციას ასრულებენ, არ გადიან შესაბამის კონსულტაციას იმის გამო, რომ მათ ადრე არ დასჭირვებიათ კონსულტაციის გავლათვინანსური ანგარიშგების რთულ ახსნა-განმარტებით შენიშვნებთან დაკავშირებით.
სუბიექტების ტიპები, რომელთათვისაც გარიგებები ჩატარდა: თვრმა ასრულებს იმ საწარმოთა აუდიტს, რომლებიც სოფლის მეურნეობაში არიან ჩართულნი.	რესურსების კონტექსტში, აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს, როდესაც პერსონალს არ აქვს სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული შესაბამისი ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების სათანადო ცოდნა ანგამოცდილება.



თვრმას არ ევალება თითოეული პირობის, მოვლენის, გარემოების, ქმედების ან აკრძალვის განხილვის დოკუმენტირება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ხარისხის რისკის წარმოქმნა. ხარისხის რისკების დოკუმენტაციაში შეიძლება შედიოდეს ხარისხის რისკების შეფასების მიზეზები, ანუ განხილული შემთხვევა და გავლენა ხარისხის მიზნების მიღწევაზე.


გარკვეულ გარემოებებში, თვრმისთვის შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს თვრმის პროცესებისა და ანალიზის დოკუმენტირება ხარისხის მიზნების დასადგენად, ხარისხის რისკების იდენტიფიცირებისა და შეფასებისათვის და ამგვარი რისკებისთვის საპასუხო ზომების შემუშავებისთვის, რათა უზრუნველყოს ხარისხის მართვის სისტემის შესახებ თვრმის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველი.

დოკუმენტაციასთან დაკავშირებული დამატებითი საკითხები შესულია სახელმძღვანელოს დოკუმენტაციის ნაწილში.

საპასუხო ზომების შემუშავება და განხორციელება



ხმს 1, პუნქტები: 16(ფ), 26, გ25-გ27 და გ49-გ51



საპასუხო ზომები, რომლებიც სათანადოდ შემუშავებული და განხორციელებულია ხარისხის რისკებზე რეაგირებისთვის, ამცირებს ხარისხის რისკის წარმოქმნის ალბათობას, რაც ეხმარება თვრმას ხარისხის მიზნების მიღწევაში.

როგორ ადგენს და ახორციელებს ფირმა საპასუხო ზომებს

ხმს 1 ავალდებულებს ფირმას შეიმუშავოს და განახორციელოს საპასუხო ზომები, რომლებიც სათანადო რეაგირებას მოახდენს ხარისხის რისკებზე. იმისათვის, რომ ხარისხის რისკებზე სათანადო რეაგირება მოახდინოს, ფირმა უნდა დაფიქრდეს ხარისხის რისკების შეფასების მიზეზებზე, როგორც ქვემოთ, ცხრილშია წარმოდგენილი:

შეფასების მიზეზი	როგორ მოქმედებს შეფასების მიზეზი საპასუხო ზომის შემუშავებაზე
როგორ და რამდენად მოქმედებს ხარისხის მიზნების მიღწევაზე პირობები, მოვლენები, გარემოებები, ქმედებები ან აკრძალვები	მაგალითი: - ხარისხის რისკი, რომლის დროსაც პერსონალს შორის არ არსებობს აზრთა სხვადასხვაობა და ხელმძღვანელობა ფირმის ყურადღების ცენტრშია, არ შეიძლება სათანადო ზომები გატარდეს იმ პოლიტიკის მეშვეობით, რომელიც იგივე ხელმძღვანელობას მოიაზრებს აზრთა სხვადასხვაობის პროცესში. - ხარისხის რისკი, რომლის დროსაც გარიგების გუნდებზე არ ხორციელდება სათანადო მმართველობა და ზედამხედველობა, ხოლო მათ სამუშაოზე სათანადო მიმოხილვა, გლობალური პანდემიის პერიოდში ამან ხარისხის მიზნების მიღწევაზე შესაძლოა დიდი გავლენა იქონიოს ფირმაში ხარისხის რისკის ყოვლისმომცველობის გამო. შესაბამისად, შესაძლოა საჭირო გახდეს უფრო მეტად ძლიერი საპასუხო ზომების მიღება.
ხარისხის რისკების შესაძლო მოხდენა	მაგალითი: ხარისხის რისკს, რომლის დროსაც შესაძლოა არსებობდეს პერსონალის ფინანსური ინტერესებისგან გამოწვეული დამოუკიდებლობის დარღვევები, შეიძლება ჰქონდეს წარმოქმნის მაღალი ალბათობა, თუ ფირმას ბევრი დასაქმებული ჰყავს. შედეგად, შესაძლოა საჭირო გახდეს უფრო მეტად ძლიერი საპასუხო ზომების მიღება.

ფირმამ საპასუხო ზომების შემუშავებისას მრავალი ფაქტორი შეიძლება გაითვალისწინოს, განსაკუთრებით თუ ის ეხება საპასუხო ზომის ხასიათს, ვადებსა და მოცულობას.

ხასიათი	ვადები	მოცულობა
ფაქტორები, რომელიც შეიძლება ფირმამ განიხილოს: - უკეთადმოიფხვრება თუ არა ხარისხის რისკი, პრევენციული მოქმედებებით, დადგენილი მოქმედებებით ან ორივე ზემოაღნიშნული გზით. - იქნება თუ არა საპასუხო ზომა ტექნოლოგიების გამოყენებით მეტად ეფექტური საშუალება ხარისხის რისკის აღმოსაფხვრელად. - რა რესურსები იქნება საჭირო საპასუხო ზომების გასამყარებლად, მაგ.: სპეციალიზებული ცოდნა ან კვალიფიკაცია და რა ინფორმაციაა საჭირო. - ვინ განახორციელებს საპასუხო ზომას, მაგალითად საჭიროა თუ არა მისი განხორციელება გარიგების დონეზე.	ფაქტორები, რომელიც შეიძლება ფირმამ განიხილოს: - უკეთადმოიფხვრება თუ არა ხარისხის რისკი საპასუხო ზომით, რომელიც არის პერიოდული ან მიმდინარე მოქმედება. - თუ საპასუხო ზომა პერიოდულია, რა სიხშირით უნდა განხორციელდეს იგი ხარისხის რისკის ეფექტურად აღმოსაფხვრელად.	ფაქტორები, რომელიც შეიძლება ფირმამ განიხილოს: უნდა გავრცელდეს თუ არა საპასუხო ზომები ყველა მოვლენაზე, რომელსაც საპასუხო ზომა უკავშირდება თუ მხოლოდ შერჩეულ მოვლენებზე (მაგ.: აუდიტის ყველაგარიგება თუ მხოლოდ აუდიტის გარკვეული გარიგებები).

ამასთან, ფირმას შეიძლება დასჭირდეს იმის განიხილვა, ხარისხის რისკის აღმოსაფხვრელად საკმარისია თუ არა მხოლოდ ერთი საპასუხო ზომა, თუ საჭიროა რამდენიმე საპასუხო ზომის ერთობლივად გატარება. ფირმას შეუძლია აგრეთვე ისეთი საპასუხო ზომის შემუშავება და განახორციელება, რომელიც რეაგირებას მოახდენს ხარისხის რამდენიმე რისკზე, თუკი საპასუხო ზომა საკმარისად ზუსტია იმისთვის, რომ ეფექტურად გაუმკლავდეს თითოეულ დაკავშირებულ ხარისხის რისკს.

საპასუხო ზომების ურთიერთკავშირი

საპასუხო ზომები სხვადასხვა გზით შეიძლება უკავშირდებოდნენ ერთმანეთს, მათ შორის:

- საპასუხო ზომები შეიძლება შეეხოს მრავალ ხარისხის რისკს სხვადასხვა კომპონენტში.
- საპასუხო ზომამ შესაძლოა ხელი შეუწყოს სხვა საპასუხო ზომის მოქმედებას სხვა კომპონენტში. ეს განსაკუთრებით ეხება საპასუხო ზომებს, რომლებიც დაკავშირებულია რესურსებთან და ინფორმაციასა და კომუნიკაციასთან, რადგან ეს ელემენტები ხშირად საჭიროა სხვა საპასუხო ზომების მოქმედების ხელშესაწყობად.

საპასუხო ზომის მაგალითი, რომელიც ხელს უწყობს სხვა საპასუხო ზომას

რესურსების კომპონენტთან დაკავშირებული საპასუხო ზომები, რომლებიც ინტელექტუალურ რესურსებზე ახდენს რეაგირებას, შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს ფირმის გადაწყვეტილების გასამყარებლად იმის თაობაზე, უნდა დათანხმდეს ან გააგრძელოს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობა ან კონკრეტული გარიგება, რადგან ფირმა შეიძლება დამოკიდებული იყოს ამ ინტელექტუალურ რესურსებზე, რათა მოიზოვოს ინფორმაცია გარიგებების და დამკვეთის პატიოსნების და ეთიკური ღირებულებების შესახებ.

ხმსს 1-ით განსაზღვრული საპასუხო ზომები



ხმსს 1, პუნქტები:
34, 3116-3137

ხმსს 1-ის 34-ე პუნქტში აღწერილია კონკრეტული საპასუხო ზომები, რომლის შემუშავება და განხორციელება ფირმას ევალება. ხმსს 1-ით განსაზღვრული ხარისხის მიზნებისაგან განსხვავებით, კონკრეტული საპასუხო ზომები არ არის ყოვლისმომცველი და, რეაგირების თვალსაზრისით, ყველა ხარისხის რისკს არ მისადაგება. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ხმსს 1-ის 26-ე პუნქტის მოთხოვნების სრულად დამყოფილების მიზნით, ფირმა, სტანდარტში განსაზღვრული საპასუხო ზომების გარდა, შეიმუშავებს და განახორციელებს სხვა დამატებით ზომებსაც.

მართალია, საპასუხო ზომები განსაზღვრულია ხმსს 1-ის 34-ე პუნქტში, მაგრამ მათი ხასიათი, ვადები და მოცულობა სხვადასხვანაირი იქნება ფირმის ხასიათისა და გარემოებების მიხედვით.

მაგალითი, თუ როგორ შეიძლება გაითვალისწინოს ფირმამ განსაზღვრული საპასუხო ზომის ხასიათი, ვადები და მოცულობა

ხმსს 1-ის 34(გ) პუნქტი ფირმას ავალდებულებს მიღებული ჰქონდეს შემდეგი საპასუხო ზომა:

ფირმა აწესებს პოლიტიკას ან პროცედურებს ისეთი საჩივრებისა და ბრალდებების მიღების, მოკვლევისა და გადაჭრისთვის, რომლებიც ეხება იმას, რომ სამუშაო არ შესრულდა პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად, ან არ შესრულდა ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც დაწესებული იყო წინამდებარე ხმსს-ის შესაბამისად.

აღნიშნული საპასუხო ზომის შემუშავებასა და განხორციელებისას ფირმას შეუძლია ისეთი საკითხების განხილვა, როგორიცაა:

- ვინ უნდა მიიღოს, გამოიკვლიოს და გადაჭრას საჩივრები და ბრალდებები, მათ შორის მისი შესრულება უნდა გადაეცეს თუ არა მისი მომსახურების პროვაიდერს და ამ პროცესში ერთი პირი უნდა იყოს ჩართული თუ ერთზე მეტი.
- ადგენს თუ არა ფირმისთვის ან მისი პერსონალისთვის კანონმდებლობა ან სათანადო ეთიკური მოთხოვნები საჩივრებსა და ბრალდებებთან დაკავშირებით ისეთ პასუხისმგებლობებს, როგორიცაა, მაგალითად ფირმაზე ან მის პერსონალზე ვალდებულების დავისრება, აცნობოს ამ საკითხის შესახებ ფირმის გარე ორგანოს (მაგ.: ბესს-ის კოდექსის⁷ 260-ე და 360-ე განყოფილებები ეხება მიდგომას, რომელსაც ფირმამ ან მისმა პერსონალმა უნდა მიმართოს კანონმდებლობის დარღვევაზე ან საეჭვო დარღვევაზე რეაგირების მიზნით).
- როგორ უნდა განხორციელდეს პერსონალის ინფორმირება საჩივრებისა და ბრალდებების შესახებ?
- როგორ უნდა იქნეს დაცული საჩივრებისა და ბრალდებების კონფიდენციალურობა?
- როგორ უნდა განიხილებოდეს საჩივრები და ბრალდებები, მათ შორის, როდის უნდა ეცნობოს მათ შესახებ ხელმძღვანელობას და როდის უნდა ჩაერთოს იურისტი ამ პროცესში.

შეიძლება არსებობდეს ისეთი გარემოებები, როდესაც სტანდარტით განსაზღვრული საპასუხო ზომა ან მისი რომელიმე ასპექტი არ შეესაბამება ფირმას, ფირმის ან მისი გარიგებების ხასიათის და გარემოებების გამო, რა შემთხვევაშიც ხმს 1-ის მე-17 პუნქტი გამოიყენება (ე.ი. მოსალოდნელი არ არის, რომ ფირმა შეასრულებს მოთხოვნებს, თუ ისინი არ არის მისთვის შესაფერისი).



ხმს 1-ის გ29 პუნქტი მოიცავს მაგალითს, როდესაც განსაზღვრული საპასუხო ზომა შეიძლება არ იყოს ფირმის შესაფერისი.

საპასუხო ზომების გრადაცია

საპასუხო ზომების ხასიათი, ვადები და მოცულობა განისაზღვრება კონკრეტული ხარისხის რისკების მიხედვით, რომელზეც გავლენას ახდენს ფირმისა და მისი გარიგებების ხასიათი და გარემოებები. მცირე ზომის და ნაკლებად რთულ ფირმებს დიდი და მეტად რთული ფირმებისაგან განსხვავებული ხარისხის რისკები აქვთ და, შესაბამისად, განსხვავებულ საპასუხო ზომა იქნება საჭირო. იმ ხარისხის რისკებისთვის, რომლებიც საერთოა ყველაწარმოებელ ზომისა და სირთულის ფირმისათვის, საპასუხო ზომების ხასიათი, ვადები და მოცულობა შეიძლება განსხვავდებოდეს ფირმის გარემოებების გათვალისწინებით.

მაგალითი, თუ როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს საპასუხო ზომა მცირე ზომის და ნაკლებად რთულ ფირმასა და დიდ და მეტად რთულ ფირმას შორის ძირითადი ხარისხის რისკის გამო

ხარისხის რისკი	საპასუხო ზომა
ფირმა მცირე ფირმაა, რომელსაც მხოლოდ ერთი ოფისი აქვს. ხელმძღვანელობა კონცენტრირებულია ერთ პირზე. ეს იწვევს ხარისხის რისკს იმასთან დაკავშირებით, რომ ფირმის კულტურაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ხელმძღვანელობის ყოველდღიური ქმედებები და ქცევები.	საპასუხო ზომები შეიძლება მოიცავდეს ფირმის ხელმძღვანელობის დამოუკიდებელ წვრთნას, მათ შორის ფირმის ყველა დონის პერსონალისგან ანონიმური გამოხმაურების/მოსაზრებების პერიოდულის წარდგენის მოთხოვნას ისე, რომ ნათლად იყოს გამოხატული, როგორ მოქმედებს ფირმაზე ხელმძღვანელობის ქმედებები და ქცევები და როგორ შეიძლება მათი გაუმჯობესება სასურველი კულტურის მისაღწევად.

⁷ ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის საერთაშორისო კოდექსი (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესს-ის კოდექსი)

ხარისხის რისკი	საპასუხო ზომა
ფირმა დიდი ფირმაა, რომელსაც მრავალ ადგილას აქვს ოფისი და ხელმძღვანელობის სტრუქტურა რამდენიმე დონისგან შედგება. აღნიშნული იწვევს ხარისხის რისკს იმასთან დაკავშირებით, რომ მთელ ფირმაში ერთგვაროვანი კულტურა არ არის მიღწეული.	საპასუხო ზომებში შესაძლოა მოიცავდეს ქვეყნის კოდექსში ფირმის ღირებულებების დადგენას, ფირმის მასშტაბის ფორმალური კომუნიკაციის მეთოდების განსაზღვრას, რომლებიც ხაზს უსვამს ხარისხის მნიშვნელობას, კულტურის ფორმალური პერიოდული შეფასების ჩატარებას და ხელმძღვანელობის სისტემატური შეხვედრების ორგანიზებას, სადაც განიხილავენ ძირითად გზავნილებს, გადაწყვეტილებებსა და ქმედებებს.

ისეთი ინფორმაციის იდენტიფიცირება, რომელიც მიაწოდებს ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკების ან საპასუხო ზომების დამატებების ან ცვლილებების საჭიროებაზე



ხარისხის რისკები ან საპასუხო ზომები

ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკების ან საპასუხო ზომების დადგენა, რომლებიც ფირმამ უნდა განახორციელოს, არ არის ერთჯერადად შესასრულებელი დავალება. ხარისხის მიზნები, ხარისხის რისკები ან საპასუხო ზომები შეიძლება შეიცვალოს შემდრგი ფაქტორების შედეგად:

- ფირმის ან მისი გარიგებების ხასიათისა და გარემოებების ცვლილებების; ან
- ფირმაში ხარისხის მართვის სისტემის ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით გატარებული გამოსასწორებელი ზომების გამო.

დამატებები ან ცვლილებები ხარისხის მიზნებში, ხარისხის რისკებში ან საპასუხო ზომებში

ფირმამ შესაძლოა გამოავლინოს ინფორმაცია, რომელიც მიაწოდებს, რომ ფირმის ან მისი გარიგებების ხასიათისა და გარემოებების შეცვლის გამო აუცილებელია ხარისხის დამატებითი მიზნების დადგენა, ან დამატებითი ან შეცვლილი ხარისხის რისკების ან საპასუხო ზომების განსაზღვრა. შესაძლოა აუცილებელი იყოს შემდეგი დამატებები ან ცვლილებები:

ხარისხის მიზნები	• შესაძლოა აუცილებელი იყოს ახალი დამატებითი ხარისხის მიზნების დადგენა; • ფირმის მიერ ადრე დადგენილი დამატებითი ხარისხის მიზნები შეიძლება აღარ იყოს აუცილებელი ან შეიძლება მოდიფიცირება დასჭირდეს; ან • ფირმის მიერ ადრე დადგენილი ქვემიზნები შეიძლება აღარ იყოს აუცილებელი ან შეიძლება მოდიფიცირება დასჭირდეს. თუმცა, არ შეიძლება სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო ხარისხის მიზნების მოდიფიცირება ან მთლიანად უგულებელყოფა, თუკი ფირმისთვის შესაფერისი არ არის ხმს 1-ის მე-17 პუნქტის გამოყენება (ე.ი. ხარისხის მიზნები აღარ იქნება შესაბამისი).
------------------	--

ხარისხის რისკები	• შეიძლება გამოვლინდეს ახალი ხარისხის რისკები; • ამჟამად არსებული ხარისხის რისკები შეიძლება აღარ კვალიფიცირდებოდეს ხარისხის რისკებად; • ამჟამად არსებული ხარისხის რისკები შესაძლოა საჭიროებდეს მოდიფიცირებას; ან • ამჟამად არსებული ხარისხის რისკები შესაძლოა საჭიროებდეს ხელახლა შეფასებას.
საპასუხო ზომები	• შეიძლება შემუშავდეს და დაინერგოს ახალი საპასუხო ზომები; • შეიძლება შეწყდეს ამჟამად არსებული საპასუხო ზომები; ან • ამჟამად არსებული საპასუხო ზომები შესაძლოა საჭიროებდეს მოდიფიცირებას. სტანდარტით განსაზღვრული საჯაროდებულო საპასუხო ზომები აუცილებლად უნდა შეიმუშავოს და განახორციელოს თირმამ, თუმცა თირმამ შეიძლება მიზანშეწონილად მიიჩნიოს იმის შერჩევა, როგორ არის საპასუხო ზომები შემუშავებული და განხორციელებული. გარკვეული საპასუხო ზომები შესაძლოა არ შეწყდეს, თუკი თირმისთვის შესაფერისი არ არის ხმს 1-ის მ-17 პუნქტის გამოყენება (ი.ი. ხარისხის მიზნები აღარ იქნება შესაბამისი).

როგორ ავლენს ფირმა ინფორმაციას, რომელიც მიაწოდებს ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკების ან საპასუხო ზომების დამატებების ან ცვლილებების საჭიროებაზე

ხმს 1 არ განსაზღვრავს რამდენად ხშირად უნდა გადაეფასოს თირმამ თავისი ხარისხის მიზნები, ხარისხის რისკები და საპასუხო ზომები, რადგან ისინი პროაქტიულად უნდა იქნეს მოდიფიცირებული, როდესაც ადგილი აქვს ცვლილებებს, რომელიც გავლენას ახდენს ხარისხის მართვის სისტემაზე ან როდესაც ნაკლოვანებები გამოვლინდება.

ხმს 1 ითვალისწინებს ორი მექანიზმს, რომლის საშუალებითაც თირმა ავლენს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მიანიშნებს ხარისხის მიზნებზე, ხარისხის რისკებზე ან საპასუხო ზომებზე დამატებების ან მოდიფიკაციების საჭიროებაზე.



ხმს 1-ის გ52 პუნქტში მოცემულია მაგალითი, როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს თირმის პოლიტიკა ან პროცედურები ნაკლებად რთულ თირმასა და მეტად რთულ თირმას შორის თირმისა და მისი გარემოების ხასიათსა და გარემოებებში განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირებისთვის.

თირმას აქვს პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც თირმის რისკის შეფასების პროცესის ნაწილია, ისეთი ინფორმაციის იდენტიფიცირებისთვის, რომელიც მიანიშნებს ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკების ან საპასუხო ზომების რეალიზების საჭიროებაზე. რომელიც უკავშირდება თირმის ხასიათსა და გარემოებებში მომხდარ ცვლილებებს.

თირმის მონიტორინგის და რეგულირების პროცესი იძლევა ინფორმაციას ხარისხის მიზნებთან, ხარისხის რისკებთან ან საპასუხო ზომებთან დაკავშირებული ნაკლოვანებების შესახებ.

მაგალითი:

გლობალური ჰანდედმის არსებობა იწვევს აუდიტის დისტანციურად ჩატარებას. ამან შეიძლება გამოიწვიოს რიგი დამატებითი ხარისხის რისკები ან ცვლილებები ხარისხის რისკების შეფასების პროცესში. მაგალითად, გარიგების შესრულების კონტექსტში, შესაძლოა გაიზარდოს არასათანადო ხელმძღვანელობასთან, ზედამხედველობასთან და მიმოხილვასთან დაკავშირებული ხარისხის რისკის შეფასება.

მაგალითი:

ნაკლოვანება ვლინდება, როდესაც ციფრული ფორმატის გარიგების დოკუმენტები თირმის სერვერზე პროგრამაში არასწორად იტვირთება ელექტრონული გათიშვის გამო. ეს იწვევს გარიგების დოკუმენტების დაკარგვას. თირმა ცვლის საპასუხო ზომებს სარეზერვო გენერატორის დამონტაჟებით, რათა ხელი შეუწყოს თირმის სერვერების მუდმივ ფუნქციონირებას ელექტროენერგიის გათიშვის დროს.



მმართველობა და ხელმძღვანელობა

მმართველობა და ხელმძღვანელობა უმნიშვნელოვანესია ხარისხის მართვისთვის ფირმისა და გარიგების დონეზე, რადგან ეს არის საშუალება, რომლის მეშვეობითაც ფირმა ნერგავს თავის კულტურას და ეთიკას, თვითრეგულირდება და რომელიც ფირმის გადაწყვეტილებების საფუძველს წარმოადგენს. ფირმის მმართველობა გავლენას ახდენს აგრეთვე ფირმის შესახებ საზოგადოებრივ შეხედულებებზეც; ფირმა ეფექტური მმართველობის გარეშე შეიძლება აღქმულ იქნეს როგორც ფირმა, რომელიც არ ფუნქციონირებს საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე.

ქვემოთ აღწერილია, თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 არსებულ სტანდარტთან შედარებით მმართველობასა და ხელმძღვანელობასთან მიმართებით:



- ახალი და გაზრდილი მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია ფირმის ხარისხისადმი ერთგულებასთან მისი კულტურის მეშვეობით. როგორც ფირმის კულტურის ნაწილი, მოთხოვნები ახლა ეხება ასევე:
 - o ფირმის საზოგადოებრივი ინტერესის როლს;
 - o პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და ქცევის მნიშვნელობას;
 - o ფირმის მთელი პერსონალის პასუხისმგებლობას ხარისხზე, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების შესრულებასთან ან ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში შესრულებულ ქმედებებთან და ასევე მათ მოსალოდნელ ქცევას; და
 - o ხარისხს ფირმის სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და ქმედებების კონტექსტში, მათ შორის ფირმის ფინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებში.
- ახალი მოთხოვნები, რომელიც ეხება ხელმძღვანელობის ქცევას და ხარისხის მიმართ მათ ერთგულებას, ასევე ხარისხზე მათ ანგარიშვალდებულებას.
- ახალი მოთხოვნები, რომელიც ეხება ფირმის ორგანიზაციულ სტრუქტურას და ფირმის ფუნქციების, მოვალეობების და უფლებამოსილებების განაწილებას.

როგორ წარმოაჩენს ფირმა ხარისხისადმი ერთგულებას თავისი კულტურის მეშვეობით

მთელი ფირმის მასშტაბით ხარისხისადმი ერთგულების დანერგვა შესაძლებელია მთელი რიგი მექანიზმებითა და ქმედებებით, როგორიცაა, მაგალითად:

ხელმძღვანელობის ტონი

ხმს 1 ხელმძღვანელობის ტონს განიხილავს ხმს 1-ში წარმოდგენილი იმ სხვადასხვა მოთხოვნის საშუალებით, რომელიც ხელმძღვანელობასთან არის დაკავშირებული:

- მოთხოვნები, რომელიც განსაზღვრავს პასუხისმგებლობებს, რომელთა განაწილებაც აუცილებელია და თუ ვის უნდა მიენიჭოს ეს პასუხისმგებლობები;
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ხმს 1-ის შესწავლასა და გააზრებაზე;
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხარისხზე;
- ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასებასა და შესაბამის დასკვნაზე; და
- ხელმძღვანელობის საქმიანობის შეფასება.

	სხვა მოქმედებების მაგალითები, რომლებიც ხელმძღვანელობამ შეიძლება გაატაროს, ზემოაღნიშნული მოთხოვნების დაკმაყოფილების გარდა: • ნდობის დამყარება თანმიმდევრული, რეგულარული და ღია კომუნიკაციით. • თვრმის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა იმ ქმედებებთან დაკავშირებით, რომელიც რეაგირებას ახდენს ხარისხზე და ამ ქმედებების ეფექტურობაზე.
ხარისხისადმი ერთგულება მთელი პერსონალის მხრიდან	ხმსს 1 განიხილავს პერსონალის ქმედებებს, ქცევებსა და ხარისხისადმი მათ ერთგულებას შემდეგი ხარისხის მიზნების მეშვეობით: • მთელი პერსონალის ხარისხზე პასუხისმგებლობის განმტკიცებით, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების შესრულებასთან ან ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში შესრულებულ მოქმედებებთან და ასევე მათ მოსალოდნელ ქცევასთან; და • როგორც რესურსების ნაწილი, მოსალოდნელია, რომ პერსონალი ხარისხის მიმართ ერთგულებას წარმოაჩენს საკუთარი ქმედებებითა და ქცევით, თავისი როლის შესასრულებლად საჭირო კომპეტენციის სათანადო დონეზე განვითარებითა და შენარჩუნებით, ხოლო მათი ანგარიშვალდებულების განსაზღვრა ან აღიარება ხდება მათი მოშაობის დროული შთასებით, ანაზღაურებისა და დაწინაურების პოლიტიკის და სხვა წამახალისებელი საშუალებების გამოყენებით. სხვა მოქმედებების მაგალითები, რომელიც თვრმამ შეიძლება გაატაროს ხარისხისადმი პერსონალის ერთგულების მიმართ • ქცევის კოდექსის შემუშავება. • იმის განსაზღვრა, როგორ უნდა შთასდეს ხარისხი და როგორ უნდა აისახოს პერსონალის შთასებაში გათვალისწინებულ ხარისხთან დაკავშირებულ მაჩვენებლებში, ანაზღაურებასა და დაწინაურებაზე შესაბამის გავლენასთან ერთად. • პერსონალისთვის განვითარების შესაძლებლობების შექმნა, რომელიც ხარისხს განამტკიცებს.
ხარისხის ჩართვა თვრმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებში, მათ შორის, თვრმის თინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებში	ხარისხის მართვა არ არის თვრმის განცალკევებული ფუნქცია. ეფექტიანობისთვის, კულტურა, რომელიც ავლენს ხარისხისადმი ერთგულებას, უნდა გაერთიანდეს თვრმის სტრატეგიასთან, საოპერაციო საქმიანობასა და ბიზნეს პროცესებთან. ხმსს 1 მოიცავს ხარისხის მიზანს, რომელიც ეხება თვრმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს, მათ შორის თვრმის თინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებს, რომლებმაც ხარისხი უნდა აღიარონ. სტრატეგიული გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში შესაძლოა შედიოდეს თვრმის ბიზნესის სტრატეგია, თინანსური მიზნები, როგორ იმართება რესურსები, თვრმის საბაზრო წილის ზრდა, დარგობრივი სპეციალიზაცია ან ახალი მომსახურებების შეთავაზებები. მაგალითი, თუ როგორ უნდა მოხდეს ხარისხის ინტეგრირება თვრმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებში • თვრმის მიზნისა და ღირებულებების გასაზღვრა და ხარისხის აღიარების უზრუნველყოფა თვრმის მიზანსა და ღირებულებებში.

ფირმის კულტურის ყოვლისმომცველი ხასიათის გათვალისწინებით, ფირმის ერთგულებას ხარისხისადმი ხარისხის მართვის სისტემის სხვა მრავალი ასპექტი აძლიერებს.

მაგალითები, თუ როგორ აძლიერებს ხარისხის მართვის სისტემის სხვა ასპექტები ხარისხისადმი ერთგულებას

- ფირმის პოლიტიკა და პროცედურები, როებიც ეხება კონსულტაციას, რომელიც ხელს უწყობს კონსულტაციის გავლას რთულ ან სადავო საკითხებზე და აძლიერებს კონსულტაციის მნიშვნელობასა და სარგებელს, შესაძლოა ფირმას დაეხმაროს ხარისხის მნიშვნელობის გამოკვეთაში.
- დამკვეთებთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასა და გაგრძელებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მხარდასაჭერად მძლავრი, საიმედო სისტემის დანერგვამ შესაძლოა გავლენა იქონიოს ხარისხთან მიმართებით ფირმის ხელმძღვანელობის ტონზე.



ფირმის ხელმძღვანელობის სხვა პერსონალთან უშუალო ურთიერთქმედებით, მცირე ზომის ფირმამ შესაძლოა ჩამოაყალიბოს ფირმის სასურველი კულტურა, რაც ყოველთვის შესაძლებელი არ არის დიდი ფირმების შემთხვევაში.



როდესაც ფირმა ქსელს ეკუთვნის, ფირმის კულტურაზე შესაძლოა აგრეთვე გავლენა იქონიოს და მხარი დაუჭიროს ქსელმა, მაგალითად:

- ქსელის დონეზე ხელმძღვანელობის ტონის მეშვეობით და ხარისხის მნიშვნელობაზე ყურადღების გამახვილებით.
- ქსელის მფლობელობაში მყოფი ფირმის ხელმძღვანელობისთვის ხარისხზე პასუხისმგებლობის დაკისრებით.
- ქსელის მოთხოვნებით და ქსელის მოთხოვნებთან ფირმის შესაბამისობასთან დაკავშირებული ქსელის მონიტორინგით.
- როგორ მართავს ქსელი ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებს ქსელის ყველა ფირმაში და როგორ რეაგირებს, მათ შორის საპასუხო ზომების დროულობა, ხარისხის საკითხების კომუნიკაცია და რა ზომები ტარდება ქსელის ფირმებთან დაკავშირებით, რომელიც არ აკმაყოფილებს ქსელის მოთხოვნებს.



მართალია, საჯარო სექტორში ფირმის სტრატეგიულ გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებზე შესაძლოა ნაკლებ გავლენას ახდენდეს ისეთი საკითხები, როგორიცაა მოგებიანობა ან სტრატეგიული ფოკუსირების სფეროები, მაგრამ მათზე მაინც მოქმედებს ფინანსური და საოპერაციო პრიორიტეტები, მაგალითად, ფინანსური რესურსების განაწილება.



სათანადო ეთიკური მოთხოვნები

ქვემოთ აღწერილია, თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 არსებულ სტანდარტთან შედარებით სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან მიმართებით:



- მორგებულია პრინციპებზე დაფუძნებულ მოთხოვნებზე, რათა დაადგინოს ხარისხის მიზნები, რომლებიც განუთვნილია პასუხისმგებლობების შესასრულებლად სათანადო ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისად.
- გაზრდილია ყურადღებას აქცევს სათანადო ეთიკურ მოთხოვნაზე (ე.ი. არა მარტო დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ მოთხოვნებზე).
- გაზრდილია სიზუსტე, იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად საჭიროებს ხარისხის მართვის სისტემა იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე რეაგირებას, რომელიც ფირმის გარე, სხვა მხარეებზე ვრცელდება (ე.ი. ქსელზე, ქსელის ფირმებზე, ქსელში ან ქსელის ფირმებში დასაქმებულ პირებზე ან მომსახურების პროვაიდერებზე).
- გაზრდილია სიცხადე სათანადო ეთიკური მოთხოვნების მოქმედების სფეროსთან დაკავშირებით ხარისხის მართვის სისტემის კონტექსტში.

ამჟამად არსებული ხმს 1-ის ქვემოთ მოცემული მოთხოვნები ხმს 1-ში აღწერილია შემდეგნაირად:

- ხმს 1 მოიცავდა სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც შეეხებოდა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციასა და კომუნიკაციას (მაგ.: მოთხოვნები, რომ ჰქონდეთ პოლიტიკა და პროცედურები, რომლებიც შეეხება დამოუკიდებლობის მოთხოვნების ინფორმირებას, ჰყავდეთ გარიგების პარტნიორები ან პერსონალი, რომელიც ფირმას აცნობებს დამოუკიდებლობის მიმართ შექმნილი საფრთხის ან დამოუკიდებლობის დარღვევების შესახებ. ფირმის ხარისხის მართვის სისტემამ ახლაც უნდა დაუთმოს ყურადღება დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას და კომუნიკაციას, მაგრამ ეს საკითხი ხმს 1-ის ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტის საშუალებით გადაიჭრება.
- ხმს 1 მოიცავდა მოთხოვნებს, რომლებიც ეხებოდა სპეციალურ პოლიტიკასა და პროცედურებს პერსონალის ხანგრძლივ კავშირთან დაკავშირებით. ეს მოთხოვნა არ შენარჩუნდა ხმს 1-ში. თუმცა, სათანადო ეთიკური მოთხოვნების დებულებების გათვალისწინებით, ფირმის ხარისხის მართვის სისტემამ ისევ უნდა გაამახვილოს ყურადღება პერსონალის ხანგრძლივ კავშირზე, რადგანაც ხმს 1-ში მოცემული ხარისხის მიზნები სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესრულებას ეხება.



ხმს 1-ის 34(ა) და 34(ბ) პუნქტებში აღწერილია სპეციფიკური საპასუხო ზომები, რომლებიც დაკავშირებულია სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან და ეყრდნობა ამჟამად არსებული ხმს-ის მოთხოვნებს.

ფირმის პასუხისმგებლობა სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რომლებიც სხვა მხარეებზე ვრცელდება (ე.ი. ქსელზე, ქსელის ფირმებზე, ქსელში ან ქსელის ფირმებში დასაქმებულ პირებზე ან მომსახურების პროვაიდერებზე)

იმის გათვალისწინებით, რომ გარიგებების შესრულებაში ან ხარისხის მართვის სისტემის სხვადასხვა აქტივობებში შესაძლოა ჩართულნი იყვნენ სხვა, ფირმის გარე პირები, ფირმას აქვს პასუხისმგებლობა, მიმართოს სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს, რომლებიც სხვა პირებზეც ვრცელდება. მაგალითად, ფირმას მომსახურების პროვაიდერისაგან შესაძლოა დასჭირდეს გარიგების ხარისხის მიმომხილველის გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ ფირმას არ ჰყავს პერსონალი, რომელიც დაამაყოფილებს ამ როლის შესრულებისთვის ხმს 2-ით დადგენილ კრიტერიუმებს.



ხმს 1-ის გ65 პუნქტში მოცემულია სათანადო ეთიკური მოთხოვნების მაგალითები, რომლებიც შესაძლოა ფირმის გარე მხარეებზე გავრცელდეს.

აღსანიშნია, რომ ფირმა ფირმისა და ფირმის გარიგებების კონტექსტშია პასუხისმგებელი მხოლოდ იმ სათანადო ეთიკურ მოთხოვნებზე, რომლებიც სხვა მხარეებზე ვრცელდება. სხვა მხარეებზე შესაძლოა ვრცელდებოდეს სხვა ეთიკური მოთხოვნებიც, რომლებიც ფირმას არ უკავშირდება.

მაგალითები, თუ როდის არის და როდის არ არის ფირმა პასუხისმგებელი სხვა მხარეების მიერ ეთიკური მოთხოვნების შესრულებაზე

გარემოებები	რაზე არ ეკისრება ფირმას პასუხისმგებლობა?	რაზე ეკისრება ფირმას პასუხისმგებლობა?
ფირმაზე ვრცელდება A იურისდიქციის ეთიკის კოდექსი. ფირმა იყენებს აუდიტორის ექსპერტს (გარე ექსპერტი) ფინანსური ანგარიშგების აუდიტისთვის აქტივების შეფასების უზრუნველყოფის მიზნით. ექსპერტი არის შეფასების პროფესიონალთა ასოციაციის წარმომადგენელი და ექსპერტს დაეხმარება ასოციაციის ეთიკურ მოთხოვნებს. ექსპერტს წვდომა აქვს დამატების კონფიდენციალურ ინფორმაციაზე.	ფირმა არ არის პასუხისმგებელი აუდიტორის ექსპერტის მიერ შეფასების პროფესიონალთა ასოციაციის ეთიკური მოთხოვნების შესრულებაზე.	ფირმა პასუხისმგებელია, უზრუნველყოს, რომ აუდიტორის ექსპერტმა იცის A იურისდიქციის ეთიკის კოდექსის კონფიდენციალურობის დებულებები და აუდიტორის ექსპერტი დამატების ინფორმაციას ეპრობა. როგორც კონფიდენციალურს.

გარემოებები	რაზე არ ეკისრება ფირმას პასუხისმგებლობა?	რაზე ეკისრება ფირმას პასუხისმგებლობა?
ფირმაზე ვრცელდება A ოურისდიქციის ეთიკის კოდექსი. ფირმა ატარებს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს და ქსელის ერთ-ერთ ფირმას, როგორც კომპონენტის აუდიტორს, რთავს სხვა ოურისდიქციაში ამ კომპონენტთან დაკავშირებით აუდიტის პროცედურების შესასრულებლად. ქსელის ფირმაზე ვრცელდება B ოურისდიქციის ეთიკის კოდექსი.	ფირმა არ არის პასუხისმგებელი ქსელის ფირმის მიერ B ოურისდიქციის კოდექსის დაცვაზე.	ფირმა პასუხისმგებელია შემდეგზე: - პირებზე, ქსელის ფირმიდან, რომლებიც მიეკუთვნებიან კომპონენტს, რომელიც A ოურისდიქციის ეთიკის კოდექსის დებულებებს ასრულებს, რომელიც მათზე იმიტომ ვრცელდება, რომ A ოურისდიქციის ეთიკის კოდექსში მოცემული გარიგების გუნდის განმარტების თანახმად, ისინი კვალიფიცირდებიან, როგორც გარიგების გუნდის წევრები; და - ქსელის ფირმაზე, რომელიც A ოურისდიქციის ეთიკის კოდექსის დებულებებს ასრულებს, რომელიც ფირმის ქსელში არსებულ ყველა ქსელის ფირმაზე ვრცელდება, მაგ.: დამოუკიდებლობის მოთხოვნები.



- ფირმისთვის საუკეთესო პრაქტიკაა, განიხილოს, ვინ არის ჩართული ფირმის გარიგებებსა და ხარისხის მართვის სისტემის აქტივობების შესრულებაში და როგორ შეიძლება იმოქმედოს მათზე სატანადო ეთიკურმა მოთხოვნებმა.
- საპასუხო ზომები, რომლებიც ფირმამ შეიმუშავა და დანერგა სხვების მიერ სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესრულებაზე რეაგირების მოსახდენად, განსხვავებული იქნება იმ საპასუხო ზომებისგან, რომლებიც ფირმამ შეიმუშავა და დანერგა თავისი პერსონალის მიერ სათანადო ეთიკური მოთხოვნების შესრულებაზე რეაგირების მოსახდენად. მაგალითად, სათანადო ეთიკური მოთხოვნების გაგებასთან დაკავშირებით:
 - o ფირმის პერსონალს შეიძლება ჩაუტარდეს რეგულარული ტრენინგი სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან დაკავშირებით.
 - o მომსახურების პროვაიდერებისთვის, ფირმამ გარკვეული სათანადო ეთიკური მოთხოვნები შესაძლოა ხელშეკრულების პირობებში შეიტანოს (მაგ.: კონფიდენციალურობის მოთხოვნები).

დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელება



ხმს 1, პუნქტები:
30, გ67-გ74

ქვემოთ აღწერილია, თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 არსებულ სტანდარტთან შედარებით სათანადო ეთიკურ მოთხოვნებთან მიმართებით:



- მორგებულია პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნებზე, რათა დაადგინოს ხარისხის მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებასთან, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებასთან.
- ყურადღებას ამახვილებს ფირმის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე იმის თაობაზე, უნდა დათანხმდეს ან განაგრძოს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობა და კონკრეტული გარიგებები.
- გაზრდილი მოთხოვნა ფირმას უბიძგებს, გარიგების ხასიათისა და გარემოებების და დამკვეთის პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ მოიპოვოს ინფორმაცია (მათ შორის მმართველობის და, აუცილებლობის შემთხვევაში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ).
- ახალი მოთხოვნა, რომელიც ფირმის ფინანსურ და საოპერაციო პრიორიტეტებს ეხება გადაწყვეტილებების მიღების კონტექსტში იმის თაობაზე, დათანხმდეს ან განაგრძოს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობა ან კონკრეტული გარიგება.

ამჟამად არსებული ხვს 1-ის მოთხოვნები ხმს 1-ში შემდეგნაირად არის ასახული:

- ხვს 1 მოიცავდა სპეციალურ მოთხოვნებს, რომელიც უკავშირდება ფირმის შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს სათანადო ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული. ფირმის ხარისხის მართვის სისტემამ ისევ უნდა დაუთმოს ყურადღება ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებას, ხარისხის იმ მიზნების საშუალებით, რომლებიც სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს ეხება.
- ხვს 1 მოიცავდა სპეციალურ მოთხოვნებს, რომელიც ფირმას ავალდებულებდა, სამუშაო დოკუმენტებში აესახა, როგორ გასაიჭრა პრობლემები, როდესაც ეს პრობლემები ფირმამ გამოავლინა. ხმს 1-ში შედის ახალი, პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნები, რომელიც ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული საკითხების დოკუმენტირებას ეხება.

ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც ეხება დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებას, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებას

ფირმის პოლიტიკამ ან პროცედურებმა დათანხმებასა და გაგრძელებასთან დაკავშირებით შესაძლოა:

- განსაზღვროს კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც უნდა შეგროვდეს გარიგების ხასიათისა და გარემოებების და ასევე დამკვეთის (მათ შორის, ხელმძღვანელობის და, შესაბამის შემთხვევებში, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებლობის პირების) პატიოსნებისა და ეთიკური ღირებულებების შესახებ. ზოგ შემთხვევაში, პოლიტიკა ან პროცედურები შესაძლოა მიაწოდოს ან გასაზღვრავდეს თუ საიდან უნდა იქნეს ინფორმაცია მოპოვებული.



ხმს 1-ის გ67-გ69 და გ72 პუნქტებში წარმოდგენილი მოთხოვნების გამოყენებაში მოცემულია ისეთი ინფორმაციის მაგალითები, რომელიც შესაძლოა ფირმამ მოიპოვოს დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმების ან გაგრძელების საკითხზე მსჯელობისას, ასევე ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება იმოქმედოს მოპოვებულ ინფორმაციასა დამისწყაროებზე.

- ჩამოაყალიბოს განსახილველი ფაქტორები, რომლებიც განსაზღვრავს შეუძლია თუ არა ფირმას შეასრულოს გარიგება პროფესიული სტანდარტებისა და შესაფერისი საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.
- განსაზღვროს (ან ავრძალოს) გარიგების ტიპები, რომლის შესრულებაც ფირმას შეუძლია და შესაძლოა საწარმოს გარკვეული ტიპებისთვის ავრძალოს გარიგებების შესრულება. მაგალითად:
 - o ფირმამ შესაძლოა ავრძალოს მარწმუნებელი გარიგებების შესრულება გარკვეულ განსახილველ საგანზე, როდესაც ფირმას ამ განსახილველ საგანზე გარიგების შესრულების შესაფერისი გამოცდილება არ აქვს.
 - o ფირმამ შესაძლოა ავრძალოს ისეთი მარწმუნებელი გარიგებების შესრულება, როგორიცაა ფინანსური ან-გარიშგების აუდიტი, ისეთი საწარმოებისთვის, რომლებიც გარკვეულ დარგებში ფუნქციონირებს (მაგ., ახლად წარმოქმნილი დარგები, არასტაბილურობის და ცვალებადი ოპერაციების მაღალი დონით).

ფირმა გადაწყვეტილებებს იღებს იმის თაობაზე, დათანხმდეს ან განაგრძოს თუ არა დამკვეთთან ურთიერთობა ან კონკრეტული გარიგება. ასს 220-ის (გადასინჯული) შესაბამისად, გარიგების პარტნიორი ადგენს, რომ ფირმის პოლიტიკა და პროცედურები შესრულებულია და ფირმის მიერ გამოტანილი დასკვნები ადეკვატურია.



ხმსს 1-ის გ122-გ123 პუნქტებში მოცემულია იმ საკითხების მაგალითები, რომლებიც შეიძლება განხილული იყოს დათანხმებასა და გაგრძელებასთან დაკავშირებულ ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების ფარგლებში.



ასს 220 (გადასინჯული) გარიგების პარტნიორს ასევე ავალდებულებს:

- ფირმის მიერ დათანხმებისა და გაგრძელების პროცესის ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია გაითვალისწინოს აუდიტის გარიგების დაგეგმვისა და შესრულებისას და ასევე ასს-ების მოთხოვნების დაცვისას.
- ფირმას მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც აუდიტის გარიგებაზე უარის თქმას გამოიწვევდა, თუ ფირმას ამის შესახებ ეცოდინებოდა დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმებამდე, ან დამკვეთთან ურთიერთობის ან კონკრეტული გარიგების გაგრძელებამდე.



ხმსს 1-ის 34(დ) პუნქტი განსაზღვრული საპასუხო ზომა, ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც განხილული უნდა იყოს ფირმის პოლიტიკაში ან პროცედურებში დათანხმების და გაგრძელებისთვის. განსაზღვრული საპასუხო ზომა ეფუძნება ამჟამად არსებულ ხვსს 1-ის მოთხოვნებს.



ფირმის პატიოსნების საფრთხე შეიძლება წარმოიშვას გარიგების განსახილველ საგანთან კავშირის გამო, რომელიც ყალბი ან მცდარია. როდესაც გარიგების განსახილველი საგანი ყალბი ან მცდარია, სათანადო ეთიკურ მოთხოვნებში შესაძლოა შედიოდეს მოთხოვნები, რომელიც იმას შეეხება, თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს ფირმა ამ მდგომარეობას. ამასთან, ხმსს 1-ის 34(დ) პუნქტი ავალდებულებს ფირმას რეაგირება მოახდინოს გარემოებებზე, როდესაც ფირმისთვის, მას შემდეგ, რაც ჩაატარებს დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმების ან გაგრძელების პროცედურებს, ცნობილი ხდება ისეთი ინფორმაცია, რაც დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე უარის თქმას გამოიწვევდა, თუ ეს ინფორმაცია მისთვის ცნობილი იქნებოდა მანამ, სანამ დაეთანხმებოდა ან გააგრძელებდა დამკვეთთან ურთიერთობას ან კონკრეტულ გარიგებას.

გარიგების შესრულება



ხმს 1, პუნქტები:
31, გ75-გ85

შემდეგ ბლოკში შეჯამებულია, თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 ამჟამად არსებულ სტანდარტთან შედარებით გარიგების შესრულებასთან მიმართებით:



- მორგებულია პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნებზე, რათა დაადგინოს ხარისხის მიზნები, რომლებიც ეხება გარიგების შესრულებას. პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნები კვლავ მოიცავს კონსულტაციას, აზრთა სხვადასხვაობას და გარიგების დოკუმენტების დაკომპლექტებაზე, შენახვასა და შენარჩუნებაზე რეაგირებას.
- ახალი მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია კონკრეტულ გარიგებებზე გარიგების გუნდის პასუხისმგებლობასთან, მათ შორის გარიგების პარტნიორის საერთო პასუხისმგებლობასთან გარიგების ხარისხის მართვასა და გარიგების ხარისხის უზრუნველყოფაზე და მათ საკმარის და ადეკვატურ ჩართულობაზე გარიგებაში მთელი გარიგების მიმდინარეობისას.
- გაზრდილი მოთხოვნები, რომლებიც გარიგების გუნდების ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და შესრულებული სამუშაოს მიმოხილვას ეხება, რაც ყურადღებას ამახვილებს, რა არის მიზანშეწონილი გარიგების ხასიათის, გარემოებების და იმ რესურსების გათვალისწინებით, რომელიც გამოყოფილი ან ხელმისაწვდომია გარიგების გუნდებისთვის.
- ახალი მოთხოვნა, რომელიც ეხება გარიგების გუნდებს, მიმართონ სათანადო პროფესიულ განსჯას და იმოქმედონ პროფესიული სვეტიციზმით, როდესაც ეს აუცილებელია გარიგების ტიპიდან გამომდინარე.
- მოთხოვნები, რომელიც გარიგების ხარისხის მიმოხილვას ეხება, გადატანილია ხმს 1-სა და ხმს 2-ში (დამატებითი დეტალები იხილეთ განსაზღვრული საპასუხო ზომების ნაწილში).

ამჟამად არსებული ხმს 1-ის მოთხოვნები ხმს 1-ში შემდეგნაირად არის ასახული:

- ხმს 1 მოიცავდა სპეციალურ მოთხოვნებს, რომელიც უკავშირდება ფირმის შესაძლებლობას, დააკმაყოფილოს სათანადო ეთიკური მოთხოვნები, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული. ფირმის ხარისხის მართვის სისტემამ ისევ უნდა დაუთმოს ყურადღება ეთიკური მოთხოვნების, მათ შორის ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული მოთხოვნების შესრულებას, ხარისხის იმ მიზნების საშუალებით, რომლებიც სათანადო ეთიკურ მოთხოვნებს ეხება.
- ხმს 1 მოიცავდა სპეციალურ მოთხოვნებს, რომელიც ფირმას ავალდებულებდა, სამუშაო დოკუმენტებში აესახა, როგორ გასაიჭრა პრობლემები, როდესაც ეს პრობლემები ფირმამ გამოავლინა. ხმს 1-ში შედის ახალი, პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნები, რომელიც ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული საკითხების დოკუმენტირებას ეხება.



მცირე ზომის ან ნაკლებად რთულ ფირმაში:

- შეიძლება არ არსებობდეს გარიგების პარტნიორის გარდ, გარიგების გუნდის სხვა წევრები, (მაგ.: ინდივიდუალური პრაქტიკოსის შემთხვევაში). ასეთ შემთხვევაში, ხარისხის მიზნები, რომელიც ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და მიმოხილვას ეხება, შესაძლოა არ იყოს შესაფერისი. ანალოგიურად, ფირმის ხარისხის რისკები, რომელიც დაკავშირებულია გარიგების ხარისხის მართვასა და მიღწევაზე გარიგების პარტნიორის სრულ პასუხისმგებლობასა და გარიგებაში მის საკმარის და შესაფერის ჩართულობასთან, შესაძლოა შეფასდეს როგორც საკმაოდ დაბალი.

- ფირმას შესაძლოა არ ჰყავდეს შიდა პერსონალი, რომელთაც კონსულტაციების გასაწევად ექნებათ კომპეტენცია და უნარები. ფირმამ შესაძლოა რთულ ან სადავო საკითხებზე კონსულტაციის მიზნით, მომსახურების პროვაიდერის გამოყენება მიზანშეწონილად მიიჩნიოს.
- ფირმაში ისეთი პირების ყოლა, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან აზრთა სხვადასხვაობის საკითხებზე, შესაძლოა გამოწვევებთან იყოს დაკავშირებული, რადგან ამან შეიძლება გამოიწვიოს უთანხმოება ფირმაში და პერსონალმა, ანგარიშსწორების შიშით, შესაძლოა თავიდან აიცილოს ამ სხვადასხვაობების ზრდა. ფირმამ შესაძლოა აზრთა სხვადასხვაობის მიღებისა და გადაწყვეტის მიზნით, მომსახურების პროვაიდერის გამოყენება მიზანშეწონილად მიიჩნიოს.

როგორ რეაგირებს ფირმა გარიგების გუნდებზე, რომლებიც მიმართავენ სათანადო პროფესიულ განსჯას და მოქმედებენ პროფესიული სკეპტიციზმით, როდესაც ეს აუცილებელია გარიგების ტიპიდან გამომდინარე

ფირმამ პროფესიულ განსჯასა და პროფესიული სკეპტიციზმზე რეაგირების მიზნით, შესაძლოა შეიმუშაოს და განახორციელოს მრავალი საპასუხო ზომა, რომელიც გარიგების შესრულების ნაწილში მოცემულ სხვა ხარისხის მიზნებთან არის დაკავშირებული, მათ შორის იმ საპასუხო ზომებთან, რომელიც ეხება ხელმძღვანელობას, ზედამხედველობას და მიმოხილვას, კონსულტაციას და აზრთა სხვადასხვაობას. ამასთან, გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესრულება ერთ-ერთია ფირმის მიერ შემუშავებული და განხორციელებული იმ საპასუხო ზომებიდან, რომელიც პროფესიულ განსჯასა და პროფესიული სკეპტიციზმს ეხება.

გარიგების გუნდებს შესაფერისი პროფესიული განსჯისა და პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენებაში ფირმის ხარისხის მართვის სისტემის სხვა ასპექტებმაც შესაძლოა შეუწყონ ხელი.

ხარისხის მართვის სისტემის სხვა ასპექტების მაგალითები, რომლებმაც შესაძლოა ხელი შეუწყოს გარიგების გუნდებს შესაფერისი პროფესიული განსჯის და პროფესიული სკეპტიციზმის გამოყენებაში

- კულტურის დანერგვის მიზნით მძლავრი ზომების გატარება, რაც წარმოაჩენს ფირმის ერთგულებას ხარისხისადმი.
- ხელმძღვანელობის მხრიდან ხარისხზე პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების აღება და მათი მოქმედებითა და ქცევებით ხარისხისადმი ერთგულების წარმოჩენა.
- გარიგებებისთვის შესაფერისი რესურსების გამოყოფა, ადამიანური, ტექნოლოგიური და ფინანსური რესურსების ჩათვლით (მაგ.: გარიგების გუნდს შეიძლება დასჭირდეს ფინანსური რესურსები ექსპერტის დანიშვნის ან გარკვეულ ადგილებზე ფიზიკურად მისვლის მიზნებისთვის).
- სათანადო ინტელექტუალური რესურსების შეამნა, მათ შორის გარიგების გუნდებისთვის გამაფრთხილებელი შეტყობინების შექმნა ისეთ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებიც წარმოშობს პროფესიული განსჯისა და პროფესიული სკეპტიციზმის საჭიროებას და ამ გარემოებებში გარიგების გუნდებისთვის მითითებების მიცემა.
- გარიგებებისთვის პერსონალის გამოყოფის მართვა, მათ შორის იმის უზრუნველყოფა, რომ მათ ჰქონდეთ ადეკვატური დრო სამუშაოს და მოვალეობების შესასრულებლად.
- გარიგებებზე დათანხმებასა და გაგრძელების შესახებ სათანადო გადაწყვეტილებების მიღება, მაგალითად, იმის გათვალისწინება, აქვს თუ არა ფირმას სათანადო რესურსები გარიგების შესასრულებლად დაფირმის სხვა ვალდებულებების გათვალისწინებით, აქვს თუ არა ფირმას დრო გარიგების წამოსაწყებად.
- შესაბამისი ტრენინგის ჩატარება.

რესურსები



ხმს 1, პუნქტი: 16(ვ), 16(ზ), 16(ო), 16(ქ), 16(ღ), 32, გ13, გ20-გ21, გ28 და გ86-გ108

შემდეგ ბლოკში შეჯამებულია, თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 ამჟამად არსებულ სტანდარტთან შედარებით რესურსებთან მიმართებით:



- ახალი მოთხოვნები, რომელიც ეხება ტექნოლოგიური და ინტელექტუალური რესურსების საჭიროებას, რაც ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებისა და გარიგებების შესრულების საშუალებას იძლევა.
- გაზრდილი მოთხოვნები ადამიანური რესურსებისთვის, კერძოდ:
 - o ახალი მოთხოვნა, კომპეტენტური და ქმედითი ადამიანური რესურსების ქონა ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ფუნქციების ან პასუხისმგებლობების შესასრულებლად და პირების გამოყოფა ხარისხის მართვის სისტემაში დავალებების/ფუნქციების შესასრულებლად.
 - o ახალი მოთხოვნა, რომელიც პირების გარე წყაროებიდან მიღებას ეხება (ე.ი. ქსელი, სხვა ქსელის თვითმართება ან მომსახურების პროვაიდერი) როდესაც თვითმართება ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირების ან გარიგებების შესასრულებლად არ ჰყავს პერსონალი; და
 - o ახალი მოთხოვნა, რომელიც ეხება პერსონალის ხარისხისადმი ერთგულებას და ანგარიშვალდებულებას ან აღიარებას დროული შეფასებების, ანაზღაურების, დაწინაურების და სხვა წახალისების გზით.
- ახალი მოთხოვნა, რომელიც მომსახურების პროვაიდერებს ეხება, ე.ი. მომსახურების პროვაიდერების რესურსები შესაფერისია ხარისხის მართვის სისტემასა და გარიგებების შესრულებაში გამოყენებისთვის.

ხმს 1 უფრო მეტ სპეციალურ მოთხოვნას მოიცავდა გარიგების პარტნიორისთვის, რომელიც ეხებოდა გარიგების პარტნიორის მოვალეობების განსაზღვრას, ინფორმაციის მიწოდებას და ასევე მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთათვის გარიგების პარტნიორის ვინაობისა და ფუნქციის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. აღნიშნული ხმს 1-ში შემდეგნაირად არის გამოხატული:

- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა ინფორმირება ხმს 1-ში მიღწეულია:
 - o კოტირებული საწარმოების აუდიტში ხარისხის მართვის სისტემის შესახებ მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა ინფორმირების მოთხოვნით; და
 - o პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნებით, რომელიც ეხება გარე კომუნიკაციას, როდესაც ეს მიზანშეწონილია.
- გარიგების შესრულების კომპონენტი ეხება გარიგების გუნდების მოვალეობებს და განსაკუთრებულ ყურადღებას გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობას უთმობს.



რესურსების კომპონენტი ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების საშუალებას იძლევა. შესაბამისად, რესურსების კომპონენტის მრავალი ასპექტი შეიძლება დაემთხვეს სხვა კომპონენტს და გაამყაროს იგი.

ფინანსური რესურსებიც ხარისხის მართვის სისტემის მნიშვნელოვანი ასპექტია და აუცილებელია ტექნოლოგიური, ინტელექტუალური და ადამიანური რესურსების მოსაპოვებლად. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელობა ფინანსური რესურსების მართვასა და განაწილებაზე დიდ გავლენას ახდენს, ფინანსური რესურსები ხმს 1-ში განხილულია მმართველობისა და ხელმძღვანელობის ნაწილში.

ადამიანური რესურსები: ხმსს 1-ის რომელი ასპექტები ეხება პერსონალს და სხვა, ფირმის გარე პირს?

ხმსს 1-ში გამოყენებული ტერმინი „ადამიანური რესურსები“, მოიცავს იმ განსხვავებულ პირებს, რომელთაც ფირმა იყენებს ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგებების შესრულების პროცესში.

SOQM-ში ან გარიგების შესრულების პროცესში ჩართული პირები



როდესაც ხმსს 1-ში გამოიყენება ტერმინი „პერსონალი“, იგი აღნიშნავს ფირმაში მომუშავე პირებს.

როდესაც ხმსს 1-ში გამოიყენება ტერმინი „პირი“ ან „პირები“, გამიზნულია იმისათვის, რომ გაგებულ იქნას იმ კონტექსტის შესაბამისად, რომელშიც ის გამოიყენება. ის შეიძლება ეხებოდეს კონკრეტულ პირს, პირთა კონკრეტულ ჯგუფს ან ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგებების შესრულების პროცესში ჩართულ მთელ ადამიანურ რესურსებს (ე.ი. პირები ფირმაში და პირები ფირმის გარეთ).

ქვემოთ მოცემული მოთხოვნები გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება, რომ ხმსს 1 ზოგიერთ შემთხვევაში ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგების შესრულებაში მონაწილე ყველა პირზე ვრცელდებოდეს და სხვა შემთხვევაში – მხოლოდ მათ ნაწილზე:

ყველა პირი, რომელიც მონაწილეობას იღებს ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგების შესრულებაში	მხოლოდ ფირმის წარმომადგენელი პირები (ე.ი. პერსონალი)	მხოლოდ ფირმის გარე პირები, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგების შესრულებაში
მოთხოვნების მაგალითები, რომლებიც ვრცელდება • 31-ე პუნქტზე: გარიგების გუნდის მოვალეობები, გარიგების გუნდისა და მისი სამუშაოს ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და მიმოხილვა, პროფესიული განსჯა და აზრთა სხვადასხვაობები. • 32(დ) პუნქტზე: გარიგების გუნდის წევრებისა და პირების გამოყოფა ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში საქმიანობის შესასრულებლად. • 33(გ) პუნქტზე: ინფორმაციის გაცვლა ფირმასა და გარიგების გუნდებს შორის. • 39-ე პუნქტზე: პირები, რომლებიც მონიტორინგის დონისძიებებს ასრულებენ. • 47-ე პუნქტზე: მონიტორინგთან და რემედიაციასთან დაკავშირებული საკითხების გაცნობა გარიგების გუნდებისა და ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში საქმიანობის შესასრულებლად გამოყოფილი სხვა პირებისთვის.	მოთხოვნების მაგალითები, რომლებიც ვრცელდება • 28(ა)(iii) პუნქტზე: პერსონალის პასუხისმგებლობა ხარისხზე, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების შესრულებასთან ან ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში შესრულებულ მოქმედებებთან და ასევე მათ მოსალოდნელ ქცევასთან. • 29(ა) პუნქტზე: სათანადო ეთიკური მოთხოვნები ფირმისა და მისი პერსონალის კონტექსტში. • 32(ა) პუნქტზე: პერსონალის დაქირავება, განვითარება და შენარჩუნება. • 32(ბ) პუნქტზე: პერსონალის ხარისხისადმი ერთგულება. • 33(ბ) პუნქტზე: პერსონალის პასუხისმგებლობა ინფორმაციის გაცვლაზე. • 34(ბ) პუნქტზე: დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვის დადასტურება.	მოთხოვნების მაგალითები, რომლებიც ეხება • 29(ბ) პუნქტს: სათანადო ეთიკური მოთხოვნები სხვების კონტექსტში, რომლებსაც ეხება ის სათანადო ეთიკური მოთხოვნები, რომლებიც ფირმასა და ფირმის გარიგებებზე ვრცელდება. • 32(გ) პუნქტს: პირების გარე წყაროებიდან მიღება.

ადამიანური რესურსები: როგორ უმკლავდება ფირმა ფირმის გარე პირებს ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში

ხმსს 1-ის გ27 პუნქტი აღნიშნავს, რომ თუ ფირმა გარე პირებს იყენებს ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგებების შესრულებისას, შესაძლოა აუცილებელი იყოს განსხვავებული პოლიტიკისა ან პროცედურების შემუშავება ფირმის მიერ ამ პირთა ქმედებებისთვის.

მაგალითები, თუ როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს ფირმის ის პოლიტიკა ან პროცედურები, რომელიც ფირმის პერსონალზე ვრცელდება, იმ პოლიტიკის ან პროცედურებისაგან რომელიც ფირმის გარე პირებზე ვრცელდება

32(დ) პუნქტი ეხება გარიგების გუნდის ისეთი წევრების დანიშვნას, რომლებსაც აქვთ სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, ასევე საკმარისი დრო მუდმივად ხარისხიანი გარიგებების შესასრულებლად. მასში შედის ფირმის ნებისმიერი გარე პირი, რომელიც გარიგებასთან დაკავშირებულ პროცედურებს ასრულებს.

პერსონალი	ფირმის გარე პირები
პოლიტიკა ან პროცედურები, რომელსაც ფირმა პერსონალისთვის ამუშავებს და ახორციელებს, ეხება: - პროცესებსა და სისტემებს, რომელიც თვალყურის დევნებას საჭიროებს: - გარიგებებსა და გარიგების ვადებს; - პერსონალს, მათ შორის მათ დონეს, ტრენინგს, გამოცდილებასა და შვებულების დღეებს; - გარიგებებს, რომლისთვისაც პერსონალია გამოყოფილი; და - მთლიანობაში დამკვეთების პროტოქს პარტნიორებისა და უფროსი პერსონალისათვის. - როგორ წარადგენს გარიგების პარტნიორი ან გარიგების გუნდის სხვა უფროსი წევრი მოთხოვნას გარიგებისთვის გამოყოფილი პერსონალისთვის ან გარიგებასთან დაკავშირებული პერსონალის ცვლილებების საჭიროებისათვის.	პოლიტიკა ან პროცედურები, რომელსაც ფირმა ფირმის გარე პირებისთვის ამუშავებს და ახორციელებს, ეხება: - სხვა ქსელის ფირმის ან მომსახურების პროვაიდერისგან გარიგებისთვის გამოყოფილი პირების შესახებ საჭირო ინფორმაციას (მაგ.: მათი დონე, ტრენინგი და გამოცდილება); - ფაქტორებს, რომლებიც გასათვალისწინებელია იმის დადგენისას, აქვთ თუ არა სხვა ქსელის ფირმის ან მომსახურების პროვაიდერის მიერ გამოყოფილ პირებს შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობები (და დრო) დაკისრებული სამუშაოს შესასრულებლად; და - როგორ გადაიჭრება გარიგების გუნდის წევრების კომპეტენციასა და შესაძლებლობებთან დაკავშირებული საკითხი. იმის გათვალისწინებით, რომ სხვა ქსელის ფირმას ან მომსახურების პროვაიდერს შორის შესაძლოა ადგილი ჰქონდეს ურთიერთქმედებას, ფირმამ შეიძლება განსაზღვროს, რომ ზემოთ განხილული პოლიტიკა და პროცედურები გარიგების პარტნიორმა უნდა განახორციელოს.

ადამიანური რესურსები: კომპონენტის აუდიტორები

კომპონენტის აუდიტორები შესაძლოა შემდეგნაირად დაინიშნონ:

- კომპონენტის აუდიტორი დამკვეთმა ან კომპონენტის მმართველობამ შეიძლება დაინიშნოს (მაგ.: კომპონენტის აუდიტორი
- შეიძლება დაინიშნოს კომპონენტის აუდიტისთვის, საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან სხვა მიზეზების გამო).
- ფირმამ, ან გარიგების პარტნიორმა ფირმის სახელით, შეიძლება მოიძიოს კომპონენტის აუდიტორი, ე.ი.:
 - ფირმამ შეიძლება გამოავლინოს კომპონენტის აუდიტორის საჭიროება, როდესაც ფირმა ადგენს დათანხმდეს ან გააგრძელოს თუ არა გარიგება; ან
 - გარიგების პარტნიორმა შესაძლოა გამოავლინოს კომპონენტის აუდიტორის საჭიროება, როდესაც ჯგუფის გარიგებისა და ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების დაგეგმვამ და შესრულებამ შეიძლება განსაზღვროს, რომ გარიგების პარტნიორი ფირმის სახელით ეძებს კომპონენტის აუდიტორს.

იმის მიუხედავად, თუ როგორ გამოვლინდა ან დაინიშნა კომპონენტის აუდიტორი, ფირმა პასუხისმგებელია განსაზღვროს, რომ:

- კომპონენტის აუდიტორისაგან მიღებული რესურსები (ე.ი. პირები) მიზანშეწონილია გამოსაყენებლად; და
- კომპონენტისთვის გამოყოფილ პირებს აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის საკმარისი დრო, ხარისხიანი გარიგებების თანმიმდევრულად შესასრულებლად.

ხმსს 1 ეხება კომპონენტის აუდიტორებისა და მათი კომპეტენციისა და შესაძლებლობების მიზანშეწონილობას შემდეგი მოთხოვნების მიხედვით:

კომპონენტის აუდიტორები იმავე ქსელიდან, რომელსაც ფირმა მიეკუთვნება: • ხმსს 1-ის 32(დ) პუნქტი • ხმსს 1-ის 48-52 პუნქტები (ქსელის მოთხოვნები ან ქსელის მომსახურება)	კომპონენტის აუდიტორები იმ ქსელის გარედან, რომელსაც ფირმა მიეკუთვნება, ან ფირმიდან, რომელიც არ მიეკუთვნება ქსელს: • ხმსს 1-ის 32(დ) პუნქტი • ხმსს 1-ის 32(თ) პუნქტი (მომსახურების პროვაიდერი)
მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მოთხოვნები ფაქტობრივად გავრცელდეს ამავე ქსელის კომპონენტის აუდიტორებზე ქსელს აქვს მოთხოვნები, რომლებიც: • განაპირობებს საერთოობის მაღალ ხარისხს ქსელის ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში; და • განსაზღვრავს კრიტერიუმებს, რომელთა დაცვაც აუცილებელია, იმისათვის რომ პირი გამოიყოს კომპონენტის სამუშაოს შესასრულებლად, როდესაც სხვა ქსელის ფირმა ჯგუფის აუდიტორია. ამ კრიტერიუმებში შედის კომპეტენცია და უნარები, რომელთა დაკმაყოფილება აუცილებელია, იმისათვის რომ პირს დაეკისროს სამუშაოს შესრულება კომპონენტში. ფირმა: • იაზრებს ზემოთ აღწერილ ქსელის მოთხოვნებს. • გარიგების გუნდებისთვის ადგენს პოლიტიკასა და პროცედურებს კომპონენტის აუდიტორთან (ე.ი. ქსელის სხვა ფირმასთან) იმის დადასტურების მიზნით, რომ პირები, რომელთაც დაკისრებული აქვთ კომპონენტის სამუშაოს შესრულება, აკმაყოფილებენ ქსელის მოთხოვნებში დადგენილ განსაზღვრულ კრიტერიუმებს.	მაგალითი, თუ როგორ შეიძლება მოთხოვნები ფაქტობრივად გავრცელდეს ქსელის გარედან მოწვეულ კომპონენტის აუდიტორებზე ფირმა აწესებს ისეთ პოლიტიკას ან პროცედურებს, რომლებშიც: • მითითებულია ინფორმაცია, რომელიც გარიგების პარტნიორმა უნდა მოიპოვოს: - o სხვა ფირმის შესახებ, რომელიც კომპონენტის აუდიტორად არის დანიშნული, მაგალითად დარგში მათი გამოცდილების, ბაზარზე რეპუტაციის, სხვა ფირმასთან ადრინდელი გამოცდილების და მარგულირებული შემოწმებების შედეგებთან დაკავშირებული საჯარო ინფორმაციის შესახებ; და - o კომპონენტის სამუშაოს შესასრულებლად სხვა ფირმის მიერ დანიშნული პირების კომპეტენციისა და უნარების შესახებ. ამ პოლიტიკამ და პროცედურებმა შესაძლოა ისიც განსაზღვროს, თუ როგორ მოიპოვება ეს ინფორმაცია (მაგ.: პირების კომპეტენციასა და უნარებთან დაკავშირებული ინფორმაცია შესაძლოა ჯგუფის აუდიტის ინსტრუქციებით იყოს მოთხოვნილი). • ადგენს კრიტერიუმებს, რომელიც გარიგების პარტნიორმა უნდა განიხილოს, რათა დაადგინოს არის თუ არა: - o სხვა ფირმის გამოყენება მიზანშეწონილი კომპონენტის სამუშაოს შესრულებისას; და

- გარიგების გუნდებისთვის ადგენს პოლიტიკასა და პროცედურებს, რათა განიხილოს აკმაყოფილებენ თუ არა პირები, რომელთაც დაკისრებული აქვთ კომპონენტის სამუშაოს შესრულება, რაიმე დამატებით მოთხოვნებს, ისე, რომ მათი გამოყენება მიზანშეწონილია გარიგებისას და აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და უნარები.
- განიხილავს ქსელიდან მიღებულ ინფორმაციას ქსელის ფირმებში ქსელის მონიტორინგის ღონისძიებების საერთო შედეგების შესახებ და მოუთხოვს თუ არა ეს ინფორმაცია იმაზე, რომ ქსელის სხვა ფირმების მიერ დანიშნული პირების გამოყენება შეიძლება არ იყოს მიზანშეწონილი ფირმის მიერ შესასრულებელ ჯგუფის გარიგებებში.
- გარიგების გუნდებს გადასცემს ქსელიდან მოპოვებულ ინფორმაციას, ქსელის ფირმებში ქსელის მონიტორინგის ღონისძიებების საერთო შედეგების შესახებ;
- ადგენს პოლიტიკას ან პროცედურებს, იმ გარემოებებთან გასამკლავებლად, როდესაც გარიგების პარტნიორს კითხვები აქვს სხვა ქსელის ფირმის მიერ კომპონენტში სამუშაოს შესრულებასთან ან სამუშაოს შესასრულებლად დანიშნული პირების კომპეტენციასა და უნარებთან დაკავშირებით, მათ შორის:
 - o მოსთხოვოს გარიგების პარტნიორს საკითხის შესახებ ინფორმაცია გადასცეს ფირმას, სხვა ფირმას, საწარმოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ან კომპონენტის მმართველობას; და
 - o იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ვერ გადაიჭრება, გარიგების პარტნიორის დავალებულია, მოითხოვოს დამატებითი რესურსები ან გააძლიეროს კომპონენტში შესრულებული სამუშაოს ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და მიმოხილვა.

- o პირებს, რომლებიც კომპონენტის სამუშაოს შესასრულებლად სხვა ფირმის მიერ არიან დანიშნულნი, აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და უნარები, მათ შორის საკმარისი დრო, სამუშაოს ხარისხიანად შესასრულებლად.
- ყურადღებას უთმობს, იმას თუ როგორ უნდა გაუმკლავდეს გარიგების პარტნიორი გარემოებებს, როდესაც სხვა ფირმის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი ან გამოყოფილ პირებს არ აქვთ შესაბამისი კომპეტენცია და უნარები, მათ შორის საკმარისი დრო, მათ შორის:
 - o მოთხოვოს გარიგების პარტნიორს საკითხის შესახებ ინფორმაცია გადასცეს ფირმას, სხვა ფირმას, საწარმოს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ან კომპონენტის მმართველობას; და
 - o იმ შემთხვევაში, თუ საკითხი ვერ გადაიჭრება, გარიგების პარტნიორის დავალებულია, მოითხოვოს დამატებითი რესურსები ან გააძლიეროს კომპონენტში შესრულებული სამუშაოს ხელმძღვანელობა, ზედამხედველობა და მიმოხილვა.



ასს 220 (გადასინჯული) ეხება გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობას განსაზღვროს, რომ გარიგების გუნდისთვის დროულად არის გამოყოფილი ან ხელმისაწვდომი გარიგების შესასრულებლად საკმარისი და შესაფერისი რესურსები. ჯგუფის აუდიტის შემთხვევაში, კომპონენტის აუდიტორები გარიგების გუნდის ნაწილი არიან და, მაშასადამე, ასს 220-ის (გადასინჯული) დებულებები კომპონენტის აუდიტორებზეც ვრცელდება.

ასს 600⁸ განიხილავს ჯგუფის აუდიტისთვის სპეციფიკურ საკითხებს დამასში შედის მოთხოვნები და მათი გამოყენება, რომელიც ეხება ჯგუფის აუდიტორის პასუხისმგებლობას კომპონენტის აუდიტორის ჩართვისას.

⁸ ასს 600, „სპეციფიკური საკითხები—ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი (კომპონენტის აუდიტორების სამუშაოს ჩათვლით)“

ტექნოლოგიური რესურსები: ტექნოლოგიური რესურსების მოქმედების სფერო ხმსს 1-ში

ფირმის მიერ გამოყენებული ყველა ტექნოლოგიური რესურსი არ განეუთვნება ხმსს 1-ის მოქმედების სფეროს. ტექნოლოგიური რესურსები შეიძლება მრავალ მიზანს ემსახუროდეს ფირმაში დაზოგიერითი მათგანი შესაძლოა დაკავშირებული არ იყოს ხარისხის მართვის სისტემასთან. ხმსს 1-ის გ99 პუნქტში მითითებულია, რომ ქვემოთ მოცემული ტექნოლოგიური რესურსები ხმსს 1-ის მიზნების შესაბამისია:

ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირებისას გამოყენებული ტექნოლოგიური რესურსები	ტექნოლოგიური რესურსები, რომლებსაც გარიგების გუნდები იყენებენ გარიგების შესრულებისას	ტექნოლოგიური რესურსები, რომელიც მნიშვნელოვანია სტ გამოყენებითი პროგრამების ეფექტური ფუნქციონირებისთვის
მაგალითები: • სტ გამოყენებითი პროგრამები დამოუკიდებლობის მონიტორინგისა და დამკვეთთან ურთიერთობაზე დათანხმებისა და გაგრძელებისათვის • სტ გამოყენებითი პროგრამები, რომელიც ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგისთვის გამოიყენება. • სტ გამოყენებითი პროგრამები დროის აღრიცხვისა და პერსონალის დასვენების დღეებზე თვალყურის დევნებისთვის. • სტ გამოყენებითი პროგრამები ტრენინგებისა და პერსონალის საქმიანობის შეფასების ხელშესაწყობად • სტ გამოყენებითი პროგრამები ბიუჯეტის შედგენისთვის (ფინანსური რესურსების დაგეგმვა და განაწილება). • სტ გამოყენებითი პროგრამები გარიგების დოკუმენტების შენახვისა და შენარჩუნებისთვის. • სტ გამოყენებითი პროგრამები კონსულტაციების აღრიცხვისა და თვალყურის დევნებისთვის.	მაგალითები: • სტ გამოყენებითი პროგრამები, რომლებიც გარიგების დოკუმენტების მომზადებისა და შედგენისას გამოიყენება. • სტ გამოყენებითი პროგრამები, რომლებიც ინტელექტუალური რესურსებისთვის გამოიყენება (მაგ.: სტ გამოყენებითი პროგრამები პოლიტიკის სახელმძღვანელოებითა და მეთოდოლოგიებით). • სტ გამოყენებითი პროგრამები, რომლებიც ავტომატიზებულ ინსტრუმენტებად და მეთოდებად გამოიყენება, მათ შორის ექსელის პროგრამისა და ექსელის პროგრამაში ჩატვირთული მაკროსების გამოყენება.	მაგალითები: • ოპერაციული სისტემები და მონაცემთა ბაზები, რომლებიც ხელს უწყობს ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებისას ან გარიგებების შესრულებისას გამოყენებულ სტ გამოყენებითი პროგრამებს. • ტექნიკური უზრუნველყოფა, რომელიც ხელს უწყობს სტ გამოყენებითი • პროგრამების ფუნქციონირებას (მაგ.: ქსელის სისტემები და მომხმარებელთა ტექნიკური უზრუნველყოფა, მაგალითად პორტატიული კომპიუტერებით). • სტ სისტემები, რომლებიც გამოიყენება ოპერაციულ სისტემებსა და სტ გამოყენებითი პროგრამებზე წვდომის სამართავად (მაგ.: პაროლის აპლიკაციები).



ხმსს 1-ის-ის მოთხოვნების გამოყენებასთან დაკავშირებული მასალა, რომელიც მოცემულია გ99 პუნქტში, მოიცავს მაგალითებს, რომლებიც წარმოაჩენს, თუ როგორ შეიძლება განსხვავდებოდეს შესაბამისი ტექნოლოგიური რესურსები ნაგლებად რთულ ფირმასა და მეტად რთულ ფირმას შორის.



რესურსებმა შესაძლოა შექმნას ისეთი პირობები, მოვლენები, გარემოებები, ქმედებები ან ავრძალვები, რამაც შეიძლება ხარისხის რისკები წარმოშვას. შესაბამისად, ხმსს 1-ის გ25 პუნქტის მიხედვით, ხარისხის რისკების განსაზღვრისა და შეფასების დროს, ფირმას მოეთხოვება თავისი რესურსების ცოდნა.

ქვემოთ მოცემულია პირობებთან, მოვლენებთან, გარემოებებთან, ქმედებებთან ან ავრძალვებთან დაკავშირებული ტექნიკური რესურსები, რომლებმაც შეიძლება ხარისხის რისკები სხვა კომპონენტებშიც წარმოშვას.

- გარიგების გუნდები შეიძლება ზედმეტად იყვნენ დამოკიდებულები სტ გამოყენებით პროგრამებზე და ამ სტ გამოყენებით პროგრამებმა შეიძლება არაზუსტად დაამუშაოს მონაცემები, დაამუშაოს არაზუსტი მონაცემები, ან – ორივე. ამან შეიძლება წარმოშვას გარიგების შესრულებასთან, განსაკუთრებით, სათანადო პროფესიული სპეტიციზმის გამოყენებასთან დაკავშირებული ხარისხის რისკები.
- უსაფრთხოების დარღვევებმა შეიძლება მომხმარებელთა მონაცემებზე უნებართვო წვდომა გამოიწვიოს, რამაც შეიძლება შესაბამისი ეთიკის მოთხოვნებთან დაკავშირებული ხარისხის რისკები წარმოშვას, ე.ი. ინფორმაციის კონფიდენციალობის დარღვევები.

ტექნოლოგიური რესურსები: გარიგების გუნდების ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების (ATT) გამოყენება

გარიგების გუნდებმა აუდიტის პროცედურების შესრულებისას შეიძლება გამოიყენონ ავტომატიზებული ინსტრუმენტები და მეთოდები. ზოგიერთ შემთხვევაში, ავტომატიზებული ინსტრუმენტები და მეთოდები შეიძლება ფირმის მიერ იყოს უზრუნველყოფილი და დამტკიცებული, სხვა შემთხვევაში, შეიძლება გარიგების გუნდმა მოიპოვოს. ორივე შემთხვევაში, ფირმის ხარისხის მართვის სისტემამ ყურადღება უნდა გაამახვილოს ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების შესაბამისობაზე, თუნდაც, იგი გარიგების გუნდის მიერ იყოს მოპოვებული. მაგალითად, ხმსს 1-ის გ101 პუნქტში განმარტებულია, რომ ფირმამ უნდა:

- სპეციალურად ავრძალოს ავტომატიზებული ინსტრუმენტები და მეთოდები ან მისი ფუნქციების გამოყენება გარკვეულ დრომდე, სანამ არ დადგინდება, რომ ისინი სათანადოდ მუშაობს და არ დამტკიცდება, რომ შესაძლებელია მათი გამოყენება ფირმაში.
- დააწესოს პოლიტიკა ან პროცედურები იმ გარემოებებთან გასამკლავებლად, რომლებშიც გარიგების გუნდი იყენებს ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდებს, რომელიც ფირმას არ დაუმტკიცებია. მაგალითად, გარიგების გუნდს უნდა მოეთხოვებოდეს, კონკრეტული საკითხების გათვალისწინებით (მაგ.: ამოსავალი მონაცემები, როგორ მუშაობს ავტომატიზებული ინსტრუმენტები და მეთოდები, აღწევს თუ არა ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებით მიღებული შედეგები დასახულ მიზანს), მანამ განსაზღვროს შესაფერისია თუ არა ავტომატიზებული ინსტრუმენტები და მეთოდები გამოყენებისთვის, სანამ მას გამოიყენებენ გარიგების შესრულებაში.



აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IAASB) შეიმუშავა [ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებასთან დაკავშირებული არაავტორიზებული დამხმარე მასალა აუდიტორებისთვის](#).

აღნიშნულ სახელმძღვანელოში განმარტებულია, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს გარიგების დოკუმენტაციას, როდესაც ფირმა დაამტკიცებს ან არ დაამტკიცებს ავტომატიზებულ ინსტრუმენტებსა და მეთოდებს.

IAASB-მა, ასევე, შეიმუშავა [საწარმოს სისტემების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის და ATT-ის გამოყენებისას ტექნოლოგიაზე ზედმეტი დამოკიდებულების რისკებთან დაკავშირებული არაავტორიზებული დამხმარე მასალა](#).

სახელმძღვანელოში განმარტებულია, როგორ შეუძლიათ ფირმებს დაეხმარონ გარიგების გუნდებს, ავტომატიზებული ინსტრუმენტებისა და მეთოდების გამოყენებისას, გაუმკლავდნენ ავტომატიზაციის მიყრდნობისა და ზედმეტი დამოკიდებულების რისკებს.

მომსახურების პროვაიდერები: მომსახურების პროვაიდერების მოქმედების/გამოყენების სფერო ხმს 1-ში

ხმს 1 აღიარებს, რომ ფირმას შეიძლება არ ჰქონდეს ყველა საჭირო შიდა რესურსი და, შესაბამისად, შეიძლება დასჭირდეს მომსახურების პროვაიდერების რესურსების გამოიყენება. მომსახურების პროვაიდერების რესურსები მოიცავს ტექნოლოგიურ, ინტელექტუალურ ან ადამიანურ რესურსებს, რომლებსაც ფირმა იყენებს ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგებების შესრულებაში. ეს გულისხმობს იმ სხვა ფირმების ადამიანური რესურსების გამოყენებას (მაგ., კომპონენტის აუდიტორები), რომლებიც არ მიეუთვნება ფირმის ქსელს.



ხმს 1-ის გ175 პუნქტი მოიცავს ქსელის მოთხოვნებს ან ქსელურ მომსახურებებს.

ფირმას უფლება არა აქვს სხვა მომსახურე ორგანიზაციას გადასცეს ხარისხის მართვის სისტემა (მისი ფუნქციონირება) ან ამ სისტემაზე პასუხისმგებლობა; ამის ნაცვლად, მომსახურების პროვაიდერების სერვისები ეხმარება ფირმას ხმს 1-ის მოთხოვნების შესრულებაში. შედეგად, მომსახურების პროვაიდერების რესურსების გამოყენებისას, ფირმა პასუხისმგებელია დარწმუნდეს, რომ რესურსები, რომლებიც ხარისხის მართვის სისტემასა და გარიგებების შესრულებაში გამოიყენება, სათანადოა.

მომსახურების პროვაიდერი შეიძლება ფირმამ ან გარიგების გუნდმა დაიქირაოს. მეტიც, შეიძლება ისეთი გარემოება შეიქმნას, როდესაც მომსახურების პროვაიდერს სხვა მხარე დაიქირავებს (მაგ.: სხვა ფირმის კომპონენტის აუდიტორის შემთხვევაში, რომელიც არ შედის ფირმის ქსელში). ნებისმიერ შემთხვევაში, ფირმის ხარისხის მართვის სისტემა უნდა განსაზღვროს მომსახურების პროვაიდერის შესაბამისობა, თუნდაც, გარიგების გუნდის, ან სხვა მხარის მიერ იყოს დაქირავებული. მაგალითად, როდესაც მომსახურების პროვაიდერი დანიშნულია გარიგების გუნდის მიერ, ფირმამ შეიძლება შეიმუშავოს ისეთი პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც განმარტავს იმ საკითხებს, რომლებიც გარიგების გუნდმა მომსახურების პროვაიდერის დაქირავებისას უნდა გაითვალისწინოს.



თუკი ფირმა ფირმის ქსელში არსებულ რესურსებს იყენებს (ტექნოლოგიური, ინტელექტუალური ან ადამიანური რესურსები), ე.ი. ქსელის, სხვა ქსელის ფირმის ან ფირმის ქსელში არსებულ სხვა სტრუქტურის ან ორგანიზაციის რესურსებს, ამგვარი რესურსები მიიჩნევა არა, როგორც მომსახურების პროვაიდერების რესურსები, არამედ როგორც ხმს 1-ის 48-ე და 52-ე პუნქტების ნაწილი (ე.ი. ფირმის პასუხისმგებლობების ქსელის მოთხოვნების ან ქსელის მომსახურების გამოყენებისას).

მომსახურების პროვაიდერები; სხვადასხვა ხარისხის რისკი და გრადაციასთან დაკავშირებული მოსაზრებები

ფირმამ ხარისხის მართვის სისტემაში ან გარიგებების შესრულებაში შეიძლება გამოიყენოს მომსახურების პროვაიდერების მრავალი რესურსი. მომსახურების პროვაიდერების რესურსებთან დაკავშირებული ხარისხის რისკების ხასიათი და ხარისხის რისკების გამომწვევი მიზეზების შეფასება შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. შედეგად, ფირმის საპასუხო ზომების ხასიათი, ვადები და მოცულობა, რომლებიც ხარისხის რისკებს ეხება მომსახურების პროვაიდერის რესურსების შესაფერისობასთან დაკავშირებით, შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, ფირმამ შეიძლება დაადგინოს, რომ არ არსებობს მომსახურების პროვაიდერების მხრიდან გარკვეულ რესურსებთან დაკავშირებული ხარისხის რისკი, რაც ნიშნავს იმას, რომ ფირმას შეიძლება არ დასჭირდეს ამ რესურსებთან დაკავშირებული საპასუხო ზომების შემუშავება და დანერგვა.

ფაქტორები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მომსახურების პროვაიდერებთან დაკავშირებულ ხარისხის რისკებზე, რომლებიც, თავის მხრივ, გავლენას ახდენს ფირმის საპასუხო ზომების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე.

ფაქტორების მაგალითები	ფაქტორების მაგალითები, რომლებიც გავლენას ახდენს ხარისხის რისკებზე.
რესურსის აღწერა	მომსახურების პროვაიდერის ტექნოლოგიური რესურსების გამოყენებისას, ხარისხის რისკები შეიძლება მოიცავდეს: • საინფორმაციო ტექნოლოგიების საჭირო განახლებების ნაკლებობას, რის შედეგადაც იგი ხდება არასაიმედო და გამოუსადეგარი შესაბამისად, არც ხმს-ში ან გარიგების შესრულებაში გამოყენებისთვის არ არის შესაფერი. • მომხმარებელთა მონაცემებზე წვდომას, კერძოდ, როდესაც მონაცემები ინახება მონაცემთა ბაზაში, რომლის მართვას და ოპერირებას, მომსახურების პროვაიდერი ახორციელებს შეიძლება კონფიდენციალობის დარღვევები წარმოშვას. მომსახურების პროვაიდერის ადამიანური რესურსების გამოყენებისას, ხარისხის რისკები შეიძლება მოიცავდეს: • შესაბამისი კომპეტენციისა და უნარების ნაკლებობა, რაც საჭიროა იმ საქმიანობის შესრულებისთვის, რომლისთვისაც ადამიანური რესურსია გამოყოფილი, იწვევს რესურსის შეუსაბამობას ფირმის ხმს-სადაგარიგებების შესრულებაში. • მომსახურების პროვაიდერების მიერ დაქირავებული თვითნებური პირების შეცვლა, (მაგ.: სხვადასხვა თანამდებობაზე გადაინაწილების გამო) იმ საქმიანობის შესრულებისას, რომლისთვისაც ისინი იყვნენ დაქირავებული და ახალი თვითნებური პირების დანიშვნა არ არის მიზანშეწონილი, რადგან მათ არ გააჩნიათ სუბიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული შესაბამისი გამოცდილება.
ფირმის პასუხისმგებლობა, მიიღოს რესურსის გამოყენებისასთან დაკავშირებით შემდგომი ზომები:	• ფირმა იყენებს მომსახურების პროვაიდერის სტ გამოყენებით პროგრამას, რომელიც არის მზა პაკეტი. სტ გამოყენებით პროგრამის გამართულ მდგომარეობაში მუშაობას მომსახურების პროვაიდერი უზრუნველყოფს. მომსახურების პროვაიდერი ავტომატურად ავრცელებს განახლებებს და განახლების მიღებისთვის ფირმა ავტომატიზებულ შეტყობინებას იღებს. ამ შემთხვევაში, ვინაიდან ფირმას, სტ გამოყენებით პროგრამასთან დაკავშირებით შედარებით ცოტა პასუხისმგებლობა აქვს, ხარისხის რისკები შეიძლება დაკავშირებული იყოს: - o შეესაბამება თუ არა სტ გამოყენებითი პროგრამა იმ დანიშნულებას, რომლისთვისაც იგი იქნება გამოყენებული; - o უზრუნველყოფს თუ არა მომსახურების პროვაიდერი საჭირო განახლებების მოწოდებას; და - o რისკი იმისა, რომ ფირმა არ მიიღებს ავტომატიზებულ განახლებებს.

- ფირმა იყენებს მომსახურების პროვაიდერის სტ გამოყენებით პროგრამას. მიუხედავადიმისა, რომ სტ გამოყენებითი პროგრამა მზა პაკეტია და მისმხარდაჭერას უზრუნველყოფს მომსახურების პროვაიდერი, ფირმა ეყრდნობა სპეციალურად შემუშავებულ პროგრამებს, რომლებიც ფირმას, სტ გამოყენებით პროგრამის სხვა პროგრამებთან ინტეგრირების საშუალებას აძლევს. გარდა ამისა, სტ გამოყენებით პროგრამის გამოყენებისას, ფირმას მთელი რიგი პასუხისმგებლობა აკისრია, მათ შორის:
 - o ფირმის სპეციფიკური მონაცემების მონაცემთა ბაზაში შეყვანა და შენახვა; და
 - o სტ გამოყენებით პროგრამის ფუნქციურ შესაძლებლობებთან დაკავშირებული სხვადასხვა ვარიანტის შერჩევა, რაც მოითხოვს პერიოდულ გადახედვას, ვინაიდან ფუნქციური შესაძლებლობები შეიძლება შეიცვალოს, როდესაც მომსახურების პროვაიდერი სტ გამოყენებით პროგრამას განაახლებს.
- ამ შემთხვევაში, გარდა ხარისხის რისკებისა, რომლებიც აღწერილია მაგალითებში (შეესაბამება თუ არა სტ გამოყენებითი პროგრამა იმ დანიშნულებას, რომლისთვისაც იგი იქნება გამოყენებული) და ხარისხის რისკებთან დაკავშირებული განახლებებისა, ფირმამ შეიძლება, აგრეთვე, განსაზღვროს ხარისხის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია:
- o სპეციალურად შემუშავებული პროგრამები, რომლებიც გამართულად არ მუშაობს;
 - o ფირმის სპეციფიკური მონაცემები, რომლებიც არასწორადაა შეყვანილი/შენახული ან სათანადოდ მხარდაჭერილი; და შერჩეული ფუნქციური შესაძლებლობების შეუსაბამობა.

მომსახურების პროვაიდერები: მომსახურების პროვაიდერებისგან ინფორმაციის მიღება

ხმსს 1-ის გ107 პუნქტში განმარტებულია, რომ იმის დასადგენად, არის თუ არა მომსახურების პროვაიდერის რესურსები ხარისხის მართვის სისტემასა და გარიგებების შესრულებაში გამოსაყენებლად ვარგისი, ფირმამ მომსახურების პროვაიდერებისა და მათ მიერ უზრუნველყოფილი რესურსების შესახებ ინფორმაცია მთელი რიგი წყაროებიდან შეიძლება მოიპოვოს. ხშირად, ასეთი ინფორმაციის მოპოვება უშუალოდ მომსახურების პროვაიდერისგან შეიძლება იყოს საჭირო.

იმ პირობებში, როდესაც მომსახურების პროვაიდერი ფირმისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდებას არ უზრუნველყოფს და ფირმას არ შეუძლია მოიპოვოს ალტერნატიული ინფორმაცია, რათა დარწმუნდეს რომ მომსახურების პროვაიდერი შესაფერისია ხარისხის მართვის სისტემასა და გარიგებების შესრულებაში გამოსაყენებლად, ფირმას შეუძლია ისარგებლოს ალტერნატიული მომსახურების პროვაიდერით. ზოგიერთ შემთხვევაში, ფირმა შეიძლება იძულებული იყოს გამოიყენოს მომსახურების პროვაიდერი და თუ ფირმა ვერ დარწმუნდება რესურსის სათანადო გამოყენებაში, შესაძლოა, მას სხვა ნაბიჯების გადადგმა მოუწიოს, რათა შექმნილ ვითარებაზე სათანადო რეაგირება მოახდინოს.

გარემოებების მაგალითები, როდესაც ფირმა იძულებულია გამოიყენოს მომსახურების პროვაიდერი და ქმედებები, რომლებიც ფირმამ შეიძლება განახორციელოს თუ იგი ვერ დარწმუნდება რესურსის გამოყენების შესაბამისობაში.

გარემოებების მაგალითები	ფირმის მიერ განსახორციელებელი ქმედებების მაგალითები
ქსელი მოითხოვს, ფირმამ გამოიყენოს სპეციალური გარე სტ გამოყენებითი პროგრამა, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის პროვაიდერმა შეიმუშავა. პროგრამული უზრუნველყოფის პროვაიდერი ავრცელებს სტ გამოყენებითი პროგრამას რეგიონალური დისტრიბუტორების საშუალებით და შესაბამისად, ფირმა პასუხისმგებელია საინფორმაციო ტექნოლოგიის პროგრამის უშუალოდ რეგიონალური დისტრიბუტორისგან მიღებასა და მათთან ხელშეკრულების პირობებზე მოლაპარაკებაზე. აქედან გამომდინარე, პროგრამული უზრუნველყოფის პროვაიდერი, ფირმის კონტექსტში, არის მომსახურების პროვაიდერი და ფირმამ უნდა გაარკვეოს, არის თუ არა სტ გამოყენებითი პროგრამა გამოსაყენებლად ვარგისი. ფირმამ რეგიონალურ დისტრიბუტორს ინფორმაციის მიწოდება მოსთხოვა იმის დასადასტურებლად, თუ რამდენად შესაფერისია სტ გამოყენებითი პროგრამა გამოყენებისთვის, თუმცა, რეგიონალურმა დისტრიბუტორმა ფირმის მოთხოვნებს არ უპასუხა.	ფირმამ დამატებით შეიძლება განიხილოს აღნიშნული საკითხი ქსელთან და მოსთხოვოს მას პროგრამული უზრუნველყოფის პროვაიდერის გლობალური სათავო ოფისისგან საჭირო ინფორმაციის მოპოვება. გარდა ამისა, ფირმამ შეიძლება განსაზღვროს უფრო სპეციფიკური ხარისხის რისკები, რომლებიც დაკავშირებულია გარკვეულ საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამებთან და მათზე უშუალო რეაგირება მოახდინოს. მაგალითად, ფირმამ შეიძლება დაადგინოს, რომ არსებობს რისკი, რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამა გარკვეულ კალკულაციებს შეცდომით აეთებს და რომ ახორციელებს პოლიტიკას ან პროცედურებს, რომლებიც სტ გამოყენებითი პროგრამის მიერ გაკეთებული კალკულაციების ხელახლა შესასრულებლად გარიგების გუნდების ჩართულობას მოითხოვს.



შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც მომსახურების პროვაიდერი რესურსებზე მათიკონტროლის აღწერილობისა და დიზაინის შესახებ აწვდის ფირმას მარწმუნებელ ანგარიშს და ზოგიერთ შემთხვევაში, ის შეიძლება მოიცავდეს ამ კონტროლის მექანიზმების ფუნქციონირების ეფექტიანობის რწმუნებას. თუმცა, ხმს 1-ის მიზნებისთვის, მომსახურების პროვაიდერის მარწმუნებელი ანგარიში აუცილებელი არ არის.

ინფორმაცია და კომუნიკაცია



ხმს 1, პუნქტი:
33, გ109-გ115

ქვემოთ აღწერილია, თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 არსებულ სტანდარტიდან ინფორმაციასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებით.



- ხმს 1-ის ახალი კომპონენტი.
- ინფორმაციის მიღების, წარმოების, გამოყენებისა და გადაცემის ახალი და გაძლიერებული მოთხოვნები, რაც ხარისხის მართვის სისტემის სქემის შექმნას, დანერგვასა და ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. ახალი მოთხოვნები ეხება:
 - o ფირმის საინფორმაციო სისტემას; ფირმის კულტურა, ინფორმაციისა და კომუნიკაციის კონტექსტში (ე.ი., პერსონალის პასუხისმგებლობის გაცნობიერება და განმტკიცება ფირმასთან და ერთმანეთთან ინფორმაციის გაცვლის მიზნით).
 - o ფირმასა და გარიგების გუნდებს შორის ინფორმაციის გაცვლას (შენიშვნა: ეს გაუმჯობესდა ხვს 1-ის მიხედვით, რომელიც მოითხოვს, რომ ფირმამ გააცნოს პერსონალს თავისი პოლიტიკა ან პროცედურები).
 - o ინფორმაციის გადაცემა ფირმის ქსელში და მომსახურების პროვაიდერისთვის.
 - o ხარისხის მართვის სისტემასთან გარედან დაკავშირებული სხვა კომუნიკაციები, ე.ი., როდესაც მას კანონი, რეგულაცია ან პროფესიული სტანდარტები მოითხოვს ან ხარისხის მართვის სისტემის გარე მხარეების მხარდაჭერა.

ხვს 1-ის ზოგიერთი ელემენტი მოიცავდა კომუნიკაციასთან დაკავშირებულ მოთხოვნებს, მაგალითად, დამოუკიდებლობის საკითხებსა და გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობების ინფორმირებასთან დაკავშირებულ კომუნიკაციას. ხმს 1-ში მოცემული ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტები ხაზს უსვამს ამ კომუნიკაციის საჭიროებას, იმ პრინციპებზე დაფუძნებული მოთხოვნების საფუძველზე, რომლებიც წარმოდგენილია ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტში.



ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტი ხმს-ის სქემის შექმნას, დანერგვასა და ფუნქციონირებას უზრუნველყოფს. შესაბამისად, ინფორმაციისა და კომუნიკაციის კომპონენტის მრავალი ასპექტი შეიძლება გადაიკვეთოს სხვა კომპონენტებთან.

ხმს 1-ის სხვა კომპონენტები შეიცავს სპეციალურ ინფორმაციისა და კომუნიკაციის მოთხოვნებს, როგორიცაა: ხმს 1-ის 22, 34 (ე), 46-ე, 47-ე და 51-ე პუნქტები.

საინფორმაციო სისტემა


ხმს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ განსაზღვროს ხარისხის მიზანი, რომელიც ფირმის საინფორმაციო სისტემასთან არის დაკავშირებული. ხმს 1 განმარტავს, რომ საინფორმაციო სისტემა შეიძლება გულისხმობდეს სახელმძღვანელოს ან საინფორმაციო ტექნოლოგიების ელემენტების გამოყენებას.

მოუხედავად იმისა, რომ ეს ხმს 1-ის ახალი მოთხოვნაა, ფირმას, სავარაუდოდ, უკვე აქვს საინფორმაციო სისტემები, რომლებიც მისი ხარისხის მართვის არსებული სისტემების ნაწილია. ხმს 1-ის დანერგვისას, ფირმამ უნდა განსაზღვროს, როგორ ადგენს, ამუშავებს, ინახავს და იცავს ინფორმაციას არსებული საინფორმაციო სისტემა.

i ხმს 1-ის გ111 პუნქტი შეიცავს გრადაციის მაგალითს იმის საჩვენებლად, თუ როგორ შეიძლება შეიქმნას საინფორმაციო სისტემა ნაკლებად კომპლექსურ ფირმაში.

სხვადასხვა მხარე, რომელთანაც ფირმა ურთიერთობს და ცვლის ინფორმაციას

ქმედითი ორმხრივი კომუნიკაცია აუცილებელია ხარისხის მართვის სისტემის ფუნქციონირებისა და გარიგებების შესრულებისთვის. ხმს 1 აცნობიერებს, რომ მრავალი მხარეა, რომელთანაც ფირმა ურთიერთობს და ცვლის ინფორმაციას. გადაცემული ინფორმაციისა და ინდივიდუალური კომუნიკაციის პასუხისმგებლობის განსხვავება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ფუნქციას ასრულებენ ისინი ფირმის ხარისხის მართვის სისტემასა და გარიგებების შესრულების პირობებში.



ხმს 1-ში განხილულია:

- პერსონალის კომუნიკაციის ზოგადი პასუხისმგებლობა.
- ინფორმაციის გაცვლა ფირმასა და გარიგების გუნდებს შორის. ამ კონტექსტში, გარიგების გუნდები შედგება პერსონალისა და ნებისმიერი ფიზიკური პირისგან. შეიძლება ეს იყოს ფიზიკური პირი ფირმის ქსელიდან ან მომსახურების პროვაიდერის ორგანიზაციიდან, რომელიც გარიგების გუნდის მონაწილეა. როგორ აწვდის ფირმა ინფორმაციას ფირმის ქსელის და მომსახურების პროვაიდერის ორგანიზაციის ფიზიკურ პირებს შეიძლება განსხვავდებოდეს იმისგან, თუ როგორ აწვდის იგი ინფორმაციას თავის პერსონალს. მაგალითად, ფირმის კომუნიკაცია კომპონენტის აუდიტორებთან ფირმის ქსელის ან მომსახურების პროვაიდერისგან შეიძლება განხორციელდეს ჯგუფის აუდიტორის მეშვეობით.

- ხარისხის მართვის სისტემაში საქმიანობის განხორციელებისას ფირმასა და პერსონალს შორის ინფორმაციის გაცვლა.
- ინფორმაციის გაცვლა ფირმის ქსელში ან მომსახურების პროვაიდერთან, ქსელის მოთხოვნების ან ქსელის მომსახურების კონტესტში ან მომსახურების პროვაიდერების რესურსებიდან გამომდინარე.
- სხვა გარე მხარეებთან კომუნიკაცია.



ხმსს 1-ის გ112 პუნქტი შეიცავს ფირმას, პერსონალსა და გარიგების გუნდებს შორის კომუნიკაციას. გ113 პუნქტი შეიცავს ინფორმაციის მაგალითებს, რომლებიც ფირმამ ფირმის ქსელში მოიპოვა.

არსებობს მრავალი მეთოდი, რომლითაც ფირმამ შეიძლება გაცვალოს ინფორმაცია, მაგალითად: პირდაპირი ან ზეპირი კომუნიკაცია, პოლიტიკის ან პროცედურების სახელმძღვანელოები, საინფორმაციო ბიულეტენი, სასწრაფო შეტყობინებები, ელექტრონული წერილები, ინტრანეტი ან სხვაინტერნეტქსელოგიაზე დაფუძნებული პროგრამები, ტრენინგი, პრეზენტაციები, სოციალური მედია ან ვებ-ტრანსლაციები. ყველაზე შესაფერისი მეთოდი(ებ)ისა და კომუნიკაციის სიხშირის დასადგენად, ფირმამ შეიძლება გაითვალისწინოს სხვადასხვაგვარი ფაქტორი, მათ შორის:

- აუდიტორია, რომლისთვისაც არის გამიზნული ეს კომუნიკაცია; და
- იმ ინფორმაციის ხასიათი და საჭიროებია, რომლის ინფორმირებაც ხორციელდება.

ზოგიერთ შემთხვევაში, ფირმამ შეიძლება საჭიროდ ჩათვალოს იმავე ინფორმაციის გადაცემა სხვადასხვა მეთოდის საშუალებით, რათა კომუნიკაციის მიზანს მიაღწიოს. ასეთ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია გადაცემული ინფორმაციის თანმიმდევრულობისა და ლოგიკურობის დაცვა.



მცირე ან ნაკლებად კომპლექსური ფირმის შემთხვევაში, კომუნიკაცია შეიძლება უფრო არაფორმალური იყოს და წარიმართოს პირდაპირი მსჯელობებით. ხმსს 1-ს არ აქვს მოთხოვნა, რომ ყველა კომუნიკაცია ფორმალურად იყოს დოკუმენტირებული, რაც პრაქტიკულად შეუძლებელია კიდევ. ფირმას სჭირდება კომუნიკაციის დოკუმენტირება იმ საჭიროების ფარგლებში, რომ დაავაყოფილოს დოკუმენტაციის მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია ხმსს 1-ის 57-ე და 59-ე პუნქტებში.



ხმსს 1, პუნქტები: 34(ე), გ124-1გ32

გარე მხარეებთან კომუნიკაცია

ფირმამ შეიძლება კომუნიკაცია სხვადასხვა გარე მხარეებთან დაამყაროს. ფირმის ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული გარე კომუნიკაცია შეიძლება მოიცავდეს გამჭვირვალობის ან აუდიტის ხარისხის ანგარიშს, პირდაპირ კომუნიკაციებს გარე მხარეებთან, მათ შორის, პირდაპირ კომუნიკაციებს მარეგულირებელ ორგანიზაციებთან და აუდიტის ზედამხედველობის ორგანოებთან ან მენეჯმენტთან და ყველა იმ პირთან, რომელიც დაკავშირებულია მომხმარებელთა მართვასთან და შეიძლება მოიცავდეს ინფორმაციას ფირმის ვებგვერდზე ან სოციალურ ქსელში.



ხმსს 1-ის გ125 პუნქტში მოცემულია მაგალითები გარე მხარეებისა, რომლებმაც შეიძლება გამოიყენონ ინფორმაცია ფირმის ხარისხის მართვის სისტემის შესახებ.

ხმსს 1 უზრუნველყოფს კომუნიკაციას გარე მხარეებთან შემდეგი საშუალებებით:

- ხარისხის მიზანი, რომელიც დაკავშირებულია გარე მხარეებთან, 33-ე (დ)(ii) პუნქტები; და
- განსაზღვრული საპასუხო ზომები ხმსს 1-ის 34(ე) პუნქტები.

შენიშვნა: კომუნიკაციის საკითხი, ფირმის ქსელში ან მომსახურების პროვაიდერებთან, განხილულია ხმსს-ის 33-ე (დ)(i) პუნქტებში.

ხმსს 1-ში მოცემული მოთხოვნები, რომელთა შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს გარე მხარეებს (გარდა ქსელებისა და მომსახურების პროვაიდერების):

როდის არის კომუნიკაცია გარე მხარეებთან საჭირო ან მიზანშეწონილი?	ვისთან ხორციელდება კომუნიკაცია?	რა ინფორმაციის შეტყობინება ხორციელდება?	როგორ ხორციელდება ინფორმაციის გადაცემა?
კანონი, რეგულაცია ან პროფესიული სტანდარტები საჭიროებს გარე კომუნიკაციას	გარე მხარესთან კომუნიკაცია განსაზღვრულია კანონით, რეგულიციითა ან პროფესიული სტანდარტებით	ინფორმაციის შეტყობინება, რომელიც განსაზღვრულია კანონით, რეგულაციით ან/და პროფესიული სტანდარტებით	ხასიათი, ვადები და მოცულობა, რომელიც განსაზღვრულია კანონით, რეგულაციით ან პროფესიული სტანდარტებით
ფირმა ასრულებს საფონდო ბირჟაზე კოტირებული სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტებს	საწარმოს მმართველობაში პასუხისმგებელ პირებთან კომუნიკაცია სამეურნეო ერთეული (საწარმო)	კომუნიკაცია იმის შესახებ, თუ როგორ ეხმარება ხმს ხარისხიანი გარიგებების შესრულებას პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრულია 34(ე) (iii) პუნქტის მიხედვით	ფირმის მიერ განსაზღვრული ხასიათი, ვადები და მოცულობა (პოლიტიკა ან პროცედურები განსაზღვრულია 34(ე)(iii) პუნქტის მიხედვით)
სხვა მხრივ, კომუნიკაცია საჭიროა გარე მხარეების ხმს-ის გაგების მხარდასაჭერად	ფირმის მიერ განსაზღვრულ გარე მხარესთან კომუნიკაცია პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრულია 34(ე)(ii) პუნქტის მიხედვით	ფირმის მიერ განსაზღვრული ინფორმაციის შეტყობინება პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრულია 34(ე) (iii) პუნქტის მიხედვით	ფირმის მიერ განსაზღვრული ხასიათი, ვადები და მოცულობა (პოლიტიკა ან პროცედურები განსაზღვრულია 34(ე)(iii) პუნქტის მიხედვით)

ხმსს 1-ის მოთხოვნები გამიზნულია ხელი შეუწყოს ხარისხის მართვის სისტემის შესახებ მნიშვნელოვანი და დეტალური ინფორმაციის გაცვლას ფირმის დაინტერესებულ მხარეებს შორის. შედეგად, მაშინაც კი, თუ კანონით, რეგულაციით ან პროფესიული სტანდარტებით არ არის მოთხოვნილი გარე კომუნიკაცია, ან ფირმა არ ასრულებს საფონდო ბირჟაზე კოტირებული სამეურნეო სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტებს, ფირმამ, სულ მცირე, უნდა განსაზღვროს არის თუ არა მიზანშეწონილი გარე მხარეებთან ხარისხის მართვის შესახებ კომუნიკაცია.



მცირე ფირმის შემთხვევაში, პოლიტიკის ან პროცედურების დაწესებისას, ფირმამ შეიძლება გამოეყოს განსაზღვრული შემთხვევები, როდესაც გარე მხარეებთან კომუნიკაცია მიზანშეწონილი იქნება. მაგალითად, ფირმამ შეიძლება კომუნიკაცია დაამყაროს სუბიექტის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებთან, იმ გარემოებებში, როდესაც არსებობს კონკრეტული გარიგების შესახებ აღმოჩენილი ფაქტები.



ხმსს 1 გარეკომუნიკაციასთან დაკავშირებულ დეტალურ მითითებებსა და მაგალითებს შეიცავს:

- გ126 პუნქტი აღწერს საკითხებს, რომლის შესახებაც შეიძლება ინფორმაცია მიეწოდოს გარე მხარეებს.
- გ130 პუნქტი აღწერს საკითხებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს ფირმის გადაწყვეტილებაზე - როდის არის გარეკომუნიკაცია მიზანშეწონილი.
- გ131 პუნქტი აღწერს დეტალებს, რომლებიც ფირმამ ინფორმაციის მომზადების პროცესში შეიძლება გაითვალისწინოს გარეკომუნიკაციისთვის.
- გ132 პუნქტი შეიცავს გარე მხარეებთან კომუნიკაციის ფორმის მაგალითებს.



იურისდიქციის კანონმდებლობამ ან პროფესიულმა სტანდარტებმა შეიძლება დაავალდებულოს ფირმა, მოამზადოს გამჭვირვალობის ანგარიში ან აუდიტის ხარისხის ანგარიში, რომლის შემთხვევაშიც ფირმას მოუწევს დაიცვას ამგვარი მოთხოვნები. ხმსს 1 არ ავალდებულებს ფირმას, მოამზადოს გამჭვირვალობის ანგარიში ან აუდიტის ხარისხის ანგარიში. ხმსს 1-ის გ132 პუნქტში აღნიშნულია, რომ გამჭვირვალობის ანგარიში, ან აუდიტის ხარისხის ანგარიში გარე მხარეებთან კომუნიკაციის ფორმის მაგალითებია.



მიითითებული საპასუხო ზომები

როგორც ფირმის რისკის შეფასების პროცესშია განმარტებული, ხმსს 1 შეიცავს რამდენიმე საპასუხო ზომას, რომელიც ფირმამ უნდა შეიმუშაოს და დანერგოს. საპასუხო ზომები არ არის საყოველთაო და არც ყველა ხარისხის რისკს მიესადაგება. ზოგიერთი საპასუხო ზომა ეხება საკითხებს, რომლებიც განხილულია ხსსს1-ში.

ქვემოთ აღწერილია ხმსს 1-ის ახალი მოთხოვნები:



- ზალი მოთხოვნები, რომლებიც გარე მხარეებთან კომუნიკაციას ეხება (იხ. ინფორმაციისა და კომუნიკაციის განყოფილება დამატებითი დეტალებისთვის).
- გაუმჯობესებული მოთხოვნები:
 - o პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს, რომელი გარიგებები უნდა დაექვემდებაროს გარიგების ხარისხის მიმოხილვას.
 - o პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც მიმართულია სათანადო ეთიკური მოთხოვნების დაცვის მიმართ შექმნილი საფრთხეების აღმოფხვრაზე და სათანადო ეთიკური მოთხოვნების დარღვევების თავიდან აცილებაზე (არსებული ხსსს 1 კონცენტრირებულია დამოუკიდებლობაზე). გარდა ამისა, მოთხოვნები შესაბამისობაშია ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IESBA) კოდექსთან, კერძოდ, IESBA-ის კოდექსის განახლებებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება დამცავ ზომებს.
 - o დამოუკიდებლობის მოთხოვნების დაცვის დადასტურების მიღების მოთხოვნა მორგებულია დამოუკიდებლობის მოთხოვნებთან, ნაცვლად ფირმის პოლიტიკისა და პროცედურებისა.
 - o პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც დაკავშირებულია საჩივრებსა და ბრალდებებთან, ხსსს 1-ის მსგავსია და ყურადღებას ამახვილებს საჩივრებისა და ბრალდებების მიღებაზე, მოკვლევასა და გადაწყვეტილებაზე.
 - o პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც ეხება გარიგებაზე დათანხმებასა და გაგრძელებასთან დაკავშირებულ სპეციალურ საკითხებს, დაზუსტებული და გავრცობილია, რათა ფირმას მოეთხოვოს ყურადღების გამახვილება ისეთ გარემოებებზე, როდესაც ფირმას, კანონით ან სხვა ნორმატიული აქტით მოეთხოვება დამკვეთთან ურთიერთობაზე ან კონკრეტულ გარიგებაზე დათანხმება.

ხსსს 1-ის მოთხოვნები აღწერილია ხმსს 1-ში:

- ხსსს 1 მოიცავდა მოთხოვნებს, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილველის უფლებამოსილებას, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვის ჩატარებასა და დოკუმენტირებას. აღნიშნული ცვლილებები გადატანილია ხმსს 2-ში.
- ხსსს 1 მოიცავდა სპეციალურ მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია საჩივრებისა და ბრალდებების იდენტიფიცირების შედეგად წარმოქმნილ ნაკლოვანებებთან. ეს განიხილება, როგორც მონიტორინგისა და რეგულაციის პროცესი.

ამ სახელმძღვანელოს განყოფილებებში, რომლებიც ეხება სათანადო ეთიკური მოთხოვნებისა და დათანხმებისა და გაგრძელების კომპონენტებს, ასევე ახსნილია ხსსს 1-ის ის მოთხოვნებიც, რომლებიც გვხვდება ხმსს 1-ის სხვადასხვა ნაწილში.

გარიგების ხარისხის მიმოხილვა

გარიგების ხარისხის მიმოხილვა ფირმის დონეზე საპასუხო ზომაა ხარისხის რისკების მიმართ. გარიგების ხარისხის მიმოხილვა გარიგების ხარისხის მიმოხილველის მიერ, ფირმის სახელით, გარიგების დონეზე სრულდება. ხმს 1 და ხმს 2 შეიცავს მოთხოვნებს, რომლებიც ეხება გარიგების ხარისხის მიმოხილვას.



იხ. IAASB-ის დანერგვის სახელმძღვანელოგარიგების ხარისხის მიმოხილვისთვის.

ხმს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ შეიმუშავოს პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც:

- მიმართულია გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარებაზე ხმს 2-ის შესაბამისად; და
- რომელიც მოითხოვს, რომ გარიგების ხარისხის მიმოხილვა ჩატარდეს კონკრეტული გარიგებებისთვის.

ხმს 2 ეხება:

- ფიზიკური პირის კრიტერიუმს, იყოს უფლებამოსილი, შეასრულოს გარიგების ხარისხის მიმოხილვა და ასევე კრიტერიუმებს გარიგების ხარისხის მიმოხილველად დანიშნასთან დაკავშირებით; და
- მიმოხილვის ჩატარებასა და დოკუმენტირებას.



რას ნიშნავს ეს?

ფირმას მოეთხოვება, დააწესოს პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც ეხება შემდეგ საკითხებს:

- რა ტიპის გარიგებები უნდა დაექვემდებაროს გარიგების ხარისხის მიმოხილვას. პოლიტიკა ან პროცედურები უნდა მოიცავდეს გარიგებების გამოყენების სფეროს, რომლებიც ხმს 1-ის მიერ არის განსაზღვრული.
- ფიზიკური პირის კრიტერიუმს, იყოს უფლებამოსილი, შეასრულოს გარიგების ხარისხის მიმოხილვა და ასევე კრიტერიუმებს გარიგების ხარისხის მიმოხილველად დანიშნასთან დაკავშირებით. პოლიტიკა ან პროცედურები, შესაბამისობაში უნდა იყოს ასევე ხმს 2-ში არსებულ უფლებამოსილების მოთხოვნებთან და იმ მოთხოვნებთან, რომლებიც დაკავშირებულია მიმოხილველის დაქირავებასთან.
- გარიგების ხარისხის მიმოხილვის შესრულება და დოკუმენტირება. პოლიტიკა ან პროცედურები, ასევე, უნდა იყოს შესაბამისობაში ხმს 2-ში არსებულ მოთხოვნებთან, რომლებიც დაკავშირებულია შესრულებასა და დოკუმენტირებასთან.



ხმს 1-ის გ136 პუნქტში აღნიშნულია რომ, ზოგიერთ შემთხვევაში, ფირმამ შეიძლება დაადგინოს, რომ არ არსებობს ისეთი აუდიტის ან სხვა გარიგება, რომელსაც სჭირდება გარიგების ხარისხის მიმოხილვა. აღსანიშნავია, რომ ხმს 1-ის მოთხოვნები, რომლებიც ეხება ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების განსაზღვრას გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან დაკავშირებით, მაინც ეხება ფირმას. თუმცა, გარიგებების ხასიათი და პირობები, რომლებსაც ფირმა ასრულებს, შეიძლება ისეთი აღმოჩნდეს, რომ ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების მიხედვით, გარიგების ხარისხის მიმოხილვის ჩატარება არ იყოს აუცილებელი.



ფირმამ, როგორც ხარისხის რისკების საპასუხო ზომა, შეიძლება შეიმუშავოს და დანერგოს გარიგების მიმოხილვის სხვა ტიპები, რომლებიც არ განიხილება, როგორც გარიგების ხარისხის მიმოხილვა. მაგალითად, ზოგიერთი აუდიტის გარიგებისთვის, ფირმამ შეიძლება მოითხოვოს გარიგების გუნდის მიერ ჩატარებული დამატებითი აუდიტის პროცედურების მიმოხილვა, მნიშვნელოვან რისკებზე რეაგირების მიზნით, ან გარკვეული საკითხების მიმოხილვა, რაც დაევალება სპეციალიზებული ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების მქონე ფირმის პერსონალს. ზოგიერთ შემთხვევაში, აღნიშნული მიმოხილვა შეიძლება ჩატარდეს გარიგების ხარისხის მიმოხილვასთან ერთად.

საჩივრები და ბრალდებები

ხმსს 1 ზუსტად არ განსაზღვრავს ვინ უნდა მიიღოს, მოიკვლიოს ან გადაჭრას საჩივრებისა და ბრალდებების საკითხი. თუმცა, მოთხოვნები, რომლებიც დაკავშირებულია 32-ე (გ) და 32-ე (ე) პუნქტებთან - გამოიყენება. ეს ნიშნავს, რომ ფიზიკურ პირს, რომელსაც დაევალა - მიიღოს, გამოიკვლიოს და გადაჭრას საჩივრებისა და ბრალდებების საკითხი, უნდა ჰქონდეს სათანადო კომპეტენცია და შესაძლებლობები, მათ შორის, საკმარისი დრო, რათა თავისი ფუნქცია შეასრულოს. იმ შემთხვევაში, როდესაც ფირმას არ ჰყავს სათანადო კომპეტენციისა და შესაძლებლობების მქონე თანამშრომელი, რომელიც შეასრულებს ამ ფუნქციას, ფირმამ ფიზიკური პირი გარე წყაროდან უნდა მოიპოვოს.

სათანადო კომპეტენციასა და შესაძლებლობებში, რომლებიც საჭიროა საჩივრებისა და ბრალდებების საკითხის მიღების, მოკვლევისა და გადაჭრის ფუნქციის შესასრულებლად, შეიძლება შედიოდეს:

- გამოცდილება, ცოდნა და ფირმაში სათანადო უფლებამოსილება; და
- კომუნიკაციის პირდაპირი კავშირის ხაზი ფიზიკურ პირებთან, რომლებმაც ეკისრებათ საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხმსს-ის მიმართ.



მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მიზანია:

- შესრულდეს ხმს-ის მონიტორინგი ისე, რომ ფირმას ჰქონდეს შესაბამისი, სანდო და დროული ინფორმაცია, ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ.
- სათანადო ზომების მიღება გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირების მიზნით, ისე, რომ ნაკლოვანებები დროულად აღმოჩენილიყვნენ და ხელახლა არ განმეორდეს. სათანადო ზომების მიღება შეიძლება, აგრეთვე, საჭიროებისამებრ, მოიცავდეს გარიგებებთან დაკავშირებით აღმოჩენილი ფაქტების გამოსწორებას, როდესაც აშკარაა, რომ მიმდინარე ან შესრულებულ გარიგებაში გამოტოვებულია პროცედურები ან გამოცემული ანგარიში შეუსაბამოა.

მონიტორინგი და რემედიაცია ხელს უწყობს გარიგების ხარისხისა და ხარისხის მართვის სისტემის პროაქტიურ

და უწყვეტ გაუმჯობესებას. ნაკლოვანებების გამოვლენა და რემედიაცია კონსტრუქციულია და ეფექტიანი ხარისხის მართვის სისტემის აუცილებელია შემადგენელი ნაწილია.



მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა არსებულ ხვს 1-დან, მათ შორის:

- ახალი აქცენტს აკეთებს მთლიანად ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგზე;
- ახალი სტრუქტურა, აღმოჩენილი ფაქტების შესაფასებლად და ნაკლოვანებების დასაადგენად და დადგენილი ნაკლოვანებების შესაფასებლად; და
- უფრო მძლავრი რემედიაცია.

მოთხოვნები, რომლებიც ეხება მონიტორინგსა და რემედიაციასთან დაკავშირებული საკითხების კომუნიკაციას, არსებული ხვს 1-ის მსგავსია.

როგორ შეიძლება გამოვიყენოთ ინფორმაცია ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების და ნაკლოვანებების შესახებ

ინფორმაცია ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების, მათ შორის ნაკლოვანებების აღმოფხვრის შესახებ, შეიძლება გამოიყენებოდეს:

- ფირმის ხელმძღვანელობის მიერ ხარისხის მართვის სისტემის ყოველწლიური შეფასების პროცესში.
- ფირმის ან ფიზიკური პირების მიერ, რომლებსაც ევსრებათ ხარისხის მართვის სისტემაში სამუშაოების შესრულება, რათა პროაქტიურად და უწყვეტად გაუმჯობესონ გარიგების ხარისხი და ხარისხის მართვის სისტემა. ეს მოიცავს გარიგების ხარისხის მიმოხილვას, რომლებმაც შეიძლება გამოიყენონ აღნიშნული ინფორმაცია, როგორც გარიგების ხარისხის მიმოხილვის განხორციელების საფუძველი.
- გარიგების პარტნიორების მიერ გარიგების ხარისხის მართვისა და წარმატებით შესრულებისთვის.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის სხვადასხვა ასპექტი

მონიტორინგი და რემედიაციის პროცესი შეიძლება დაიყოს ოთხ ასპექტად:



როგორც მომდევნო განყოფილებებშია განმარტებული, მონიტორინგი და რემედიაციის პროცესის სქემა დამოკიდებული იქნება ბევრ ფაქტორზე, მათ შორის, როგორ არის შემუშავებული ხარისხის მართვის სისტემის სხვა ასპექტები და, ასევე, ფირმის ხასიათსა და მდგომარეობაზე.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესი მიზნად ისახავს არასწორხაზოვანი პროცესის შემოღებას, რომელიც იფუნქციონირებს დინამიურად და განმეორებით.

მაგალითები იმისა, თუ როგორ არის მონიტორინგი და რემედიაციის პროცესი დინამიკური და განმეორებითი

ფირმის დამოუკიდებლობის სტ გამოყენებითი პროგრამის მიგნებების შეფასებისას, რომლებიც დაკავშირებულია პერსონალის ფინანსურ ინტერესების ჩანაწერებთან, დადგენილია, რომ მონიტორინგის ღონისძიებებმა არ შეამოწმა დამოუკიდებლობის სტ გამოყენებითი პროგრამის ფუნქციონირება, როგორცაა წვდომის კონტროლი სტ გამოყენებით პროგრამაზე, როგორ იყო საინფორმაციო ტექნოლოგიების პროგრამა დაპროგრამირებული, როგორ ხდება პროგრამირების ცვლილებების მართვა, ან სტ გამოყენებით პროგრამაში შეტანილი მონაცემების შენახვა და მართვა. შესაბამისად, ფირმა განსაზღვრავს, რომ სტ გამოყენებითი პროგრამის დამოუკიდებლობის შემდგომი მონიტორინგის სამუშაოები აუცილებელია, რათა უზრუნველყოს ფირმის საპასუხო ზომების ეფექტიანობის გლობალური ხელვა დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით.

მონიტორინგის ღონისძიებების განსაზღვრა და ჩატარება



ხმს 1, პუნქტები:
34(ე), გ124-1გ32



რის მონიტორინგს ახორციელებს ფირმა

ფირმა აწარმოებს მთლიანად ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს. ეს შეიძლება მოიცავდეს შემდეგი ასპექტების მონიტორინგს:

- როგორ ენიჭება პასუხისმგებლობები ხელმძღვანელობას და დაემაყოფილებულია თუ არა ხმს 1-ის მოთხოვნები.
- ფირმის რისკის შეფასების პროცესის შექმნა და ფუნქციონირება, ე.ი. როგორ განისაზღვრება ფირმის მიერ ხარისხის მიზნები, როგორ ხდება ხარისხის რისკების გამოვლენა და შეფასება, საპასუხო ზომების დაგეგმვა და დანერგვა და იმ ინფორმაციის განსაზღვრა, რომელიც ეხება ფირმის ხასიათისა და მდგომარეობის და გარიგებების შესრულების ცვლილებებს, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს ხარისხის მიზნებზე, ხარისხის რისკებსა ან საპასუხო ზომებზე.
- საპასუხო ზომების დანერგვა და ფუნქციონირება, მათ შორის, მუშაობს თუ არა გამართულად იმის შესაბამისად, როგორც შემუშავებული იყო და ავლენს თუ არა ხარისხის რისკებს ეფექტიანად.
- აღწევს თუ არა ფირმის მონიტორინგი და რემედიაციის პროცესი დასახულ მიზანს.
- როგორ შეასრულა ფირმამ ქსელის მოთხოვნები ან მომსახურება და შეესაბამება თუ არა იგი ხმს 1-ის მოთხოვნებს.
- ხარისხის მართვის სისტემის შეფასება ხელმძღვანელობის მიერ და დაემაყოფილა თუ არა მან ხმს 1-ის მოთხოვნები.

როგორ აწარმოებს ფირმა ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგს

ფირმა გეგმავს და ასრულებს მონიტორინგის სამუშაოებს, რომლებიც მორგებულია მასზე. მონიტორინგის სამუშაოების ხასიათი, ვადები და მოცულობა მორგებულია ხმს 1-ში განსაზღვრულ მრავალ ფაქტორის გათვალისწინებაზე. ქვემოთ მოცემულია ფაქტორები, რომლებსაც ხმს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ გაითვალისწინოს, საილუსტრაციო მაგალითებთან ერთად, რომლებიც გვიჩვენებს, თუ როგორ შეიძლება ამა თუ იმ ფაქტორმა იმოქმედოს მონიტორინგის სამუშაოების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე.

ხარისხის რისკებზე მინიჭებული შეფასების მიზეზები

მაგალითი

ფირმას აქვს ერთ-ერთ გარიგების პარტნიორთან დაკავშირებული ხარისხის რისკი, რომელიც არასაკმარის ხელმძღვანელობას, ზედამხედველობასა და მიმოხილვას ახორციელებს. ხარისხის რისკის შეფასება უფრო მნიშვნელოვანია გარიგების ზოგიერთი კატეგორიისთვის, როგორცაა ჯგუფის აუდიტები და კოტირებული საწარმოების აუდიტები. ერთ-ერთი საპასუხო ზომა, რომელსაც ფირმა ამ ხარისხის რისკისთვის ამზადებს, არის ავტომატიზებული ინსტრუმენტი, რომელიც გარიგების მთელი პერიოდის განმავლობაში თვალყურს ადევნებს გარიგების პარტნიორის მიერ გარიგების შესრულებაზე გახარჯულ დროს, პროგნოზირებულ საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით. იმ შემთხვევაში, თუ ინსტრუმენტი გარიგების შესრულების პროცესში დაათვისიერებს, რომ გახარჯული დრო ძალიან დაბალია, იგი გადაგზავნის შეტყობინებას გარიგების პარტნიორთან.

ინსტრუმენტის მონიტორინგის პროცესში, ფირმა იღებს გაფრთხილებების ანგარიშს და თვალყურს ადევნებს გარიგებების ამონაკრებს, რათა განსაზღვროს, რა რეაგირება გააქეთა გარიგების პარტნიორმა გაფრთხილებებზე. ფირმის ამონაკრები (ე.ი., მონიტორინგის საშუალების მოცულობა) კონცენტრირებულია იმ გარიგებებზე, რომლებშიც ხარისხის რისკის შეფასება მნიშვნელოვნად მაღალია (ე.ი., ჯგუფის აუდიტები და კოტირებული საწარმოების აუდიტები).

საპასუხო ზომების სქემა

მაგალითი

ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით, ფირმის მონიტორინგის საშუალები, აგრეთვე, გულისხმობს ინსტრუმენტის მიერ გამოყენებული პროგნოზირებული საშუალო მაჩვენებლების სიზუსტის დადგენას. ამით, ფირმა იყენებს საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტს, რათა შეამოწმოს, რომ განრიგის შედგენის მონაცემები ზუსტად არის გადატანილი ინსტრუმენტში და რომ ინსტრუმენტის ალგორითმები, რომლებიც გამოიყენება პროგნოზირებული საშუალო მაჩვენებლების დასადგენად, რჩება უცვლელად ზუსტი (მონიტორინგის საშუალოს ხასიათი). აღნიშნულ მიმოხილვას საინფორმაციო ტექნოლოგიების ექსპერტი ახორციელებს ყოველწლიურად (მონიტორინგის საშუაო ვადები).

ფირმის რისკის შეფასების, მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის სქემა

მაგალითი

- *ფირმის რისკის შეფასების პროცესის მონიტორინგი:* როგორც ფირმის რისკის შეფასების პროცესის შემადგენელი ნაწილი, ფირმაში ფუნქციონირებს კომიტეტი, რომელიც სამ თვეში ერთხელ იკრიბება, რათა ფირმაში მიმდინარე ცვლილებები განიხილოს და განსაზღვროს, რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ცვლილებებს ხარისხის მართვის სისტემაზე, კერძოდ, არსებობს თუ არა ახალი ხარისხის რისკები და საჭიროა თუ არა საპასუხო ზომების მიღება ამ რისკებთან დაკავშირებით. ფირმის მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათი შეიძლება მოიცავდეს კომიტეტის სხდომის დაკვირვებას და იმ ინფორმაციის გააზრებას, რომელსაც კომიტეტი იყენებს, რათა გამოავლინოს ფირმაში და მის გარემოში არსებული ცვლილებები.
- *მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მონიტორინგი:* ფირმა, მცირე ფირმაა და, შესაბამისად, თავისი მონიტორინგის ღონისძიებების შესასრულებლად მომსახურების პროვაიდერი დაიქირავა. მომსახურების პროვაიდერი ასრულებს მონიტორინგის ღონისძიებებს სამ თვეში ერთხელ და შედეგებს აწვდის ფიზიკურ პირ(ებ)ს, რომელსაც (რომლებსაც) მონიტორინგისადარემედიაციის პროცესისთვის საშუალო ოპერაციებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ეკისრება. ფირმის სქემის მონიტორინგის ხასიათმა, მონიტორინგის ღონისძიებების დანერგვამ და ფუნქციონირებამ შეიძლება ფირმა ჩართოს:

- o იმის განხილვაში, უზრუნველყოფს თუ არა მონიტორინგის ღონისძიებები, რომლის შესრულებაზე ინსტრუქტირებული იყო მომსახურების პროვაიდერი, ხარისხის მართვის სისტემის შესახებ საკმარისი ინფორმაციის მიწოდებას;
- o მომსახურების პროვაიდერის შესაფერისობის გათვალისწინებაში;
- o მომსახურების პროვაიდერის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის განხილვაში, რათა განსაზღვროს შესრულებს თუ არა მათ მონიტორინგის ღონისძიებები ფირმის ინსტრუქციების შესაბამისად; და
- o მომსახურების პროვაიდერისგან ცნობების შეკრებაში, იმის თაობაზე, აქვთ თუ არა მათ რეკომენდაციები, რომლებიც ფირმის მონიტორინგის ღონისძიებების სქემის ეფექტიანობას გაზრდიდა.

ცვლილებები ხარისხის მართვის სისტემაში

მაგალითი

ფირმა ნერგავს ახალ სტ გამოყენებით პროგრამას, რათა მართოს დამკვეთებისა და გარიგებების დათანხმებისა და გაგრძელების პროცესი. ფირმა გადაწყვეტს, რომ აუცილებელია მონიტორინგის ჩატარება, რათა განსაზღვროს, მუშაობს თუ არა სტ გამოყენებითი პროგრამა ისე, როგორც იყო გამიზნული და აღწევს თუ არა იმ შედეგს, რომელიც იყო დასახული ახალი სტ გამოყენებითი პროგრამის ამოქმედებიდან სამი თვის განმავლობაში (მონიტორინგის ღონისძიებების ვადები).

წინა მონიტორინგის ღონისძიებები

მაგალითი

ფირმა ნერგავს ახალ სტ გამოყენებით პროგრამას, რათა მართოს დამკვეთებისა და გარიგებების დაწინა მონიტორინგის ღონისძიებები ხაზს უსვამს საქმიანობის ძირითად მიმართულებებს: ფირმის წინათ შესრულებულმა გარიგებების ყოველწლიურმა მიმოხილვის შედეგებმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გარიგების გუნდებს გარიგებების შესრულებისთვის არასაკმარისი დრო ჰქონდათ. ეს იყო გამოვლენილი ნაკლოვანება, რომელიც მიჩნეული იყო, როგორც სერიოზული და ყოვლისმომცველი. ნაკლოვანების გამოსასწორებლად, ფირმამ მთელი რიგი ქმედებები განახორციელა, მათ შორის, დამატებითი პერსონალი აიყვანა და უფროსი თანამშრომლებისთვის და პარტნიორებისთვის პროექტის მენეჯმენტის სავალდებულო ტრენინგი ჩატარა. ნაკლოვანების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის გათვალისწინებით, ფირმა მუდმივ რეჟიმში ახორციელებს გარიგებებზე პერსონალის დანიშვნის მკაცრ მონიტორინგს (მონიტორინგის ღონისძიებების ვადები) და რეგულარულ შეხვედრებს აწყობს (მონიტორინგის აქტივობის ხასიათი და ვადები) უფროს თანამშრომლებსა და პარტნიორებთან, იმის განსახილველად, თუ როგორ ხორციელდება პროექტის მენეჯმენტის ტრენინგის შედეგები.

მონიტორინგის ღონისძიებები დიდი ხნის განმავლობაში არ განხორციელებულა: ფირმას გარიგებისთვის აქვს სტ გამოყენებითი პროგრამა, რომელსაც იგი მრავალი წელია უცვლელად იყენებს. პირველ წელს, როდესაც ფირმა სტ გამოყენებითი პროგრამას დაეუფლა, ფირმის მონიტორინგის ღონისძიებმა აჩვენა, რომ სტ გამოყენებითი პროგრამა მუშაობდა ისე, როგორც გამიზნული იყო. მრავალი წელი გავიდა მასშემდეგ, რაც სტ გამოყენებითი პროგრამა ბოლოს შემოწმდა და ამიტომ ფირმა აანალიზებს, სტ გამოყენებითი პროგრამასთან (მონიტორინგის აქტივობის დროის აღრიცხვა) მიმართებით ახალი მონიტორინგის ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობას.

სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია - საჩივრები/ბრალდებები, გარე შემოწმება, მომსახურების პროვაიდერები

მაგალითი

ფირმა შიდა მხრიდან ანონიმურ საჩივარს იღებს, იმის თაობაზე, რომ გარიგების პარტნიორმა კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შეუსრულებლობასთან დაკავშირებით არ დაიცვა ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები, როდესაც კლიენტის მენეჯმენტის მიერ კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების შეუსრულებლობა გამოვლინდა.

ფირმა საჩივრის საპასუხოდ შეუსაბამობასთან დაკავშირებით, სათანადო ეთიკური მოთხოვნების დაცვით, სათანადო ზომებს მიმართავს. მიუხედავად ამისა, იმის გათვალისწინებით, რომ დასრულებული-გარიგებების შემოწმებისთვის გარიგების პარტნიორების შერჩევის პროცესში გარიგების პარტნიორი არ იცავდა პოლიტიკას ან პროცედურებს, ფირმა ირჩევს იმ გარიგების პარტნიორს, რომელიც საჩივრის საგანი იყო (მონიტორინგის აქტივობის მოცულობა).

სხვა საკითხების მაგალითები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს მონიტორინგის ღონისძიების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე.

ფირმის მოცულობა, სტრუქტურა და ორგანიზაცია (ორგანიზება)	ფირმის ქსელის ჩართულობა მონიტორინგის ღონისძიებებში	რესურსები, რომელთა გამოყენებასაც ფირმა გეგმავს, რათა გაააქტიუროს მონიტორინგის ღონისძიებები
მაგალითი ფირმა დიდი ფირმაა, რომელიც სხვადასხვა ადგილას ფუნქციონირებს. ამიტომ, ფირმას პერსონალის ერთგული გუნდი ყავს, რომელიც ფირმის მონიტორინგის ღონისძიებებს ასრულებს. ვინაიდან გუნდი მონიტორინგს თავდადებით ასრულებს, ბევრ ღონისძიებას მუდმივი მონიტორინგის ღონისძიების ხასიათი აქვს, რომელიც მთელი წლის განმავლობაში რეგულარულად სრულდება.	მაგალითი ფირმის ქსელი გარიგებებისა და ხარისხის მართვის სისტემის სხვადასხვა ასპექტის მონიტორინგს ახორციელებს. მიმდინარე მიმოხილვაში, ქსელი კონცენტრირდა ფირმის საპასუხო ზომებზე, რომლებიც შეეხებოდა დამოუკიდებლობას. ფირმა ითვალისწინებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ, ქსელის მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათსა და მოცულობას, როდესაც განსაზღვრავს დამოუკიდებლობის მიმართ საკუთარი მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათს, ვადებსა და მოცულობას.	მაგალითი ფირმა მომსახურების პროვაიდერს ქირაობს მონიტორინგის ღონისძიებების ჩასატარებლად ფირმის ინსტრუქციების შესაბამისად. იმის გათვალისწინებით, რომ მომსახურების პროვაიდერი ფირმის მიერ სრულ განაკვეთზე არ არის აყვანილი, მონიტორინგის მრავალი ღონისძიება საკუთრივ ფირმის მიერაა შექმნილი, რომელიც ხორციელდება სამთვეში ერთხელ (ე.ი., ისინი პერიოდული ღონისძიებებია).

მუდმივი და პერიოდული მონიტორინგის ღონისძიებები

მუდმივი მონიტორინგის ღონისძიებები, ზოგ შემთხვევაში, შესაძლოა უფრო ხელსაყრელი იყოს, ხოლო პერიოდული ღონისძიებები - სხვა შემთხვევებში. მუდმივი და პერიოდული მონიტორინგის ღონისძიებების ერთობლიობამ შეიძლება მთლიანობაში ეფექტიანი მონიტორინგი შექმნას.

მუდმივი მონიტორინგის ღონისძიებები ფირმის პროცესებზე მორგებული და რეალურ დროში შესრულებული რუტინული ღონისძიებები	პერიოდული მონიტორინგის ღონისძიებები გარკვეული დროის შუალედში შესრულებული ღონისძიებები
მაგალითი დამოუკიდებლობისთვის, სტ გამოყენებითი პროგრამის საშუალებით, ყოველთვიურად სხვადასხვა ანგარიში იქმნება, რომელსაც დამოუკიდებლობის მოთხოვნების შესაბამისად განიხილავს ფიზიკური პირი, რომელსაც ოპერატიული პასუხისმგებლობა ეკისრება. ფიზიკური პირი იყენებს ანგარიშს, რათა გამოავლინოს ანომალიები და ფირმის პოლიტიკას ან პროცედურებთან შეუსაბამობა, რომელიც დამოუკიდებლობას ეხება.	მაგალითი იმისთვის, რომ გაიჩვენოს წარმატებით გაიარა თუ არა პერსონალმა საჭირო ტრენინგი, აუცილებელია დასრულებული გარიგებების ან ტრენინგის ჩანაწერების შემოწმება.

მონიტორინგის ღონისძიებების ტიპები, მათ შორის, დასრულებული გარიგებების ინსპექტირება

დასრულებული გარიგებების შემოწმება მონიტორინგის ერთ-ერთი ღონისძიებაა, რომელსაც ფირმა ასრულებს. ხმს 1-ის მიერ მათი შესრულება სავალდებულოა. მიუხედავად იმისა, რომ დასრულებული გარიგებების შემოწმებები კონცენტრირებულია გარიგებებზე, ის ფირმას აწვდის ინფორმაციას ხარისხის მართვის შესახებ. მაგალითად, შემოწმებების შედეგებმა შეიძლება უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება შემდეგ საკითხებზე:

- არსებობს თუ არა ხარისხის რისკები, რომლებიც ფირმას ჯერ არ გამოუვლენია, ან საჭიროა თუ არა ხარისხის რისკების შეფასების შეცვლა.
- განახორციელეს თუ არა გარიგების გუნდებმა ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები (ე.ი., სავასუხო ზომები) ისე, როგორც დაგეგმილია და არის თუ არა სავასუხო ზომები ეფექტიანი ხარისხის რისკებთან დაკავშირებით;
- საჭიროა თუ არა გარიგების გუნდების მიერ დანერგილ ფირმის პოლიტიკაზე ან პროცედურებებზე დაყრდნობით ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების (ე.ი., სავასუხო ზომების) გარდაქმნა;
- გარიგებების ხარისხი, კულტურა და დამოკიდებულება ხარისხისადმი;
- შეასრულეს თუ არა გარიგების პარტნიორებმა თავიანთი სრული მოვალეობა იმ გარიგებების ხარისხის მიღწევასა და მართვაზე, რომელიც მათ ეკისრებათ; და
- გარიგების გუნდების მიერ გადადგმული ნაბიჯები, რომლებმაც დადებითი შედეგი გამოიღო და რომლებმაც შეიძლება ფირმას მიაწოდოს იდეები, როგორ გააუმჯობესოს და გააძლიეროს შემდგომში ხარისხის მართვის სისტემა.

მხოლოდ დასრულებულ იგარიგებების შემოწმებებმა ნაკლებად შესაძლებელია, რომ ფირმას საკმარისი და დროული ინფორმაცია მიაწოდოს ხარისხის მართვის სისტემის შექმნის, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ, ე.ი., ფირმას, მონიტორინგის და რემედიაციის პროცესის მიზნებისთვის, სავარაუდოდ, დასჭირდება მონიტორინგის ღონისძიებების გაერთიანება.

სხვა ტიპის მონიტორინგის ღონისძიებების მაგალითები

- მიმდინარე გარიგებების ინსპექტირება.
- გასაუბრება ფირმის პერსონალთან, ან ფორმალური გამოკითხვების ჩატარება იმის შესახებ, თუ როგორ აღიქვამს პერსონალი ფირმის კულტურას.
- ხელმძღვანელობის კომუნიკაციისა და შეტყობინების თანმიმდევრულობის გათვალისწინება და ასახავს თუ არა იგი სათანადოდ ფირმის ღირებულებებსა და მიზანს ხარისხის მიმართ.
- იმ სტ გამოყენებითი პროგრამების შემოწმება და შეფასება, რომლებიც ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებულ ფუნქციების შესასრულებლად გამოიყენება.
- ავტომატიზებული შეტყობინება, მაგალითად, ავტომატური შეტყობინებები, როდესაც პოლიტიკა არ არის გამოყენებული.
- დოკუმენტაციებისა და ხელშეკრულებების შემოწმება, რომლებიც მომსახურების პროვაიდერებს ეხება განსაზღვრონ იყო თუ არა მომსახურების პროვაიდერის კომპეტენციის შესახებ საკითხი სათანადოდ განხილული.
- სატრენინგო ღონისძიებებზე დასწრების აღრიცხვის შემოწმება.
- გარიგების პარტნიორებისა და სხვა უფროსი თანამშრომლების მიერ გახარჯული საათების რაოდენობის შემოწმება და ამ საათების საკმარისობის განსაზღვრა.



ზოგჯერ, ხარისხის რისკთან დაკავშირებით სავასუხო ზომა შეიძლება აირიოს მონიტორინგის ღონისძიებაში ან შეიძლება მას ჰგავდეს. მაგალითად, მიმდინარე გარიგებების მიმოხილვა (ე.ი., მონიტორინგის ღონისძიება) შეიძლება აირიოს გარიგების მიმოხილვასთან, რომელიც შემუშავებულია იმისთვის, რომ ხარისხის რისკის არსებობას ხელი შეუშალოს (ე.ი., სავასუხო ზომა).

რატომ არის გარიგებების შემოწმება მონიტორინგის ღონისძიება?

გარიგების შემოწმება შემუშავებულია იმისთვის, რომ შეათვასოს პოლიტიკი ან პროცედურები (ე.ი., საპასუხო ზომები) ან ხარისხის მართვის სისტემის სხვა ასპექტები შექმნილია, დანერგილია და ფუნქციონირებს თუ არა ისე, როგორც გამიზნულია.

როდის ითვლება გარიგების შემოწმება საპასუხო ზომად?

საპასუხო ზომები შემუშავებულია ხარისხის რისკის თავიდან ასაცილებლად, ან იმ შეცდომებისა და ნაკლოვანებების გამოსავლენად, რომლებიც ხარისხის რისკის არსებობას შეუწყობდა ხელს. მაგალითად, გარიგების ხარისხის შემოწმება შემუშავებულია იმისთვის, რომ შევასდეს გარიგების გუნდის გადაწყვეტილებები მანამ, სანამ გარიგების ანგარიში გამოიცემა, ან ფირმას გარკვეული გარიგებებისთვის შეიძლება ჰქონდეს ფინანსური ან-გარიგებისა და გარიგების დოკუმენტაციების წინასწარი გაცემის შემოწმება, რათა დადგინდეს სათანადოა თუ არა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება.

როგორ განსხვავებს ფირმა?

ხმსს-ის შემუშავებისას ფირმა განსაზღვრავს, რა ხასიათის არის ღონისძიება (ე.ი., არის თუ არა იგი საპასუხო ზომა, თუ მონიტორინგის ღონისძიება), იმისდა მიხედვით, თუ რა აქტივობის მიღწევაა მიზანმიმართული. მაგალითად:

- თუ ფირმა ხარისხის რისკის თავიდან ასაცილებლად აწესებს პოლიტიკას ან პროცედურებს, მაშინ, შესაძლოა, ეს იყოს საპასუხო ზომა (მაგ.: ფირმის მეთოდოლოგია მოითხოვს, რომ გარიგებები სრულდებოდეს გარკვეული კრიტერიუმის გათვალისწინებით, რომელიც ექვემდებარება წინასწარი გამოცემის მიმოხილვას იმისთვის, რომ დადგინდეს გარიგების ანგარიშის შესაფერისობა მის გამოცემამდე).
- თუ ფირმა შეიმუშავებს ღონისძიებას იმისთვის, რომ პოლიტიკის ან/და პროცედურების აღსრულების შესახებ ინფორმაცია დააგროვოს, მაშინ ეს, სავარაუდოდ, მონიტორინგის ღონისძიება იქნება (მაგ.: გარიგებების შემოწმება, რომლებიც მოიცავს იმის განსაზღვრას, ემყარებოდა თუ არა სათანადოდ წინასწარი გამოცემის შემოწმებას, ის გარიგებები, რომლებიც იცავს კრიტერიუმს წინასწარი გამოცემის შემოწმებისთვის და იყო თუ არა გამოცემული ანგარიშები მოცემული მდგომარეობის შესაბამისი).

დასრულებული გარიგებების შემოწმება: დასრულებული გარიგებების გადარჩევა შემოწმებისთვის

დასრულებული გარიგებების მიმოხილვა კონცენტრირებულია გარიგებებისა და გარიგების პარტნიორების კომბინაციის შერჩევაზე:

- **გარიგებები** შეიძლება შეირჩეს ამგვარ გარიგებებთან დაკავშირებულ რისკების საფუძველზე. მაგალითად, ფირმამ შეიძლება დაადგინოს, რომ საფრთხილი ბირჟაზე კოტირებული სუბიექტის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ან დასრულებული გარიგებები, გარკვეულ დარგებში, მიმოხილვას უფრო ხშირად საჭიროებს, ვიდრე სხვა გარიგებები.
- **გარიგების პარტნიორების შემოწმება** შესაძლოა საჭირო იყოს პარტნიორთან დაკავშირებული მიზეზების გამო. მაგალითად, ფირმამ შეიძლება შეარჩიოს გარიგების პარტნიორები, იმისდა მიხედვით, თუ რამდენი ხანი გავიდა გარიგების პარტნიორის შემოწმებიდან, გარიგების პარტნიორის წინა შემოწმებების შედეგებიდან, ან გარიგების პარტნიორის გამოცდილებიდან.



ხმსს 1-ის ა151 პუნქტში მოცემულია მაგალითები იმის საჩვენებლად, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს დასრულებული გარიგებების ან გარიგების პარტნიორების შემოწმებისთვის შერჩევაზე იმ ფაქტორებმა, რომლებიც მონიტორინგის ღონისძიებებზე მოქმედებს.



ხმსს 1-ის ა153 პუნქტში მოცემულია მაგალითი, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება განსაზღვროს და გამოიყენოს ფირმამ ციკლი გარიგების პარტნიორების შერჩევისას. ილუსტრაცია აჩვენებს, როდის უნდა შეარჩიოს ფირმამ გარიგების პარტნიორი უფრო პროაქტიურად და ხშირად და როდის შეიძლება ჩაითვალოს საჭიროდ გარიგების პარტნიორის შერჩევის დაყოვნება/გადადება.

სტანდარტის მიზანია, ფირმამ განსაზღვროს, თუ რომელ გარიგებას ან გარიგების პარტნიორებს ირჩევს შემდეგი სამი ურთიერთდაკავშირებული განხილვის გათვალისწინებით:

ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს ყველა მონიტორინგის ღონისძიების შემუშავებაზე

ფაქტორები მოიცავს ზემოაღნიშნულ ფაქტორებს როგორიცაა:

- ხარისხის რისკების მიმართ გაკეთებული შეფასებების მიზეზები.
- ცვლილებები ხარისხის მართვის სისტემაში.
- წინა მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები და იყო თუ არა რემედიაციის ღონისძიებები ეფექტიანი აღდრე გამოვლენილ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.
- სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, მათ შორის, საჩივრები და ბრალდებები, ინფორმაცია გარე შემოწმებებისგან და მომსახურების პროვაიდერისგან.

სხვა მონიტორინგის ღონისძიებები, რომლებსაც ფირმა ასორციელებს

სხვა მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათისა და მოცულობის მიხედვით და ღონისძიებების შედეგებზე დაყრდნობით, გავლენა შეიძლება ჰქონდეს:

- რომელი დასრულებული გარიგებები უნდა შეირჩეს მიმოხილვისთვის.
- რომელი გარიგების პარტნიორები უნდა შეირჩნენ შემოწმებისთვის.
- რამდენად ხშირად უნდა შეირჩეს გარიგების პარტნიორი შემოწმებისთვის.
- გარიგების რომელი ასპექტები უნდა იყოს გათვალისწინებული, როდესაც შემოწმება ტარდება.

ციკლი გარიგების პარტნიორების შერჩევისთვის

გარიგების პარტნიორის შერჩევისთვის ციკლს ფირმა განსაზღვრავს და ის შეიძლება მთელ რიგ ფაქტორებზე იყოს დამოკიდებული, როგორიცაა:

- გარიგებების ტიპები, რომლებსაც ფირმა ასრულებს.
- ფირმის მოცულობა და გარიგების პარტნიორების რაოდენობა.
- სხვა მონიტორინგის ღონისძიებები, რომლებსაც ფირმა ასრულებს.

ფირმამ შეიძლება მტკიცედ გადაწყვიტოს განსხვავებული ციკლური პერიოდების შემოღება გარიგების პარტნიორებისთვის, რომლებიც ფინანსური ანგარიშგებების აუდიტებს ასრულებენ, განსხვავებით მათგან, ვინც მას არ ასრულებს.

რა კავშირშია დასრულებული გარიგებების ინსპექტირება სხვა მონიტორინგის ღონისძიებებთან

დასრულებული გარიგებებისა და სხვა მონიტორინგის ღონისძიებების ინფორმაციამ შეიძლება ერთმანეთზე იმოქმედოს, როგორც ქვემოთ არის მოცემული:

დასრულებული გარიგებების შემოწმებისგან მიღებულმა ინფორმაციამ შეიძლება აჩვენოს მიმართულებები, სადაც დამატებითი მონიტორინგის ღონისძიებები საჭირო	მონიტორინგის სხვა ღონისძიებებისგან მიღებულმა ინფორმაციამ შეიძლება იმოქმედოს დასრულებული გარიგებების ფირმის მიმოხილვაზე
მაგალითი დასრულებული გარიგებების მიმოხილვით, ფირმა განსაზღვრავს, რომ გარკვეულ ინდუსტრიაში, სადაც გარიგებები სრულდება, გარიგების გუნდის წევრებს ინდუსტრიის შესახებ არ აქვთ სათანადო ცოდნა. ამ ნაკლოვანების საწყისი მიზეზის მოკვლევისთვის, ფირმა აღნიშნავს, რომ გარიგების გუნდის წევრებმა არ გაიარეს არცერთი ტრენინგი ამ ინდუსტრიის შესახებ. შესაბამისად, ფირმა ტრენინგის პროგრამების დამატებით მონიტორინგს ახორციელებს, რათა განსაზღვროს არის თუ არა იგი კონკრეტულად ინდუსტრიაზე ორიენტირებული ტრენინგი და რომელი პერსონალი ესწრება მას.	მაგალითი ფირმის კულტურის ეფექტიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე პერსონალთან გასაუბრების გზით, ფირმა გარიგებებთან დაკავშირებით პერსონალის ბევრ მენიშვნას გამოყოფს, რომელშიც პერსონალი ხაზს უსვამს სათანადო მიმართულებისა და ზედამხედველობის დანაკლისს. ფირმა იყენებს ამ ინფორმაციას, რათა განსაზღვროს რომელი გარიგებები შეარჩიოს მიმოხილვისთვის.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მონიტორინგი, რათა დადგინდეს, აღწევს თუ არა იგი დასახულ მიზანს

მონიტორინგისა და რემედიაციის ეფექტიანობის პროცესის გარეშე, ფირმა ვერ განსაზღვრავს ნაკლოვანებების არსებობას და ვერც მათ გამოსწორებას შეძლებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ფირმამ განახორციელოს მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მონიტორინგი, რათა განსაზღვროს აღწევს თუ არა იგი დასახულ მიზანს, ე.ი.:

i ხმს 1-ის ა144 პუნქტი აჩვენებს მონიტორინგის ღონისძიებებს მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისთვის

- ხარისხის მართვის სისტემის შემუშავების, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ მნიშვნელოვანი, სანდო და დროული ინფორმაციის მიწოდებით; და
- სათანადო ზომების მიღებით გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირების მიზნით, ისე, რომ ნაკლოვანებები დროულად აღმოიფხვრას.

მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მონიტორინგი არაა გამიზნული, რომ იყოს ცირკულარული პროცესი. როგორ ახორციელებს ფირმა მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მონიტორინგს, ე.ი., ფირმის ღონისძიებების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე შეიძლება მრავალმა ფაქტორმა იმოქმედოს, მათ შორს:

- როგორ არის შემუშავებული ფირმის მონიტორინგი და რემედიაციის პროცესი; და
- ფირმის ხასიათი და გარემოებანი.

ზოგიერთ შემთხვევაში, განსაკუთრებით, მცირე და ნაკლებად რთულ საწარმოებში, ფირმას შეიძლება ჰქონდეს მზა ხელმძღვანელობის ინფორმაცია, იმის შესახებ, აღწევს თუ არა მონიტორინგი და რემედიაციის პროცესი, ხელმძღვანელობის ცოდნით, (ე.ი., მცირე ფირმაში ხელმძღვანელობას, სავარაუდოდ, ხშირი შეხება აქვს ხარისხის მართვის სისტემასთან) დასახულ მიზანს. ასეთ შემთხვევაში, მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მონიტორინგი მარტივია.

ფაქტორების მაგალითები, რომლებიც გავლენას ახდენს ფირმის მიერ მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის მონიტორინგის ღონისძიებებზე:

- ფირმის სიდიდე დაკომპლექსურობა.
- მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათი, ვადები და მოცულობა.
- ვინ შეასრულა მონიტორინგის ღონისძიებები (მაგ.: მომსახურების პროვაიდერი, ქსელი, ფირმის ცალკეული გუნდი, რომელიც დანიშნულია, რათა შეასრულოს მონიტორინგის ღონისძიებები ან პერსონალი, რომელიც პასუხისმგებელია საპასუხო ზომებზე).
- წინა მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები.
- სხვა წყაროებიდან ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ფირმის მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ეფექტიანობის შესახებ, (მაგ.: გარე შემოწმებები, ქსელი ან მომსახურების პროვაიდერი), მათ შორის, ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, რომ ფირმის მონიტორინგის ღონისძიებებმა ვერ გამოავლინა ნაკლოვანება.
- გამოვლენილი ნაკლოვანებების საწყისი მიზეზის ანალიზით მიღებული ინფორმაცია.
- მონიტორინგის ახალი ღონისძიებები, რომლებიც ადრე არ შესრულებულა, ან მონიტორინგის ღონისძიებების სქემის ცვლილება.

რემედიაციის პროცესის მონიტორინგი

ხმსს 1-ის 43-ე პუნქტი მოითხოვს, რომ ფიზიკურ პირ(ებ)მა, რომელსაც (რომლებსაც) მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისთვის სამუშაო ოპერაციებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ეკისრება, შეათვასოს:

- არის თუ არა რემედიაციის ღონისძიებები სათანადოდ შემუშავებული გამოვლენილი ნაკლოვანებებისა და მათი საწყისი მიზეზ(ებ)ის აღმოსაფხვრელად და განსაზღვრა, იყო თუ არა იგი განხორციელებული; და
- რემედიაციის ღონისძიებები, რომელიც განხორციელდა ადრე გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, ეფექტურია.

ეს შეთავსება შეიძლება იყოს იმ ინფორმაციის ნაწილი, რომელსაც ფირმა იყენებს რემედიაციის პროცესის მონიტორინგისთვის. და მაინც, ფირმას შეიძლება დასჭირდეს იმ ფიზიკური პირების მონიტორინგი, რომლებსაც მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისთვის სამუშაო ოპერაციებთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ, იმისთვის, რომ ფირმა დარწმუნდეს, რომ ისინი თავიანთ პასუხისმგებლობას ხმსს-ის 43-ე და 44-ე პუნქტების მოთხოვნების შესაბამისად ასრულებენ.

ვინ ასრულებს მონიტორინგის ღონისძიებებს?

ხმსს 1 არ აზუსტებს ვის მოეთხოვება მონიტორინგის ღონისძიებების შესრულება. თუმცა, ის მიუთითებს, რომ ფირმას უნდა ჰქონდეს პოლიტიკა ან პროცედურები, რომლებიც ეხება იმ ფიზიკურ პირების კომპეტენციასა და შესაძლებლობებს (მათ შორის, საკმარის დროს), რომლებიც ასრულებენ ღონისძიებებს და ინდივიდების ობიექტურობას. ის დამატებით აღნიშნავს, რომ გარიგებების შემოწმებისთვის, ინდივიდი არ შეიძლება იყოს გარიგების გუნდის წევრი ან გარიგების ხარისხის შემმოწმებელი.

ინდივიდის სათანადო კომპეტენცია, შესაძლებლობები და ობიექტურობა, აქტიურად შეასრულოს მონიტორინგის ღონისძიებები, დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე.

ფაქტორების მაგალითები, რომლებიც მოქმედებს იმ ფიზიკური პირების კომპეტენციაზე, შესაძლებლობებსა და ობიექტურობაზე, რომლებიც მონიტორინგის ღონისძიებებს ასრულებენ

- იმ მონიტორინგის აქტივობის ხასიათი, რომელიც სრულდება.
- საწყისი მიზეზის ხასიათი, რომლის მონიტორინგიც ხორციელდება, მათ შორის, არის თუ არა იგი სპეციალიზებული დაკომპლექსური და მოითხოვს თუ არა იგი სპეციფიკურ ცოდნას.
- ობიექტურობის ხარისხი, რომელიც საჭიროა საწყისი მიზეზის სათანადო მონიტორინგისთვის, იმის გათვალისწინებით, თუ რა არის ამ საწყისი მიზეზის თავისებურება და განსჯის დონე.
- სხვა მონიტორინგის ღონისძიებები, რომლებიც, აგრეთვე, ხორციელდება საწყისი მიზეზის მიმართ.
- უფლებამოსილება საჭიროა საწყისი მიზეზის სათანადო მონიტორინგისთვის (მაგ.: ინდივიდს, რომელიც ხელმძღვანელობის ქმედებებისა და ქცევების მონიტორინგს ახორციელებს, უფრო მეტი უფლებამოსილება უნდა ჰქონდეს, ვიდრე იმ ინდივიდს, რომელიც ტრენინგის დასწრების მონიტორინგს ახორციელებს).

ხმსს 1 პირდაპირ ადასტურებს, რომ გარე პირებმა, რომლებიც ფირმასთან კავშირში არ არიან, შეიძლება შეასრულონ მონიტორინგის ღონისძიებები ან მონიტორინგის ღონისძიებების სხვა ასპექტები (ე.ი., ეს შეიძლება იყოს მომსახურების პროვაიდერი ან ფირმის ქსელში მყოფი ფიზიკური პირი).



გარე პირების გამოყენება ფირმის მონიტორინგის ღონისძიებების შესასრულებლად შეიძლება შესაფერისი იყოს, ვინაიდან ამან უფრო ობიექტური ინფორმაცია შეიძლება მიაწოდოს ფირმას ხარისხის მართვის სისტემის შესახებ და დაეხმაროს მას ხარისხის მართვის სისტემაში იმ მიმართულებების გამოვლენაში, რომლებსაც ცვლილება ესაჭიროება.

შეაფასეთ გამოვლენილი ფაქტები, დაადგინეთ ნაკლოვანებები და შეაფასეთ მათი სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა



ხმსს 1, პუნქტები: 16(ა), 16(ბ), 40-41, გ10-გ12, გ15-გ17 და გ157-გ1692

შეიმუშავეთ და შეასრულეთ მონიტორინგის აქტივობები

შეაფასეთ მოპოვებული ინფორმაცია, გამოავლინეთ ხარვეზები და შეაფასეთ გამოვლენილი ფაქტები


რეაგირება მოახდინეთ გამოვლენილ ხარვეზებზე

იქონიეთ კომუნიკაცია

მონიტორინგისა და რემედიაციის ძირითადი მიზანია ხარისხის მართვის სისტემის შესახებ დროული ინფორმაციის მიღება, რათა განისაზღვროს არის თუ არა იგი ეფექტიანი და ინფორმაციაზე რეაგირების მიზნით სათანადო ზომები იქნას მიღებული. შედეგად, აუცილებელია ფირმამ დროულად შეაფასოს არსებული ინფორმაცია, რათა გამოავლინოს ნაკლოვანებები და დროულად მოხდეს ამ ნაკლოვანებების გამოსწორება. ნაკლოვანებების არსებობის შემთხვევაში, ფირმამ უნდა გაიაზროს რამდენად სერიოზული და ყოვლისმომცველია ეს ნაკლოვანებები.

ხმსს 1 შეიცავს სისტემას, რომელიც აფასებს აღმოჩენილ ფაქტების ნაკლოვანებების გამოსავლენად და შემდგომ ამ ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის დამატებით შეფასებებს აქეთებს:

ხმს 1: დანერგვის სახელმძღვანელო



შეაფასეთ გამოვლენილი ფაქტები, რათა განსაზღვროთ, არსებობს თუ არა ნაკლოვანებები

ნაკლოვანებების არსებობის დადგენისას ფირმა აანალიზებს საკითხს, იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა აღმოჩენილი ფაქტები ან ამ ფაქტების კომბინაცია, თუკი მათ ერთად განვიხილავთ, ნაკლოვანების განმარტებას შემდეგნაირად:

ხარისხის მიზნები	- ხმს 1-ის მიერ მოთხოვნილი ხარისხის მიზანი, ან ნაწილობრივ, ან საერთოდ არაა განმტკიცებული. - ღამაჩობითი ხარისხის მიზანი. რომელიც საჭიროა ხარისხის მართვის მიზნის მისაღწევად არაა განმტკიცებული.
ხარისხის რისკები	- ხარისხის რისკი არაა გამოვლენილი. - გამოვლენილი ხარისხის რისკი არაა სათანადოდ შეფასებული. ხარისხის რისკის არარსებობა ან ხარისხის რისკმა, რომელიც სათანადოდ არაა შეფასებული შიძლება, ასევე, საპასუხო ზომის არარსებობა, მისი მოსაბამოდ მომუშაება ან არასათანადო გამოყენება გამოიწვიოს.
საპასუხო ზომები	საპასუხო ზომა, ან საპასუხო ზომების კომბინაცია არ ამცირებს მნიშვნელოვანი ხარისხის რისკის არსებობის ალბათობას მისაღებ დაბალ ზღვრამდე, ვინაიდან საპასუხო ზომები არაა სათანადოდ შექმნილი, დანერგილი ან ეფექტიანად არ ფუნქციონირებს. ყველა საპასუხო ზომა, რომელიც არასათანადოდ არის შექმნილი და დანერგილი არაა ნაკლოვანების შემცველი. არსებითად, საპასუხო ზომა ან საპასუხო ზომების კომბინაციამ, რომელიც არ ამცირებს ხარისხის რისკს მისაღებ დაბალ ზღვრამდე, შიძლება გამოიწვიოს ის, რომ ფირმა ვერ მიაღწევს ხარისხის მიზანს.

**სხვა
ასპექტები**

ხმსს-ის სხვა ასპექტი არ არსებობს, არ არის სწორად შექმნილი, ან არ ფუნქციონირებს ეფექტიანად, ისე, რომ ხმსს 1-ში მოცემული მოთხოვნა არ იყო გათვალისწინებული.

ხმსს 1-ის ა12 პუნქტში მოცემულია მაგალითები, თუ როდის იჩენს თავს ხმს-ის სხვა ასპექტებთან დაკავშირებული ნაკლოვანებები.

ყველა აღმოჩენილი ფაქტი არ არის ნაკლოვანებების შემცველი.

მსჯელობის დროს, იმის შესახებ, არის თუ არა აღმოჩენილი ფაქტი ნაკლოვანების შემცველი, ფირმა იყენებს პროფესიულ განსჯას და შეიძლება გაითვალისწინოს:

- კვლევის შედეგების ფარდობითი მნიშვნელობა (ან კვლევის შედეგების კომბინაცია) ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკების, საპასუხო ზომების, ან ხმს-ის სხვა ასპექტების კონტექსტში, რომელსაც ისინი ეხება.
- რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორები, რომლებიც შეესაბამება აღმოჩენილ ფაქტებს.



ხმსს 1-ის ა160 პუნქტში მოცემულია რაოდენობრივი და ხარისხობრივი ფაქტორების მაგალითები, რომლებიც ფირმამ შეიძლება გაითვალისწინოს, იმის დასადგენად, არის თუ არა აღმოჩენილი ფაქტები ნაკლოვანების შემცველი.



აღმოჩენილი ფაქტები არის ინფორმაცია, რომელიც აჩვენებს, რომ ერთი ან მეტი ნაკლოვანება შეიძლება არსებობდეს.

თუმცა, მონიტორინგის ღონისძიებებმა, გარე შემოწმებებმა ან სხვა მნიშვნელოვანმა წყაროებმა შეიძლება უზრუნველყოს იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც ხმს-ის შესახებ სხვა დაკვირვებების მონაცემებს ავლენს.

- ქმედებამ, მოქმედების კურსმა და გარემოებამ, რომელმაც დადებითი შედეგი გამოიღო ხარისხის მართვის სისტემის ხარისხის ან ეფექტიანობის კონტექსტში; ან
- მსგავსი გარემოება, სადაც აღმოჩენილი ფაქტები არ იყო აღნიშნული (მაგ.: გარიგებები, სადაც აღმოჩენილი ფაქტები არ იყო აღნიშნული, ან გარიგებებს მსგავსი ხასიათი აქვთ იმ გარიგებებთან, სადაც აღმოჩენილი ფაქტები იყო აღნიშნული).

რატომ არის ეს მნიშვნელოვანი?

ფირმამ შეიძლება გამოიყენოს სხვა დაკვირვების მონაცემები, რათა:

- დაეხმაროს ნაკლოვანებების საწყისი მიზეზ(ებ)ის გამოვლენაში (მაგ.: ერთმანეთთან ორი შევითხვის დაპირისპირებით: რატომ წარიმართა ყველაფერი კარგად და რატომ არ გამოვიდა საქმე, რამაც შემდგომ გამოიწვია ნაკლოვანება).
- პრაქტიკის დადგენა, რომელსაც ფირმას შეუძლია მხარი დაუჭიროს ან რომელიც შეიძლება ფირმამ გამოიყენოს უფრო ვრცლად (მაგ.: ყველა გარიგებებში).
- იმ შესაძლებლობების წინა პლანზე წამოწევა, რომლითაც ფირმამ შეიძლება გააუმჯობესოს ხმსს.

ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასება

ფირმას მოეთხოვება გამოვლენილი ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასება, რადგან:

- იგი მართავს გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებელ ზომებს, ხასიათსა და მოცულობას, იმ ნაკლოვანებებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც ხმსს-სთვის განსაკუთრებულ საფრთხეს წარმოადგენს; და
- მოქმედებს ხმს-ის ხელმძღვანელობისეულ შეფასებაზე.

ამასთან, გამოვლენილი ნაკლოვანებების სერიოზულობამ და ყოვლისმომცველობამ შეიძლება იმოქმედოს იმაზე, დამოკიდებულები არიან თუ არა, ან რამდენად არიან დამოკიდებულები აუდიტის გარიგების გუნდები ფირმის პოლიტიკასა და პროცედურებზე ასს 220-ის (გადასინჯული) მოთხოვნების დაცვისას.⁹

როგორ ფასდება ნაკლოვანებების სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა?

ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასების მიზნით, ფირმა:

- გამოვლენილი ნაკლოვანებების საწყის მიზეზ(ებ)ს იკვლევს; და
- აფასებს გამოვლენილი ნაკლოვანებების მოქმედებას ხმს-ზე, ინდივიდუალურად და ერთობლივად.

შეკითხვები, რომლებიც შეიძლება გაჟღერდეს გამოვლენილი ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასებისას:

- რა არის გამოვლენილი ნაკლოვანების თავისებურება და თუკი ის შეეხებოდა გარიგებებს, რომელი გარიგების ტიპები იქნებოდა ეს?
- რა არის საწყისი მიზეზი?
- ხმსს-ის რომელ ასპექტს უკავშირდება იგი? რამდენად მნიშვნელოვანია ეს ასპექტი ხარისხის მართვის სისტემისთვის მთლიანობაში?
- არის თუ არა ეს სქემის ნაკლოვანება, ან არსებობდა თუ არა ეს ნაკლოვანება ხმს-ის დანერგვის ან ფუნქციონირებისას?
- თუკი საპასუხო ზომაში თავს იჩენდა შეცდომა, არსებობდა თუ არა რაიმე მაკომპენსირებელი საპასუხო ზომა, რომელიც ეფექტიანად იმოქმედებდა?
- რამდენად ხშირად იჩენდა თავს გამომწვევი მიზეზი (მაგ.: თუ მას დაუკავშირებთ გარიგებებს, რამდენი გარიგება მოექცა ზემოქმედების ქვეშ)?
- რამდენად სწრაფად იმოქმედა გამომწვევმა მიზეზმა ხარისხის მართვის სისტემაზე და რამდენი ხანი გრძელდებოდა? კვლავ თუ გრძელდება?
- რამდენი ხანი დასჭირდა ფირმას, მონიტორინგის ღონისძიებების საშუალებით დაედგინა გამომწვევი მიზეზები?



ხმს 1-ის ა192 პუნქტში ახსნილია, როდის შეიძლება ჩაითვალოს გამოვლენილი ნაკლოვანება ყოვლისმომცველად.

აგრეთვე, ხარისხის მართვის სისტემის ა192 და ა193 პუნქტები შეიცავს მაგალითებს, რათა ერთმანეთისგან გაიმიჯნოს:

- ნაკლოვანება, რომელიც სერიოზულია მაგრამ არა ყოვლისმომცველი; და
- ნაკლოვანება, რომელიც სერიოზულიც არის და ყოვლისმომცველიც.

გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზ(ებ)ის გამოკვლევა

ნაკლოვანებების მიზეზ(ებ)ის გამოკვლევა კონცენტრირებულია იმ გარემოებების გამოვლენაზე, რომელმაც გამოიწვია აღნიშნული ნაკლოვანება. გარდა იმისა, რომ ფირმას მიეწოდება ინფორმაცია, რომელიც მას ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასებაში ეხმარება, ნაკლოვანების გამომწვევი მიზეზის ცოდნა ფირმას მის სათანადოდ აღმოფხვრაში უწყობს ხელს.

⁹ ასს 220-ის 10-ე (ა) პუნქტი (გადასინჯული) განმარტავს, რომ, ჩვეულებრივ, გარიგების გუნდი შეიძლება დამოკიდებული იყოს ფირმის იმ პოლიტიკასა და პროცედურებზე, რომელიც შესაბამება ასს 220-ის მოთხოვნებს, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც:

- გარიგების გუნდის ხელთ არსებული ინფორმაცია ან პრაქტიკული გამოცდილება იმაზე მიაწოდებს, რომ ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები ეფექტიანად არ მოქმედებდა გარიგების ხასიათსა და მოვლენებს. ან
- ფირმის ან სხვა მხარის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ამგვარი პოლიტიკისა და პროცედურების ეფექტიანობის შესახებ სხვა რამეზე მეტყველებს (მაგ.: ფირმის მონიტორინგის ღონისძიებების ინფორმაცია, გარე ინსპექტირების შედეგები ან სხვა მნიშვნელოვანი წყაროები იმაზე მიაწოდებს რომ ფირმის პოლიტიკა ან პროცედურები არ მუშაობს ეფექტიანად).

საწყისი მიზეზის პროცედურების ხასიათი და მათი მოცულობა და ვადები დამოკიდებული იქნება ბევრ ფაქტორზე, მათ შორის:

- გამოვლენილი ნაკლოვანებების ხასიათი და მათი შესაძლო სერიოზულობა; და
- ფირმის ხასიათი და გარემოებანი.

ხმს 1 არ იძლევა ინსტრუქციას იმ პროცედურების ტიპების შესახებ, რომელთა განხორციელება აუცილებელია, ან იმის შესახებ ვინც მათ ახორციელებს. ასევე, ყველა საწყისი მიზეზ(ებ)ის მოვლევას არაა აუცილებელი მოიცავდეს მძიმე და მკაცრ პროცესს - ზოგჯერ, პროცედურები შეიძლება ძალიან მარტივად ჩატარდეს. შედეგად, ფიზიკური პირები, რომლებიც ასრულებენ საწყისი მიზეზ(ებ)ის მოვლევას, გამოიშვებიან პროფესიულ განსჯას პროცედურების ხასიათის, ვადებისა და მოცულობის განსაზღვრისას, რაც საჭიროა იმ გამომწვევი მიზეზების სწორად დადგენისთვის, რომელმაც გამოიწვია ნაკლოვანება.

საწყისი მიზეზ(ებ)ის მოვლევას, ფირმამ შეიძლება გამოავლინოს:

- ნაკლოვანება, რომელსაც მრავალი საწყისი მიზეზი აქვს და რომელიც შეიძლება ხარისხის მართვის სისტემის მრავალი კომპონენტის ან ასპექტის გარემოცვაში არსებობდეს.
- ანალოგიური საწყისი მიზეზით გამოწვეული მრავალი ნაკლოვანება.



ხმს 1-ის 166-ე (ა) პუნქტი განმარტავს ფაქტორებს, რომელმაც შეიძლება იმოქმედოს პროცედურების ხასიათზე, დროის აღრიცხვასა და ოდენობაზე, რათა მოივლიოს ნაკლოვანებების საწყისი მიზეზ(ებ)ი და აჩვენოს, რომ ეს ფაქტორები კონკრეტულ მაგალითებს მიესადაგება.

ხმს-ის 168-ე (ა) პუნქტი აჩვენებს, როგორ უნდა გამოვლინდეს საწყისი მიზეზი, რომელიც სათანადოდ სპეციფიკურია.



ფირმამაც შეიძლება გადაწყვიტოს დადებითი შედეგების საწყისი მიზეზ(ებ)ის მოვლევას, რადგან ამან შეიძლება ფირმას განვითარების ან, შემდგომში, ხარისხის მართვის სისტემის გაძლიერების შესაძლებლობა მისცეს.

შეფასების პროცესი დინამიკური და არასწორხაზოვანია

ხარისხის მართვის სისტემის ინტეგრირებული შინაარსის გათვალისწინებით, აღმოჩენილი ფაქტების შეფასება, ნაკლოვანებების გამოვლენა და მათი სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასება განმეორებითი და არახაზოვანი პროცესია. ამასთან, ფირმისთვის ყველა ინფორმაცია აღმოჩენილი ფაქტების შესახებ ერთდროულად არ იქნება ხელმისაწვდომი - ე.ი., მონიტორინგის ღონისძიებები შეიძლება მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობდეს და ახალი ინფორმაცია ხელმისაწვდომი იყოს, რამაც შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ფირმის მიერ წინათ მიღებული გადაწყვეტილებები აღმოჩენილი ფაქტების, ნაკლოვანებებისა და საწყისი მიზეზ(ებ)ის შესახებ. შესაბამისად, დინამიკური და სწრაფად რეაგირებადი სისტემის შემუშავება ხელს უწყობს ნაკლოვანებების პროაქტიურ და დროულ აღმოფხვრას.


მაგალითები იმისა, თუ როგორ არის შეფასების სისტემა განმეორებითი და არახაზოვანი

- გამოვლენილი ნაკლოვანებების საწყისი მიზეზის (მიზეზების) შესწავლისას, რომელიც გარიგებების შესახებ არასათანადო განსჯებს ეხება, ფირმა ადგენს, რომ საწყისი მიზეზ(ებ)ი დაკავშირებულია ძირითად საბუღალტრო სტანდარტების შესახებ გარიგების გუნდის არასათანადო ცოდნასთან. ფირმას ჰქონდა დასკვნები, რომლებიც დაკავშირებულია ფირმის საპასუხო ზომასთან პერსონალის სწავლასა და განვითარებაზე, მაგრამ ფირმამ ისინი ნაკლოვანებებად არ მიიჩნია. ვინაიდან ფირმამ განსაზღვრა, რომ გარიგების გუნდებს არ გააჩნიათ შესაბამისი ცოდნა, მას ცვლილებები შეაქვს დასკვნებში, რომელიც პერსონალის სწავლასა და განვითარებას ეხება და მათ ნაკლოვანებებად კლასიფიკაციას ახდენს.
- ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის შეფასებისას, ფირმამ დაადგინა, რომ ნაკლოვანებების დიდი ნაწილი რამდენიმე თვე გრძელდებოდა, ვინაიდან ნაკლოვანებების გამოვლენისთვის ფირმის მონიტორინგის ღონისძიებებს დრო სჭირდებოდა. ფირმა მონიტორინგის ღონისძიებების შესახებ დასკვნებს ფლობდა, მაგრამ მათი ნაკლოვანებებად კლასიფიკაცია არ მოახდინა. ვინაიდან ფირმამ დაადგინა, რომ მონიტორინგის ღონისძიებებს დიდი დრო დასჭირდა.

სხვა ნაკლოვანებების გამოსავლენად, მას ცვლილებები შეაქვს თავის დასკვნებში, რომლებიც დაკავშირებულია მონიტორინგის ღონისძიებებთან და მათ ნაკლოვანებად კლასიფიცირებას ახდენს.

საპასუხო ზომა გამოვლენი ნაკლოვანებების მიმართ

ხმსს 1, პუნქტები:
42-45, ა170-173ა



ფირმამ სათანადო ზომები უნდა მიიღოს გამოვლენილ ნაკლოვანებებზე რეაგირების მიზნით. აღნიშნული მიიღწევა:

- გამოვლენილი ნაკლოვანებების დროული გამოსწორებით, რათა არ მოხდეს მათი განმეორება; და
- რეგულაციის ღონისძიებების ეფექტიანობის შეფასებით და თუ არ იქნება ეფექტიანი, დამატებითი ზომების მიღებით.

ამ პროცესის ფარგლებში, ფირმა, ასევე, ყურადღებას ამახვილებს გარიგებებთან დაკავშირებულ დასკვნებზე ისეთი გარიგებებისთვის, რომლისთვისაც საჭირო პროცედურები გარიგებების შესრულებისას გამორჩენილია, ან გამოშვებული ანგარიში შეიძლება არასათანადოა (იხ. განყოფილება „გადახედეთ გარიგებებთან დაკავშირებულ დასკვნებს, საჭიროებისამებრ“).



ხმსს-ის შეფასებისას ფირმის ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზომებს, რომლებიც გამოვლენილი ნაკლოვანებების საპასუხოდ გაკეთდა.

რეგულაციის ღონისძიებების ეფექტიანობამ შესაძლოა იმოქმედოს ხმსს-ის შეფასებაზე და ხელმძღვანელობების დასკვნებზე, იმის შესახებ, აღწევს თუ არ ხმსს თავის მიზნებს.

შეიმუშავეთ და დანერგეთ რეგულაციის ღონისძიებები

ფირმის მიერ შემუშავებული და დანერგილი რეგულაციის ღონისძიებები უნდა რეაგირებდეს გამომწვევ მიზეზზე. ამასთან, რაც უფრო სერიოზული და ყოვლისმომცველია ნაკლოვანება, მით უფრო უკიდურესი აუცილებლობაა იმისა, რომ შემუშავდეს და დაინერგოს რეგულაციის ღონისძიებები.

ზოგიერთ შემთხვევაში, ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად გატარებული რეგულაციის ღონისძიებების სწორად შემუშავებას და დანერგვას, ან სასურველი ეფექტის მიღწევას შესაძლოა დრო დასჭირდეს. ზოგიერთ შემთხვევაში, ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად ფირმას დროებითი რეგულაციის ღონისძიებები შეიძლება ჰქონდეს მანამ, სანამ სასურველი რეგულაციის ღონისძიებები სრულიად არ იქნება შემუშავებული და დანერგილი.

დროებითი რეგულაციის ღონისძიებების მაგალითი

ფირმა იყენებს მომსახურების პროვაიდერისგან უზრუნველყოფილ აუდიტის ინსტრუმენტს და ავლენს ნაკლოვანებას, რომელიც დაკავშირებულია აუდიტის ინსტრუმენტთან, რის საფუძველზეც იგი გარკვეული ინდუსტრიებისთვის არასწორ აუდიტის პროგრამებს წარმოქმნის. ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად, ფირმამ უნდა მოითხოვოს მომსახურების პროვაიდერისგან აუდიტის ინსტრუმენტის გასწორება, რასაც დრო დასჭირდება. შედეგად, როგორც შუალედური ღონისძიების ნაწილი, ფირმა ელ-ფოსტით აგზავნის სწორ აუდიტის პროგრამებს გარიგების გუნდებთან და მოითხოვს, რომ გარიგების გუნდებმა გამოიყენონ ელ-ფოსტით მიღებული აუდიტის პროგრამები, ნაცვლად იმ პროგრამებისა, რომლებიც აუდიტის ინსტრუმენტშია მოცემული.



რემედიაციის ღონისძიებები შესაძლოა გულისხმობდეს დამატებითი ხარისხის მიზნების შემუშავებასაც, ან ხარისხის რისკები და საპასუხო ზომები შესაძლოა დაემატოს ან შეიცვალოს, თუ დადგინდება, რომ ისინი არაა სათანადო. ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკებისა და საპასუხო ზომების შესახებ მინიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ინფორმაცია გათვალისწინებული უნდა იყოს ფირმის რისკის შეფასების პროცესში.

შეფასეთ რემედიაციის ზომების ეფექტიანობა და თუ არ იქნება ეფექტიანი, დამატებით ზომებს მიმართეთ

ხმს 1 მოითხოვს, რომ ფიზიკურმა პირებმა, რომლებსაც ეკისრებათ მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ოპერატიული პასუხისმგებლობა, შეაფასონ რემედიაციის ღონისძიებები და მიიღონ შესაბამისი ზომები, რათა შეფასებაზე რეაგირება მოახდინონ.

არის თუ არა რემედიაციის ღონისძიებები სათანადოდ შემუშავებული გამოვლენილი ნაკლოვანებისა და მათი საწყისი მიზეზ(ებ)ის აღმოსაფხვრელად და არის თუ არა იგი დანერგილი?

შეფასების ეს ნაწილი შესაძლოა განხორციელდეს მას შემდეგ, რაც რემედიაციის ღონისძიებები შემუშავდება და დაიწყოება.

შემდეგ რაც დაიწერა რემედიაციის ღონისძიებები, იყო თუ არა იგი ეფექტიანი გამოვლენილი ნაკლოვანების აღმოსაფხვრელად?

შეფასების ეს ნაწილი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც რემედიაციის ღონისძიებები საკმარისი დროის განმავლობაში ითვალისწინირება, რათა დადგინდეს იყო თუ არა იგი ეფექტიანი. ზოგჯერ, გადაუდებო ან სხვა შემთხვევებში, შესაძლოა საჭირო გახდეს, რომ რემედიაციის ღონისძიებები ითვალისწინებოდეს გარდაუდო დროის განმავლობაში. სანამ მისი ეფექტიანობა იქნება განხილული.

შეფასება აჩვენებს, რომ ეს არაა დამაკმაყოფილებელი (ე.ი., რემედიაციის ღონისძიებები არაა სათანადოდ შემუშავებული, დანერგილი ან ეფექტიანი), ფიზიკურმა პირმა უნდა მიიღოს დამატებითი ზომები, რათა უზრუნველყოს რემედიაციის ღონისძიებების სათანადო მოდიფიკაცია.


საჭიროებისამებრ, ყურადღება დაუთმეთ გარიგებებთან დაკავშირებულ აღმოჩენილ ფაქტებს

აღმოჩენილმა ფაქტებმა (რომლებიც შეიძლება მიუთითებდეს ნაკლოვანებაზე) შესაძლოა გავლენა მოახდინოს ძირითად გარიგებებზე. ვინაიდან ფირმა კონცენტრირდება რემედიაციის ღონისძიებების შემუშავებასა და დანერგვაზე, რათა ხელი შეუშალოს ნაკლოვანებების ხელახლა გამოვლენას, არაა აუცილებელი ყველა აღმოჩენილი ფაქტების შესწორება. თუმცა, თუ დასკვნები აჩვენებს, რომ არსებობს გარიგება, რომლისთვისაც საჭირო პროცედურები გამოტოვებული იყო, ან გაცემული ანგარიში შეუსაბამო იყო, ფირმამ უნდა მიიღოს დამატებითი ზომები:

- მიიღეთ შესაბამისი ზომები, რათა დაიცვათ შესაბამისი პროფესიული სტანდარტები და გამოყენებადი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნები. მაგალითად, გამორჩენილი პროცედურები შესაძლოა შესრულდეს, საკითხი შესაძლოა განხილული იყოს მენეჯმენტის ან იმ პირების მიერ, რომლებსაც ეკისრებათ მმართველობითი მოვალეობები, ან, ასევე, შესაძლოა ფირმაში კონსულტაციაც ჩატარდეს.
- როდესაც ანგარიში შეუსაბამოდ არის მიჩნეული, ფირმამ შეიძლება განიხილოს შესაძლო შედეგები და მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, გაითვალისწინოს, საჭიროა თუ არა სამართლებრივი რჩევის მიღება.

მონიტორინგსა და რემედიაციასთან დაკავშირებული უწყვეტი კომუნიკაცია

ხმს 1, პუნქტები: 46-47, ა174



მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ინფორმაცია გამოიყენება ხარისხის მართვის სისტემის ყველა ნაწილში და მას, ასევე, იყენებენ გარიგების გუნდები. მაგალითად:

- ხელმძღვანელობა იყენებს ინფორმაციას, როგორც ხარისხის მართვის სისტემის ყოველწლიური შეფასების საფუძველს, რათა განსაზღვროს, რა ინფორმაცია მიაწოდოს პერსონალს, საქმის ყურში ჩააყენოს ფიზიკური პირები მათი პასუხისმგებლობის შესახებ, ან დროულად გაამჟღავნოს ძირითადი საკითხები.
- ხარისხის მართვის სისტემაში, ფიზიკურ პირებს, რომლებსაც განაწილებული აქვთ სამუშაო, იყენებენ ინფორმაციას, რათა ხარისხის მართვის სისტემასთან დაკავშირებული ფუნქციები შეასრულონ.
- გარიგების გუნდის შემმოწმებლები იყენებენ ინფორმაციას, როგორც გარიგების ხარისხის მიმოხილვის საფუძველს, განსაკუთრებით, მაშინ, როდესაც ინფორმაცია ეხება ისეთ მიმართულებებს, რომლებიც გარიგების გუნდის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მოიცავს.
- გარიგების პარტნიორები იყენებენ ინფორმაციას, რათა განსაზღვრონ დამოკიდებულია თუ არა გარიგების გუნდი ფირმის პოლიტიკასა ან პროცედურებზე გარიგების შესრულებისას, ან მიმართულებებზე, სადაც, გარიგების შესრულების დონეზე, დამატებითი საპასუხო ზომების მიღებაა საჭირო.

ხმს 1 შეიცავს მინიმალურ მოთხოვნებს იმის შესახებ, თუ რა ინფორმაციის გადაცემაა საჭირო მონიტორინგსა და რემედიაციასთან მიმართებით, მათ შორის, ვის მიერ და ვის უნდა გადაეცეს ეს ინფორმაცია:

ფიზიკური პირი, რომელსაც ეკისრება მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ოპერატიული პასუხისმგებლობა, კომუნიკაციას ამყარებს:

- ფიზიკურ პირთან, რომელსაც ეკისრება საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხარისხის მართვის სისტემაზე; და
- ფიზიკურ პირთან, რომელსაც ეკისრება ხარისხის მართვის სისტემის ოპერატიული პასუხისმგებლობა.

ფირმა კომუნიკაციას ამყარებს გარიგების გუნდებთან და ფიზიკურ პირებთან, რომლებსაც ეკისრებათ ხარისხის მართვის სისტემაში სამუშაო ოპერაციების შესრულება.

კომუნიკაცია იმ მოცულობითაა საჭირო, რომ გარიგების გუნდებმა და სხვა ფიზიკურმა პირებმა დროულად მიიღონ სათანადო ზომები თავიანთი პასუხისმგებლობის ფარგლებში.

ინფორმირების საკითხები

- მონიტორინგის ღონისძიებების აღწერა;
- გამოვლენილი ნაკლოვანებები, მათ შორის, ამგვარი ნაკლოვანებების სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა; და
- რემედიაციის ღონისძიებები

გარიგების გუნდებისა და პერსონალისთვის ინფორმირებული საკითხების მაგალითები (ე.ი., იმ რაოდენობით, რაც საჭიროა იმისთვის, რომ მათ შეძლონ სწრაფი რეაგირება და შესაბამისი ზომების მიღება)

- გარიგების გუნდები - გადაცემული ინფორმაცია შესაძლოა ყურადღებას ამახვილებდეს ნაკლოვანებებზე, რომლებიც გამოვლინდა გარიგების დონეზე და ფირმის რემედიაციის ღონისძიებებში.
- პერსონალი - ინფორმაცია, რომელიც გადაეცა ფირმის ყველა თანამშრომელს შესაძლოა ეხებოდეს ნაკლოვანებებს, რომლებიც დაკავშირებულია დამოუკიდებლობასთან და ფირმის რემედიაციის ღონისძიებებთან.



მცირე ფირმის შემთხვევაში, ფიზიკურმა პირმა შეიძლება აიღოს პასუხისმგებლობა ხმსს-ის ყველა ასპექტზე, ე.ი., საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ხმსს-სთვის, ოპერატიული პასუხისმგებლობა ხმსს-სთვის და ოპერატიული პასუხისმგებლობა მონიტორინგისა და რემედიაციისთვის. ასეთ შემთხვევაში, ხმსს-ის 46-ე პუნქტში მოცემული კომუნიკაციის მოთხოვნა არ იქნება სათანადო.



ფირმამ შესაძლოა გამოაქვეყნოს გამოვლენილი ნაკლოვანებების საწყისი მიზეზები, რათა ხელი შეუწყოს ცნობიერების ამაღლებას, იმის შესახებ, თუ რატომ გამოვლინდა ნაკლოვანებები. ამან შეიძლება გარიგების გუნდებისა და ფიზიკური პირების მოქმედების კურსზე გავლენა იქონიოს, რომლებსაც ხმსს-ში ეკისრებათ სამუშაოების შესრულება.

ფირმამ, ასევე, შეიძლება გამოაქვეყნოს დადებითი შედეგები, რომლებიც ხაზს უსვამს პრაქტიკებს, რომლებიც გარიგების გუნდებმა უფრო მნიშვნელოვნად უნდა გამოიყენონ.



- ფირმამ შეიძლება გადასცეს მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესის ინფორმაცია:
- ფირმის ქსელს;
- მომსახურების პროვაიდერებს;
- მათ ვისაც ეკისრება მმართველობითი საქმიანობის შესრულება, როდესაც საფონდო ბირჟაზე კოტირებული სამეურნეო სუბიექტების ფინანსური ანგარიშგებების აუდიტს ასრულებენ; ან
- ან სხვა გარე დაინტერესებულ მხარეებს.



პუნქტები 33, 34(ე),
ა109-ა115 და ა124-ა132
ეხება ფირმის განხილვებს იმის
შესახებ უნდა დამყარდეს თუ
არა გარე პირებთან კომუნიკაცია
და უნდა გადაეცეს თუ არა მათ
ინფორმაცია.



ხმს 1, პუნქტი: 16(ლ),
16(ი), 48-52

ქსელის მოთხოვნები ან მომსახურება

ქსელებმა შეიძლება დააწესონ ფირმის ხმს-სთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომელიც განმარტებულია, როგორც „ქსელის მოთხოვნილებები“. ქსელებმა, ასევე, შეიძლება ხელმისაწვდომი გახადონ მომსახურებები ან რესურსები, რომლებიც ფირმამ შესაძლოა თავის ხმს-ში განსახორციელებად ან გამოსაყენებლად შეარჩიოს, რომელიც განმარტებულია, როგორც „ქსელისმომსახურება“.



ხმს 1-ის ა175 პუნქტი მოიცავს ქსელის მოთხოვნებს ან მომსახურებებს.



მოთხოვნები, რომლებიც ქსელის მოთხოვნებს ან მომსახურებებს ეხება, ძირითადად, ახალია ხმს 1-სთვის.

მოქმედი ხვსს მოიცავს მხოლოდ ქსელის კომუნიკაციის მოთხოვნას, როდესაც ფირმა ეყრდნობა ქსელის საერთო მონიტორინგის პოლიტიკას ან პროცედურებს.

რა მოცულობით ვრცელდება ხმს 1-ის მოთხოვნები სხვა ქსელის ფირმების, სტრუქტურების ან ორგანიზაციების მოთხოვნებსა და მომსახურებებზე ქსელში

ტერმინები „ქსელი“ და „ქსელის ფირმა“ წესის თანახმადაა განმარტებული ხმს 1-ის მე-16(ლ), და მე-16(ი) პუნქტებში. ქსელის ფირმა, ფირმა ან საწარმოა, რომელიც ფირმის ქსელის კუთვნილებაა. ხმს 1-ის მე-19(ა) პუნქტი განმარტავს, რომ ქსელები და ქსელის ფირმები შეიძლება სტრუქტურირებული იყოს სხვადასხვა გზით.

ნებისმიერი ქსელის მოთხოვნები ან ქსელისმომსახურება, რომელიც მიღებულია ქსელიდან, სხვა ქსელის ფირმიდან, ან სხვა სტრუქტურისა თუ ორგანიზაციიდან, ქსელში მიჩნეულია, როგორც „ქსელის მოთხოვნები ან ქსელისმომსახურება“. შედეგად, ისინი ემყარება ხმს 1-ის 48-52 პუნქტებში მოცემულ მოთხოვნებს.



ქსელის მოთხოვნების, ან ქსელისმომსახურების შემადგელობაში შედიან კომპონენტის აუდიტორები სხვა ქსელის ფირმიდან, რომლებიც ჩართულები არიან გუნდურ აუდიტის გარიგებებში. რესურსების განყოფილებაში ახსნილია, როგორ შეიძლება პრაქტიკულად იქნას გამოყენებული ხმს 1-ში მოცემული მოთხოვნები იმავე ქსელის კომპონენტის აუდიტორებზე.

ფირმის პასუხისმგებლობა, რომელიც დაკავშირებულია ქსელის მოთხოვნებსა და მომსახურებებზე

ფირმა პასუხისმგებელია თავის ხმსს-ზე. შედეგად, ხმსს-ში გამოყენებულ ქსელის მოთხოვნებსა ან მომსახურებებზე დაყრდნობის მიზნით, მნიშვნელოვანია ფირმას ესმოდეს ქსელის მოთხოვნები ან მომსახურება და გავლენა, რომელიც ფირმის ხარისხის მართვის სისტემაზე მოქმედებს. ფირმას, ასევე, უნდა ესმოდეს საკუთარი პასუხისმგებლობა ნებისმიერ გადადგმულ ნაბიჯზე, რომელიც საჭიროა ქსელის მოთხოვნების განსახორციელებლად, ან ქსელისმომსახურების გამოსაყენებლად.



ხმს 1-ის ა176 პუნქტი მოიცავს ფირმის პასუხისმგებლობების მაგალითებს, რომლებიც დაკავშირებულია ქსელის მოთხოვნებისა და მომსახურების განხორციელებასთან.

ქსელმა შეიძლება განსაზღვროს ფირმის პასუხისმგებლობა	ფირმამ შეიძლება განსაზღვროს საკუთარი პასუხისმგებლობა
მაგალითი ქსელმა შეიძლება მიითეთება გააყეთოს, რომ კონკრეტული სტ გაამოყენებითი პროგრამის გამოყენებისთვის ფირმას უნდა ჰქონდეს ლეპტოპები განსაზღვრული მინიმალური პარამეტრებით, რათა სტ გამოყენებითი პროგრამა ლეპტოპებზე გამართულად მუშაობდეს.	მაგალითი ფირმამ შეიძლება გამოიყენოს ქსელის მიერ უზრუნველყოფილი ტრენინგის კურსი. ფირმამ შეიძლება განსაზღვროს, რომ მისი პასუხისმგებლობა მოიცავს კოორდინატორების დადგენას, რომლებიც გაუძღვებიან ტრენინგს და ასევე, კოორდინატორების პრაქტიკულ გადამზადებას, იმის შესახებ, თუ როგორ გაუძღვნენ ისინი ტრენინგის კურსს სათანადოდ.

ხმსს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ:

- განსაზღვროს, რამდენად შეესაბამება ქსელის მოთხოვნები ან მომსახურება და როგორაა იგი გათვალისწინებული ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში, მათ შორის, როგორ უნდა დაინერგოს იგი.
- შეაფასოს არის თუ არა, და თუ ასეა, როგორ უნდა გადააყეთოს ან შეაფასოს ფირმამ ქსელის მოთხოვნები ან მომსახურება, ისე, რომ ხარისხის მართვის სისტემაში მათი გამოყენება სათანადო იყოს. მოუხედავად იმისა, რომ ქსელმა შესაძლოა განსაზღვროს მოთხოვნები იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ხარისხის თანმიმდევრულობას ქსელში, ფირმას შეიძლება დასჭირდეს ქსელის მოთხოვნების ან მომსახურების გადაკეთება და შევსება ისე, რომ ისინი შეესაბამებოდეს ფირმის ხასიათსა და გარემოებას და იმ გარიგებებს, რომლებსაც ფირმა ასრულებს.

ხმსს 1 ასევე ითვალისწინებს ფირმის მოთხოვნებს, თუკი ფირმა გამოავლენს ნაკლოვანებებს ქსელის მოთხოვნებს ან მომსახურებაში. ეს გულისხმობს, ქსელის მოთხოვნებს ან მომსახურებაში გამოვლენილი ნაკლოვანებების გავლენის აღმოსაფხვრელად, რემედიაციის ღონისძიებების შემუშავებასა და დანერგვას.

მაგალითი-ქსელის მომსახურებისა და ფირმის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესისა იმის თაობაზე, რამდენად შესაფერისია ფირმისთვის ქსელის მომსახურება და გაითვალისწინება თუ არა ფირმის ხარისხის მართვის სისტემაში, ან ესაჭიროება თუ არა ქსელის მომსახურებას შეცვლა/ადაპტირება ან შევსება.

ქსელის მომსახურება	ქსელი გამოსცემს ვრცელ სახელმძღვანელოს გლობალურ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. სახელმძღვანელო ეხება: • გლობალური პანდემიის მოსალოდნელ შედეგებს ფინანსურ ანგარიშგებებზე, რომლებიც მომზადებულია საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების მიხედვით. • გლობალური პანდემიის მოსალოდნელ შედეგებს აუდიტის გარიგებებზე, მათ შორის: - o გავლენა იმისა, თუ როგორ წარიმართება, კონტროლდება და მოწმდება გარიგებები და გარიგების შესასრულებლად ტექნოლოგიის გამოყენების მხედველობაში მიღება. - o ადაპტირება აუდიტის ტიპების პროცედურებთან, რომლებიც შესაძლოა შესრულდეს და აუდიტის გუნდების გათვალისწინება ამ პროცედურების გამოყენებისას. - o გლობალური მოვლენის შედეგად მიღებული არასწორი (ფინანსური) ინფორმაციის საფუძველზე, რამდენად საჭირო შეიძლება გახდეს შემდგომი მოვლენების განხილვა, აღრიცხვა და მიმდინარე პრობლემასთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა. - o ანგარიშგების შედეგები აუდიტორის ანგარიშებზე.
----------------------------------	---

როგორ არის დაკავშირებული ქსელის მომსახურება და გათვალისწინებულია თუ არა იგი ხარისხის მართვის სისტემაში, მათ შორის, როგორ უნდა დაინერგოს იგი.	გლობალურმა ჰანდეძიამ თირმა დააზარალა და, შესაბამისად, მას მტკიცედ აქვს განსაზღვრული, რომ ქსელის მომსახურება და თირმის მიერ დასრულებული გარიგებები მნიშვნელოვანია თირმისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ თირმას ჯერ არ აქვს გამოცემული საერთო სახელმძღვანელო, რომელიც გლობალურ ჰანდეძიას შეეხება, თირმა გადაწყვეტილებას იღებს, რომ იგი იხელმძღვანელებს ქსელის მიერ გამოშვებული სახელმძღვანელოთი. თირმა განსაზღვრავს საუკეთესო საშუალებას, რათა გაავრცელოს სახელმძღვანელო გარიგების გუნდებს შორის და განსაზღვრავს, რომ იგი: • გამართავს რამდენიმე ვებინარს, რათა განიხილოს სახელმძღვანელოს შინაარსი. • განათავსებს სახელმძღვანელოს თირმის ინტრანეტზე და ჩასვამს მას თირმის აუდიტის სტ გამოყენებით პროგრამაში.
სჭირდება თუ არა ქსელის მომსახურებას ადაპტირება ან შევსება	თირმა განსაზღვრავს სახელმძღვანელოს ადაპტირებისა და შევსების საჭიროებას შემდეგნაირად: • თირმა აუმჯობესებს ბუღალტრული აღრიცხვის სახელმძღვანელოს იმის შემუშავებით, თუ რა გავლენა შეიძლება მოახდინოს გლობალურმა მოვლენამ გარკვეული ინდუსტრიების თინანსურ ანგარიშგებებზე, რომლისთვისაც თირმა ასრულებს აუდიტის გარიგებებს. • თირმა აუმჯობესებს აუდიტის სახელმძღვანელოს იმის შემუშავებით თუ: - o როგორ შეიძლება დაამყარონ ერთმანეთთან კავშირი გარიგების გუნდებმა და როგორ შეიძლება გაცვალონ ინფორმაცია, განსაკუთრებით, მოთხოვნები, რომლებიც გუნდებმა უნდა დააკმაყოფილონ, რათა შეძლოთ პირადად შეკრება, რასაც ითვალისწინებს რეგიონალური წესები პირად შეკრებებთან დაკავშირებით. - o როგორ შეიძლება დაამყარონ კავშირი გარიგების გუნდებმა კლიენტებთან და რომელი აუდიტის პროცედურების ჩატარება იქნება დასაშვები ადგილზე. - o გლობალური ჰანდეძიის შედეგად იურისდიქციასთან დაკავშირებული არსებითი შეცდომების სპეციფიკური რისკები, როგორ გაუმჯობესდეს მნიშვნელოვან მოვლენებს, რომლებმაც იურისდიქციაზე მთლიანად მოახდინა გავლენა და როგორ გაუმჯობესდეს იურისდიქციის ეკონომიკურ მდგომარეობას და როგორ შეიძლება ამან იმოქმედოს ფუნქციონირებადობის პრინციპზე. - o როგორ შეიძლება წამოიწყონ გარიგების გუნდებმა კონსულტაციები თირმაში და რა საკითხებთან დაკავშირებით შეიძლება იყოს საჭირო კონსულტაცია.

გარემოებანი, როდესაც მონიტორინგის ღონისძიებებს ქსელი ასრულებს

ქსელმა შეიძლება შეასრულოს მონიტორინგის ღონისძიებები მთლიანად თირმაში. ამ მონიტორინგის ხასიათი, ვადები და მოცულობა განსხვავდება ქსელთა შორის და შესაძლოა, ასევე, ქსელშიც განსხვავდებოდეს ყოველ მეორე წელს.

ხმსს 1 მოითხოვს, რომ თირმამ დააკმაყოფილოს ხმსს 1-ის 35-ე და 47-ე პუნქტები, რომლებიც მონიტორინგსა და რეგულირებას ეხება. შედეგად, როდესაც ქსელი თირმის ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგის ღონისძიებებს ასრულებს, თირმამ უნდა:

განსაზღვროს მონიტორინგის ღონისძიებების გავლენა, რომელსაც ქსელი ასრულებს ფირმის მონიტორინგის ღონისძიებების ხასიათზე, ვადებსა და მოცულობაზე.

მაგალითი

ქსელის მონიტორინგის ღონისძიებები მოიცავს შერჩეული დასრულებული გარიგებების ყოველწლიურ ინსპექტირებას. ფირმას შეუძლია განიხილოს:

- გარიგებების შერჩევასთან დაკავშირებითარის თუ არა ისინი გარიგებების რეპრეზენტაციული, რომლებსაც ფირმა აირჩევდა საკუთარი ინსპექტირების პროგრამის შესრულებისთვის.
- გარიგების პარტნიორების შერჩევასთან დაკავშირებით:
 - o არიან თუ არა გარიგების შერჩეული პარტნიორები ის პარტნიორები, რომლებსაც ფირმა აირჩევდა ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების შესაბამისად (მათ შორის, პარტნიორები, რომლებსაც აირჩევდნენ ფირმის ციკლოური პერიოდის მიხედვით).
 - o თითოეული გარიგების პარტნიორისთვის შერჩეული გარიგება არის თუ არა იმგარიგების რეპრეზენტაციული, რომლებსაც ფირმა აირჩევდა გარიგების პარტნიორისთვის.
- საკითხები, რომლებიც განხილულია გარიგების ინსპექტირების ჩაატარებისას და არის თუ არა ეს საკითხები იმ საკითხების მსგავსი, რომლებსაც ფირმა შემოწმების განხორციელების შემთხვევაში განიხილავდა.

განსაზღვრეთ ფირმის პასუხისმგებლობა მონიტორინგის ღონისძიებებთან დაკავშირებით, მათ შორის, ფირმის მიერ განხორციელებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი ქმედება.

მაგალითი

ზემოაღნიშნული მაგალითის საფუძველზე, ფირმას აქვს მთელი რიგი პასუხისმგებლობა იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს დასრულებული გარიგებების ინსპექტირებას ქსელის მიერ, მათ შორის:

- ფირმის გარიგებებისა და გარიგების პარტნიორების შესახებ ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა გარიგებებისა და გარიგების პარტნიორების შერჩევის მხარდასაჭერად.
- ფირმის მიერ შესრულებული მონიტორინგის სხვა ღონისძიებებისა და მიღებული ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა, ან სხვა ინფორმაციის, რომელიც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს და ქსელს შეუძლია მისი გამოყენება გარიგებებისა და გარიგების პარტნიორების შესარჩევად.
- გარიგების ფაილებზე წვდომა.
- თამხმარი რესურსები დასრულებული გარიგებების შემოწმების მხარდასაჭერად (მაგ.: ადამიანური რესურსები).

აღმოჩენილი ფაქტების შეფასებისა და მე-40 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად ნაკლოვანებების გამოვლენის პროცესის ფარგლებში დრულად მოიპოვეთ ქსელისგან მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები.

მაგალითი იმისა, თუ როგორ შეუძლია ფირმას მონიტორინგის ღონისძიებების შედეგების გამოყენება

იმის დასადგენად, არსებობს თუ არა ნაკლოვანებები დასკვნების შეფასებისას, ფირმა იყენებს ქსელის მონიტორინგის ღონისძიებების შედეგებს და ადარებს ინფორმაციას ფირმის მიერ შესრულებული გარიგებების შემოწმების შედეგებს. ფირმა აღნიშნავს, რომ მისმა მონიტორინგის ღონისძიებებმა ვერ გამოავლინა ნაკლოვანებები მთელ რიგ გარიგებებში. ამრიგად, ქსელის მონიტორინგის ღონისძიებებმა ორი ნაკლოვანება გამოავლინა:

- გარიგებებთან დაკავშირებული ნაკლოვანება; და
- ფირმის მონიტორინგის ღონისძიებებთან დაკავშირებული ნაკლოვანება (ე.ი. დასრულებული გარიგებების შემოწმებისას გამოვლენილი ნაკლოვანება).

ხმსს 1, აგრეთვე, ხმსს 1-ის გ182 პუნქტი განმარტავს, როგორ შეიძლება გამოიყენოს ფირმამ ეს ინფორმაცია.



ფირმამ, აგრეთვე, შესაძლოა გამოიყენოს ქსელის მონიტორინგის ღონისძიებების შედეგები, რომლებიც დაკავშირებულია ფირმის ხარისხის მართვის სისტემასთან და სხვა ქსელის ფირმების შედეგები, იმისთვის, რომ განსაზღვროს ვადები და ფირმის მონიტორინგის ღონისძიებების მოცულობა (იხ. ხმსს 1-ის 37 (ვ) პუნქტი).



ხარისხის მართვის სისტემის შეფასება

ხარისხის მართვის სისტემა შეიცავს მოთხოვნებს ფიზიკური პირებისთვის, რომლებსაც ეკისრებათ ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, რათა შეათვასონ ხარისხის მართვის სისტემა. შეფასებაზე დაყრდნობით, ფიზიკური პირი ვალდებულია დაასკვნას მიიღწევა თუ არა ხარისხის მართვის სისტემის მიზნები.



მოთხოვნა, შეფასდეს ხარისხის მართვის სისტემა და დაიდოს დასკვნა მისი ეფექტიანობის შესახებ ნარისხის მართვის სისტემის მიზნების მიღწევისთვის, ახალია ხმს 1-ისთვის.

შეფასება სრულდება დროის გარკვეულ მონაკვეთში და დასკვნა კონცენტრირებულია იმაზე, იძლევა თუ არა ხარისხის მართვის სისტემა სათანადო რწმუნებას, რომ:

- ფირმა და მისი პერსონალი ასრულებენ თავიანთ პასუხისმგებლობას პროფესიული სტანდარტებისა და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად და გარიგებები სრულდება ამ სტანდარტებისა და მოთხოვნების დაცვით; და
- ფირმის ან გარიგების პარტნიორების მიერ გამოცემული გარიგების დასკვნა მოცემული გარემოებებისთვის სათანადოა.

მართალია, შეფასება კონცენტრირებულია ახლანდელ დროზე/არსებულ მდგომარეობაზე, მაგრამ შეფასების პროცესში ამოსავალ ბაზად გამოიყენება ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობდა ხარისხის მართვის სისტემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, იმის დასადგენად, უზრუნველყოფს თუ არა იგი გონივრულ რწმუნებას იმის შესახებ, მიიღწევა თუ არა ხარისხის მართვის სისტემის მიზნები.

შეფასების პროცესი ფირმის შიდა ნაწილს წარმოადგენს; ფირმას არ მოეთხოვება მოიპოვოს დამოუკიდებელი რწმუნება ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობისთვის.

რატომ აფასებს ხარისხის მართვის სისტემას ფიზიკური პირი, რომელსაც ეკისრება ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

მოუხედავად იმისა, რომ ხარისხის მართვის სისტემის შეფასება, ფაქტობრივად, თვითშეფასებაა, მნიშვნელოვანია, რომ განმტკიცდეს იმ ფიზიკური პირის პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, რომელსაც ეკისრება ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება. ხარისხის მართვის სისტემის შეფასების შედეგი შეიძლება იმის მანიშნებელი იყოს, თუ როგორ ასრულებს ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობებს და შესაბამისად, ეს აუცილებლად გასათვალისწინებელია, როდესაც ხელმძღვანელობის მუშაობის შეფასება ხორციელდება.

მოუხედავად იმისა, რომ ფიზიკური პირი, რომელსაც ეკისრება ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, ატარებს შეფასების პროცესს, ფირმა მაინც პასუხისმგებელია შეფასების პროცესზე, ფიზიკური პირისთვის პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების დაკისრების გზით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ფირმას მოეთხოვება უზრუნველყოს შეფასების პროცესის ჩატარება ფიზიკური პირისთვის ანგარიშვალდებულების დაკისრებით.



ხმს 1-ის ა33 პუნქტი შეიცავს მაგალითს, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ არის ფირმა პასუხისმგებელი ხარისხის მართვის სისტემის შეფასებასა და დასკვნის გამოტანაზე, მაგრამ, ამავე დროს, აკისრებს შეფასებასა და დასკვნის გამოტანას ფიზიკურ პირს ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობასა და ანგარიშვალდებულებასთან ერთად.



როგორც ფირმის მონიტორინგის ღონისძიებების ნაწილი, ფირმას შეუძლია შეამოწმოს ხელმძღვანელობის ხარისხის მართვის სისტემის შეფასების პროცესი და დაადგინოს შესრულდა თუ არა იგი ხმს 1-ის მიხედვით.

ნაკლოვანებამ თავი შესაძლოა იჩინოს მაშინ, როდესაც შეფასება არ შესრულდა, ან არ არის სწორად შემუშავებული და დანერგილი, ან არასწორად ფუნქციონირებს (ე.ი. ხმს 1-ის 53-ე და 54-ე პუნქტების მოთხოვნები არ დაკმაყოფილებულა).

როგორ ხორციელდება შეფასება, იმის გათვალისწინებით, თუ რა ინფორმაცია არის მხედველობაში მიღებული

ხმს 1 განმარტავს, რომ ფიზიკურ პირს, რომელსაც ეკისრება ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, შეფასების პროცესში შეიძლება დაეხმარონ სხვები, თუმცა ფიზიკური პირი, მაინც, პასუხისმგებელია და ანგარიშვალდებული შეფასების პროცესზე.

ფირმის მონიტორინგისა და რემედიაციის შესახებ ინფორმაციამ, რომელიც გადაეცემა ფიზიკურ პირს, რომელსაც ეკისრება ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, შეიძლება ზოგადად უზრუნველყოს იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საჭიროა შეფასების ჩასატარებლად.

ხარისხის მართვის სისტემის შეფასებაზე დაყრდნობით, ფიზიკურ პირს, რომელსაც ეკისრება ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება, მოეთხოვება დასკვნის გამოტანა იმის შესახებ, მიიღწევა თუ არა ხარისხის მართვის სისტემის მიზნები. ფიზიკურმა პირმა, როდესაც დასკვნა გამოაქვს იმის შესახებ არის თუ არა ხარისხის მართვის სისტემა ეფექტიანი თავისი მიზნების მიღწევაში, შეიძლება გაითვალისწინოს შემდეგი:



ხმს 1-ის გ189 პუნქტი შეიცავს მაგალითებს, რომლებიც აჩვენებს, თუ როგორ შეიძლება იმ ინფორმაციის მოპოვება, რომელიც წარმოადგენს ხარისხის მართვის სისტემის შეფასების საფუძველს, ნაკლებად რთული ფორმისთვის, შედარებით რთული ფორმის საპირისპიროდ.

ხმს 1-ის გ192 და გ193 პუნქტები შეიცავს განმარტებებსა და მაგალითებს თუ როდისაა:

- გამოვლენილი ნაკლოვანება სერიოზული, მაგრამ არა ყოვლისმომცველი; და
- გამოვლენილი ნაკლოვანება სერიოზული და ყოვლისმომცველი.

გამოვლენილი ნაკლოვანებების სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა და გავლენა ხარისხის მართვის სისტემის მიზნების მიღწევაზე.

არის თუ არა რემედიაციის ღონისძიებები შემუშავებული და დანერგილი ფირმის მიერ და რამდენად ეფექტიანია შეფასებამდე მიღებული რემედიაციის ღონისძიებები

იყო თუ არა ხარისხის მართვის სისტემაზე გამოვლენილი ნაკლოვანებების გავლენა სათანადოდ შესწორებული (მაგ.: გარიგებების გამოსწორება, როდესაც პროცედურები გამოტოვებული იყო)

მასშემდეგ, რაც რემედიაციის ზომას (ზომებს) შეიმუშავენ და გაატარებენ, მისი (მათი) ეფექტიანობა შეიძლება უფრო მყისიერად გამოვლინდეს, ან შესაძლოა გარკვეული დრო იყოს საჭირო იმისთვის, რომ რემედიაციის ზომის ეფექტიანობა აშკარა გახდეს (იხ. 79-ე გვერდზე „შეაფასეთ რემედიაციის ზომების ეფექტიანობა და თუ არ იქნება ეფექტიანი, დამატებით ზომებს მიმართეთ“).

ხმს 1-ის 43-ე პუნქტში აღიარებულია, რომ რემედიაციის ზომების განხორციელებას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს, ვინაიდან პირ(ებ)მა, რომელსაც (რომლებსაც) პასუხისმგებლობა აკისრია(თ) მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესზე, უნდა შეაფასონ, რემედიაციის ზომები:

ა) სათანადოდ არის თუ არა *შემუშავებული* გამოვლენილ ნაკლოვანებებსა და მათ გამომწვევ მიზეზებზე რეაგირების თვალსაზრისით და დაადგინონ, გატარდა თუ არა ისინი; და

ბ) რომლებიც *ადრე გამოვლენილი* ნაკლოვანებების გამოსასწორებლად გატარდა, *ეფექტურია* თუ არა.

ხმს 1-ის გ189 პუნქტში ახსნილია, რომ ინფორმაცია, რომელიც ქმნის ხარისხის მართვის სისტემის შეფასების საფუძველს, მოიცავს ინფორმაციას, რომელსაც მონიტორინგსა და რემედიაციის პროცესზე ოპერატიული პასუხისმგებლობის მქონე პირ(ებ)ი გადასცემს (გადასცემენ) ხმს 1-ის 46-ე პუნქტის შესაბამისად. ამგვარი ინფორმაცია შეიძლება მოიცავდეს ხმს 1-ის 43-ე პუნქტის შესაბამისად განხორციელებული შეფასების შედეგებსაც. ამიტომ, როდესაც იხილავენ, გატარებული რემედიაციის ზომები ეფექტურია თუ არა შეფასების მომენტისთვის, პირ(ებ)ს, რომელსაც (რომლებსაც) საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრიათ ხარისხის მართვის სისტემაზე, შეუძლია (შეუძლიათ), მაგალითად:

- გამოიყენოს (გამოიყენონ) ხმსს 1-ის 43-ე პუნქტის შესაბამისად გატარებული რეგულაციის ზომების შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია;
- განიხილოს(ნ) სხვა ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა ხელმისაწვდომი იყოს იმ რეგულაციის ზომების ეფექტიანობის შესახებ, რომლებიც უკვე მოქმედებს, მათ შორის, ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში; ან
- ისეთ რეგულაციის ზომებთან დაკავშირებით, რომელთა ამოქმედებას ჯერ გარკვეული დრო სჭირდება, გაითვალისწინოს (გაითვალისწინონ) სხვა საკითხები, როგორიცაა:
 - o გამოვლენილი ნაკლოვანებ(ებ)ისა და მათი გამომწვევი მიზეზ(ებ)ის ხასიათი, რომელთანაც (რომლებთანაც) დაკავშირებულია მოცემული რეგულაციის ზომა (ზომები);
 - o გამოვლენილი ნაკლოვანებ(ებ)ის სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა;
 - o რეგულაციის ზომების განხორციელების დროულობა და მის ასამოქმედებლად დაგეგმილი დრო, ასევე ეს ვადა შეესაბამება თუ არა, გამოვლენილი ნაკლოვანებ(ებ)ისა და მისი გამომწვევი მიზეზი(ებ)ის აღმოფხვრისთვის აუცილებელ ვადას;
 - o მიღწეულია თუ არა ეფექტიანობის დაგეგმილი ან მოსალოდნელი შუალედური სამიზნე დონე;
 - o ნებისმიერი დროებითი ან შუალედური ზომების ეფექტი, რომელიც გატარდა იმ პერიოდში, როდესაც სასურველი რეგულაციის ზომების სრულყოფილად დამუშავება და განხორციელება ისევ მიმდინარეობდა; ან
 - o იყო თუ არა ეფექტური ფირმის მიერ ადრე გატარებული მსგავსი ზომები.



როდესაც გამოსასწორებელი ზომა შემუშავებული და განხორციელებულია, მაგრამ ჯერ არ მოქმედებდა ხარისხის მართვის სისტემის შეფასების მომენტისთვის, შემდგომ პერიოდში, ამ გამოსასწორებელი ზომის ეფექტიანობა შეფასდება ხმსს 1-ის 43(ბ) პუნქტის შესაბამისად. შესაძლოა დადგინდეს, რომ გამოსასწორებელი ზომა არ იყო ეფექტური. რიგი ფაქტორების გამო, მათ შორის, თუ როგორი რეაგირება მოახდინა ფირმამ არაეფექტურ რეგულაციის ზომაზე და დაკავშირებული ნაკლოვანების სერიოზულობასა და ყოვლისმომცველობაზე, შეიძლება გავლენა იქონიოს ხარისხის მართვის სისტემის შესახებ მომდევნო წელს გამოტანილ დასკვნაზე.

ხმსს 1 იძლევა სამ შესაძლო დასკვნას. ფირმამ დამატებითი ნაბიჯები უნდა გადადგას ხმსს 1-ის 55-ე პუნქტის შესაბამისად, დამოკიდებული იმაზე, თუ რომელი დასკვნაა მიღებული.

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს სამი შესაძლო დასკვნის მაგალითს და ფაქტორს, რომელიც გათვალისწინებულია ამ დასკვნების მიღებისას. **ქვემოთ მოყვანილი ცხრილი საილუსტრაციოდაა მოცემული, ვინაიდან სათანადო დასკვნის გამოსატანად პროფესიული განსჯაა საჭირო.** მაგალითად:

- პროფესიული განსჯა საჭიროა ნაკლოვანებების სერიოზულობისა და ყოვლისმომცველობის დასადგენად. ასევე, იმის გასარკვევად, იყო თუ არა რეგულაციის ღონისძიებები ეფექტიანი.
- ნაკლოვანებების გავლენა ნაწილობრივ შესაძლოა გამოსწორდეს (მაგ., მხოლოდ რამდენიმე გარიგება შესწორდა და დანარჩენი გარიგებები შესწორების პროცესშია). ამრიგად, პროფესიული განსჯა საჭიროა, იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად გამოსწორდა ნაკლოვანებები და რა გავლენას ახდენს იგი ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის დასკვნაზე.
- აუცილებელია პროფესიული განსჯა იმის შესაფასებლად, სათანადოდ გამოსწორდა თუ არა ხარისხის მართვის სისტემაზე გამოვლენილი ნაკლოვანებების გავლენა. მაგალითად, შესაძლებელია ისე მოხდეს, რომ ნაკლოვანებების გავლენა ნაწილობრივ გამოსწორდეს (მაგ., მხოლოდ ზოგიერთი გარიგება გამოსწორდა, ხოლო სხვა გარიგებების გამოსწორება ისევ მიმდინარეობს). ასეთ შემთხვევაში, საჭიროა პროფესიული განსჯა იმის დასადგენად, რამდენად გამოსწორდა გამოვლენილი ნაკლოვანებ(ებ)ის გავლენა ხარისხის მართვის სისტემაზე და რა გავლენას ახდენს ეს ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შესახებ გამოტანილ დასკვნაზე, მაგალითად, ნაკლოვანების ხასიათისა და მისი გავლენის გათვალისწინებით, ასევე ფირმის მიერ ამ ნაკლოვანების გამოსასწორებლად გატარებული ზომ(ებ)ის ხასიათისა და ამ ღონისძიებ(ებ)ის განხორციელების დროზე.

ხმსს 1: დანერგვის სახელმძღვანელო

#	ნაკლოვანებები (შენიშვნა 1)		რეგულიაციის ზომები შიშო- შაჯიბული და დანიარაიოთია. ხოლო რომლი- ბიც შიშასიბის თარიღისთვის შემოწმებულია. იფიქიანაო მუ- შაობს	ნაკლოვანებ- ბის ააჟონა სათანალოდ აასწორლა (შენიშვნა 2)	შენიშ- ვნა	დასკვნა	საჭიროა ლამა- ტიბითი ქმელო- ბა?
	სერიო- ზული	ყოვლის- მომცველი					
1	არა	არა	პასუხის გარეშე			ხარისხის მართვის სის- ტემა ფირმას უზრუნ- ველყოფს დასაბუთე- ბული რწმუნებით, რომ ხარისხის მართვის სის- ტემის მიზნები მიიღწევა (ხმსს 1-ის 3. 54(ა))	არა
2	დიახ	არა	დიახ	დიახ			
3	არა	დიახ	პასუხის გარეშე		შენიშ- ვნა 3		
4	დიახ	დიახ	დიახ	დიახ			
5	დიახ	არა	არა	არა		იმ საკითხების გარდა, რომლებიც დაკავშირე- ბულია გამოვლენილ ნაკლოვანებებთან და სერიოზულ, მაგრამ არა ყოვლისმომცველ გაჟ- ღონა ახდენს ხარის- ხის მართვის სისტემის შექმნაზე, დანერგვასა და ფუნქციონირება- ზე, ხარისხის მართვის სისტემა ფირმას უზრუნ- ველყოფს დასაბუთე- ბული რწმუნებით, რომ ხარისხის მართვის სის- ტემის მიზნები მიიღწევა (ხმსს 1-ის 3.54(ბ))	დიახ
6	დიახ	არა	არა	დიახ			
7	დიახ	არა	დიახ	არა	შენიშ- ვნა 4		
8	დიახ	დიახ	არა	არა	შენიშ- ვნა 5	ხარისხის მართვის სისტემა ფირმას არ უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუ- ნებით, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიიღწევა (ხმსს 1-ის 3. 54(გ))	დიახ
9	დიახ	დიახ	დიახ	არა	შენიშ- ვნა 4; 5		
10	დიახ	დიახ	არა	დიახ	შენიშ- ვნა 5		

შენიშვნა 1: ეს მოიცავს ხმსს 1-ის 45-ე პუნქტისთვის მიმართვას, რომელიც მოითხოვს, რომ ფირმამ რეაგირება მოახდინოს გარემოებაზე, თუკი დასკვნები მიანიშნებს, რომ არსებობს გარიგებები, რომლისთვისაც გარიგებების შესრულების პროცესში აუცილებელი პროცედურები, არ ჩატარებულა, ან გაცემული ანგარიში შეიძლება არაადეკვატური იყოს. მაგალითად:

- მე-5, მე-6 და მე-7 სტრიქონები შეიძლება იმ შემთხვევაში იყოს რელევანტური, როდესაც შეფასება მიუთითებს გამოვლენილ ნაკლოვანებაზე, რომელიც ინდივიდუალურად სერიოზულია, მაგრამ არ არის ყოვლისმომცველი, ან გამოვლენილია ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც ერთობლიობაში სერიოზულია, მაგრამ არ არის ყოვლისმომცველი.
- მე-8, მე-9 და მე-10 სტრიქონები შეიძლება იმ შემთხვევაში იყოს რელევანტური, როდესაც შეფასება მიუთითებს გამოვლენილ ნაკლოვანებაზე, რომელიც ინდივიდუალურად სერიოზულია არის და ყოვლისმომცველიც, ან გამოვლენილია ისეთი ნაკლოვანებები, რომლებიც ერთობლიობაში არის სერიოზულიც და ყოვლისმომცველიც.

შენიშვნა 2: ეს მოიცავს მიმართვას ხმსს1-ის 45-ე პუნქტისთვის, რომელიც მოითხოვს, რომ ფირმამ რეაგირება მოახდინოს გარემოებებზე, როდესაც გამოვლენილი ფაქტები მიუთითებს, რომ არსებობს გარიგება (გარიგებები), რომლისთვისაც გარიგების შესრულების პროცესში არ ჩატარდა აუცილებელი პროცედურები, ან გაცემული დასკვნა შესაძლოა არ იყოს ადეკვატური. როგორც საზგასმულია ცხრილის წინა პუნქტებში, პროფესიული განსჯა აუცილებელია იმის დასადგენად, რამდენად გამოსწორდა გამოვლენილი ნაკლოვანებების ეფექტი და რა გავლენას ახდენს ეს ხარისხის მართვის სისტემის ეფექტიანობის შესახებ გამოტანილ დასკვნაზე.

შენიშვნა 3: მე-3 სტრიქონი შეიძლება ეხებოდეს გამოვლენილ ნაკლოვანებას, რომელიც ინდივიდუალურად არის ყოვლისმომცველი, მაგრამ არ არის სერიოზული, ან რამდენიმე ნაკლოვანებას, რომლებიც ერთობლიობაში ყოვლისმომცველია, მაგრამ არ არის სერიოზული (ასევე იხილეთ შენიშვნა 1). დანარჩენი სვეტები შეიძლება არ იყოს რელევანტური ფაქტორები ხარისხის მართვის სისტემის შესახებ დასკვნის გამოსატანად, რადგან ნაკლოვანებ(ებ)ის ეფექტი არ არის სერიოზული (ანუ დასკვნა ხმსს1-ის 54(ა) პუნქტის შესაბამისად). თუმცა, შეიძლება არსებობდეს გარემოებები, როდესაც არსებობს რამდენიმე ნაკლოვანება, რომლებიც ფირმის შეფასებით, ინდივიდუალურად ყოვლისმომცველია, მაგრამ არ არის სერიოზული, მაგრამ ერთობლიობაში სერიოზულიც არის და ყოვლისმომცველიც. თუ ნაკლოვანებები ერთობლიობაში სერიოზულიც არის და ყოვლისმომცველიც, მაშინ შესაძლებელია მე-4, მე-8, მე-9 ან მე-10 სტრიქონების გამოყენება (ანუ დასკვნა ხმსს 1-ის 54(ა) ან 54(ბ) პუნქტების შესაბამისად).

შენიშვნა 4: შესაბამისი დასკვნის განხილვისას აუცილებელია პროფესიული განსჯა არსებულ ფაქტებსა და გარემოებებზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში სათანადო დასკვნა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ნაკლოვანებების ეფექტის სათანადოდ გამოსწორების ხარისხზე (იხ. ცხრილის წინ მოცემული პროფესიული განსჯის ახსნა, რომელიც ეხება ნაკლოვანებების ეფექტის სათანადოდ გამოსწორების ხარისხს და ფაქტორები, რომლებსაც შეუძლია გავლენის მოხდენა ამ განსჯასა და მიღებულ გადაწყვეტილებაზე). როდესაც შემუშავებული და გატარებულია რემედიაციის ზომები და შეფასების მომენტმდე გატარებული ზომები ეფექტურია, მაგრამ ფირმა ჯერ ისევ ნაკლოვანებების ეფექტის გამოსწორების პროცესშია, შესაძლოა შეიქმნას გარემოებები, როდესაც ფირმამ შეიძლება დაადგინოს, რომ ხარისხის მართვის სისტემა ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული დარწმუნებით იმის თაობაზე, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიღწეულია (ანუ ამის ნაცვლად შესაძლებელია ცხრილის მე-2 სტრიქონი ან მე-4 სტრიქონის გამოყენება).

შენიშვნა 5: ხმსს 1-ის გ194 პუნქტში მითითებულია, რომ ფირმას შეიძლება გარკვეული დრო დასჭირდეს სერიოზული და ყოვლისმომცველი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად. ვინაიდან ფირმა აგრძელებს მოქმედებას გამოვლენილი ნაკლოვანებების გამოსასწორებლად, გამოვლენილი ნაკლოვანებების ყოვლისმომცველი ეფექტი შეიძლება შემცირდეს და შესაძლოა ფირმამ დაადგინოს, რომ გამოვლენილი ნაკლოვანებები ისევ სერიოზულია, მაგრამ აღარ არის სერიოზული და ყოვლისმომცველი. ასეთ შემთხვევაში, პირ(ებ)მა, რომელსაც (რომლებსაც) ხარისხის მართვის სისტემაზე საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება აკისრიათ, შეიძლება დაასკვნას (დაასკვნან), რომ, იმ საკითხების გარდა, რომლებიც დაკავშირებულია ისეთ გამოვლენილ ნაკლოვანებებთან, რომლებიც სერიოზულ, მაგრამ არა ყოვლისმომცველ გავლენას ახდენენ ხარისხის მართვის სისტემის დიზაინზე, დანერგვასა და ფუნქციონირებაზე, სხვა დანარჩენ ასპექტებში ხარისხის მართვის სისტემა ფირმას უზრუნველყოფს დასაბუთებული რწმუნებით იმის თაობაზე, რომ ხარისხის მართვის სისტემის მიზნები მიღწეულია (ანუ ხარისხის მართვის სისტემის შემდგომ შეფასებაში შესაძლებელია ცხრილის მე-5, მე-6 ან მე-7 სტრიქონების გამოყენება).

ხარისხის მართვის სისტემის შეფასების ვადები და შეფასების უფრო ხშირად ჩატარება

ხმსს 1 მოითხოვს, რომ შეფასება დროის გარკვეულ მონაკვეთში, წელიწადში ერთხელ, მაინც, შესრულდეს. დროის გარკვეული მონაკვეთი, როდესაც სრულდება შეფასება, ფირმის მდგომარეობაზე შეიძლება იყოს დამოკიდებული და იგი შეიძლება დაემთხვეს ფირმის ფისკალური წლის ბოლოს, ან წლიური მონიტორინგის ციკლის დასრულებას.

ზოგიერთ შემთხვევაში, ფირმამ ან ფიზიკურმა პირმა, რომელსაც ხმსს-სთვის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება ეკისრება, შეიძლება განსაზღვროს, რომ შეფასების შესრულება უფრო ხშირად უნდა მოხდეს, ვიდრე წელიწადში ერთხელ. მაგალითად, ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, თუ დროის მონაკვეთი, როდესაც შეფასება სრულდება, საჭიროებს ცვლილებას (მაგ.: იმ მიზნით, რომ დაემთხვეს ფირმის ფისკალური წლის ბოლოს ცვლილებას, ან როდესაც ფირმა განიხილავს სხვა ფირმასთან შერწყმას).

ხარისხის მართვის სისტემის პირველი შეფასება, რომელიც ხმსს 1-ის პირველად დანერგვას მოყვება

ძალაში შესვლის თარიღის მიხედვით განმარტებულია, რომ ხმსს 1-ის დანერგვის შემდგომი ხარისხის მართვის სისტემის პირველი შეფასება უნდა შესრულდეს 2022 წლის 15 დეკემბრიდან ერთი წლის მანძილზე. დანერგვის პირველ წელს, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ამოქმედდება ასს 220 (გადასინჯული) და ხმსს 2, ასევე, რა გავლენას მოახდენს ის გარიგებებზე. შეიძლება გამოვლინდეს ბევრი ისეთი გარიგება, რომელიც ასს 220-ის დაცვით, კვლავ, შესრულების პროცესშია, ან გარიგების ხარისხისთვის მოქმედი მოთხოვნები ავონტროლებს ხვსს-ის და ასს 220-ის მიმოხილვებს. მაგალითად, ფინანსური ანგარიშგებების აუდიტი, ფინანსური წლის (2023 წლის 30 ივნისი) დასრულების შემდეგ კვლავ ჩატარდება მოქმედი ასს 220-ის შესაბამისად. გარდა ამისა, საჭიროების შემთხვევაში, გარიგების ხარისხის კონტროლის მიმოხილვა მოქმედი მოთხოვნების შესაბამისად შესრულდება.

ხმსს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ წამოიწყოს მონიტორინგის ღონისძიებების ოპერაცია, რომელიც 2022 წლის 15 დეკემბრიდან უნდა ამოქმედდეს. მონიტორინგის ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს გარიგებების შემოწმებას, შესაძლოა მოიცავდეს გარიგებებს, რომლებიც ჯერ კიდევ ასს 220-ის და არსებული გარიგების ხარისხის კონტროლის შემოწმების მოთხოვნების დაცვით ტარდება. შესაბამისად, დანერგვიდან ერთ წელიწადში (და, სავარაუდოდ, მეორე წელსაც) მონიტორინგის ღონისძიებების ინფორმაცია შესაძლოა შეიცავდეს ისეთი ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც წარმოიშობა:

- იმ გარიგებების საფუძველზე, რომელიც სრულდება არსებული სტანდარტების ან/და ფირმის პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, რომელიც მიესადაგება ხვსს 1-ს; და
- იმ გარიგებების საფუძველზე, რომლებიც სრულდება ახალი სტანდარტების ან/და ფირმის ახალი ხარისხის მართვის სისტემის შესაბამისად.

ხარისხის მართვის სისტემის შეფასებისას, ფირმამ შესაძლოა გაითვალისწინოს:

- მონიტორინგის ღონისძიებების ინფორმაცია შემუშავებულია ისე, რომ მთლიანად მოახდინოს ხარისხის მართვის სისტემის მონიტორინგი (ე.ი. ღონისძიებები, რომლებიც არაა გამიზნული გარიგების დონეზე).
- მონიტორინგის ღონისძიებების ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების შემოწმებებთან. ფირმამ, ნაკლოვანებების გამოვლენისა და ხარისხის მართვის სისტემის შეფასების პროცესში, შესაძლოა გამოიყენოს ინფორმაცია, რომელიც წარმოიშობა არსებულ ან/და ფირმის წინა პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად შესრულებულ გარიგებებისგან. მაგალითად, ამგვარმა ინფორმაციამ შესაძლოა ბიძგი მისცეს ფირმას განიხილოს:
 - o როგორ შეეცადა გადაეჭრა საკითხი ახალ ხარისხის მართვის სისტემაში; და
 - o სათანადოა თუ არა ის მეთოდი, რომლითაც ფირმა ცდილობს საკითხის მოგვარებას ახალ ხარისხის მართვის სისტემაში.

ხელმძღვანელობის მუშაობის შეფასება

ხმსს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ ჩაატაროს პერიოდული მუშაობის შეფასება:

- იმ ფიზიკური პირების, რომლებსაც ეკისრებათ **საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება** ხარისხის მართვის სისტემაზე; და
- იმ ფიზიკური პირების, რომლებსაც ეკისრებათ **ხარისხის მართვის სისტემის ოპერატიული პასუხისმგებლობა**.

როგორც უკვე აღინიშნა, ხელმძღვანელობის შეფასება მოითხოვს ხარისხის მართვის სისტემის შეფასების გათვალისწინებასაც.



ხმსს 1-ის 32-ე (ბ) პუნქტი ეხება პერსონალს, რომელიც ხარისხისადმი თავდადებას აჩვენებს, რაც მოიცავს დროული შეფასებების საშუალებით ანგარიშვალდებულების დაკისრებას ან აღიარებას. ეს ხარისხის მიზანი ვრცელდება ყველა თანამშრომელზე, მათ შორის, ფიზიკურ პირებზე, რომლებსაც ეკისრებათ ხარისხის მართვის სისტემის სხვა ფუნქციები და პასუხისმგებლობები, ისევე, როგორც ფიზიკურ პირს, რომელსაც ეკისრება ოპერატიული პასუხისმგებლობა მონიტორინგისა და რემედიაციის პროცესისთვის.



მცირე ფირმის შემთხვევაში, ფირმის მიერ გამოყენებული ინფორმაცია ხელმძღვანელობის პერიოდული მუშაობის შესაფასებლად შესაძლოა შეიცავდეს ფირმის მონიტორინგის ღონისძიებებს შედეგებსა და ხარისხის მართვის სისტემის შეფასებას. მსხვილი ფირმის შემთხვევაში, ფირმის მონიტორინგის ღონისძიებების შედეგების გარდა, შესაძლოა არსებობდეს ინფორმაცია, რომელსაც ფირმა იყენებს ხელმძღვანელობის პერიოდული მუშაობის შესაფასებლად.



ხმსს 1-ის ა199 პუნქტი შეიცავს მაგალითებს, რომლებიც აჩვენებს, როგორ შეიძლება ჩაატაროს ფირმამ ხელმძღვანელობის მუშაობის შეფასება ნაკლებად და მეტად რთულ ფირმებში.



დოკუმენტაცია

ქვემოთ აღწერილია, თუ როგორ შეიცვალა ხმს 1 არსებულ სტანდარტთან შედარებით ინფორმაციასა და კომუნიკაციასთან დაკავშირებით.



- არსებული ხმს 1-ის ახალი და დამატებითი მოთხოვნები მოიცავს:
 - o მასშტაბურ პრინციპებზე დაფუძნებულ დოკუმენტაციის მოთხოვნებს (ამ მოთხოვნას მსგავსება აქვს ასს-ის დოკუმენტაციის პრინციპებთან 23010); და
 - o კონკრეტული მოთხოვნები ხმს-სთან დაკავშირებული გარკვეული საკითხების დოკუმენტირებისთვის.
- მოთხოვნა, რომელიც ეხება ხმს-სთვის დოკუმენტაციის შენახვას, არსებულ ხმს 1-ს შეესაბამება.

ხმს 1-ში მოცემულია სპეციალური მოთხოვნა ფირმისთვის, რომელმაც უნდა შეიმუშავოს პოლიტიკა და პროცედურები, რომელიც, თავის მხრივ, მოითხოვს საჩივრებისა და ბრალდებების დოკუმენტაციას. ეს პრობლემა მოგვარებულია დოკუმენტაციის პრინციპზე დაფუძნებული მოთხოვნებით.

რატომ არის დოკუმენტაცია მნიშვნელოვანი

დოკუმენტაცია მნიშვნელოვანია ვინაიდან:

- ის ეხმარება პერსონალს ხმს-ის გარკვევაში და რა არის მათგან მოსალოდნელი, რათა მათ შეძლონ გარიგებების, თავიანთი ფუნქციებისა და მოვალეობების შესრულება, რომელიც ფირმის ხმს-ის ეხება.
- ის საპასუხო ზომების დანერგვისა და ამოქმედების საშუალებას იძლევა, ისე, როგორც ფირმას ჰქონდა მიზნად დასახული.
- ის ეხმარება ფირმას შეინარჩუნოს ორგანიზაციული ცოდნა და საფუძვლები, რომლის გამოც ხმს-სთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღო.
- ეს ეხმარება ფირმას შეამოწმოს ხმს და უზრუნველყოს ინფორმაციის მიწოდება, ისე, რომ ხელმძღვანელობამ შეძლოს ხმს-ის შეფასება და დასკვნის გამოტანა.
- ის ფირმისთვის ადგენს ანგარიშვალდებულებას, იმის მტკიცებით, რომ ფირმამ ხმს შეიმუშავა, დანერგა და ამოქმედა ხმს 1-ის და მოქმედი სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესაბამისად.
- ის ეხმარება გარე საზედამხებელო ორგანოებს თავიანთი მოვალეობების შესრულებაში, ე.ი. ფირმის ხმს-ის შემოწმებაში, რაც ფინანსური ანგარიშგების ევოლუციის მნიშვნელოვანი ელემენტია.

ფირმის ხმს შეიძლება შეიცვალოს და განვითარდეს დროთა განმავლობაში. ხმს-ის დოკუმენტაციის შენახვა და მისი შემუშავება შეიძლება მნიშვნელოვანი ფაქტი იყოს, იმის ახსნისთვის, თუ როგორ შემუშავდა იგი დროის გარკვეულ მონაკვეთში. მაგალითად, ხმს-ის დოკუმენტაცია, დროის გარკვეულ მონაკვეთში შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს, როდესაც აუდიტის ჩაყარდნის საფუძველზე ტარდება გამოძიებები.¹⁰

¹⁰ ასს 230, აუდიტის დოკუმენტაცია

დოკუმენტაციის ხასიათი და მოცულობა

ხმსს 1 არ განსაზღვრავს ყველა საკითხს, რომელიც ფირმის მიერ უნდა იყოს დოკუმენტირებული, რადგან დოკუმენტაციის ხასიათი და მოცულობა შეიცვლება მთელი რიგი ფაქტორების შედეგად, მათ შორის, ფირმის სიდიდისა და სირთულის და ასევე ფირმის მიერ დასრულებული გარიგებების ტიპების მიხედვით.

ხმსს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ მოამზადოს დოკუმენტაცია, რათა შემდეგი სამი პრინციპი დააკმაყოფილოს:

პერსონალის მიერ ხარისხის მართვის სისტემის მკაფიო გაგების მხარდაჭერა, მათ შორის, ხარისხის მართვის სისტემის და გარიგებების შესრულებასთან დაკავშირებული როლებისა და პასუხისმგებლობების გაგება.

საპასუხო ზომების თანმიმდევრული დანერგვისა და ფუნქციონირების მხარდაჭერა.

საპასუხო ზომების შემუშავების, დანერგვისა და ფუნქციონირების უზრუნველყოფა, იმ პირობაში, რომ ხარისხის მართვის სისტემის შეფასების მხარდაჭერის მიზნით, რომლებსაც ეკისრებათ ხარისხის მართვის სისტემის საბოლოო პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

ამ პრინციპების გამოყენების გარდა, ხმსს 1 მოითხოვს, რომ ფირმამ მოამზადოს დოკუმენტაცია კონკრეტული საკითხების შესახებ. ეს გულისხმობს ფირმის რისკის შეფასების პროცესთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაციის დოკუმენტირების საჭიროებას:

- ხარისხის მიზნები
- ხარისხის რისკები; და
- საპასუხო ზომების აღწერა და როგორ აღმოფხვრის ფირმის საპასუხო ზომა ხარისხის რისკებს. ხმსს 1-ის გ205 პუნქტი გასცემს რეკომენდაციას, რომ იმ დოკუმენტში, რომელშიც აღწერილია, როგორ აღმოფხვრის ფირმის საპასუხო ზომა ხარისხის რისკებს, ფირმამ შეიძლება ასახოს ხარისხის რისკებისთვის მინიჭებული მოცემული შეფასებების მიზნები (ე.ი., რისკის გამოვლენა და მისი გავლენის განხილვა ერთ ან რამდენიმე ხარისხის მიზნის მიღწევაზე).



ნაკლებად რთულ ფირმას შესაძლოა არ დასჭირდეს გრანულირებული დოკუმენტაცია, როგორცაა მატრიცა, რომელიც აჩვენებს ხარისხის მიზანს, მნიშვნელოვან ხარისხის რისკ(ებ)ს და საპასუხო ზომას აღნიშნული რისკების აღმოსაფხვრელად. სწორედ ეს შეიძლება მოუთხოვდეს თუ როგორ არის ხარისხის რისკები ხარისხის მიზნებთან დაკავშირებული, ან როგორ აღმოფხვრავს საპასუხო ზომები ხარისხის რისკებს. ამ პირობებში, ფირმის დოკუმენტაცია შესაძლოა მოიცავდეს ხარისხის მიზნებისა და ხარისხის რისკების სიას და შემორანდუმს, რომლებიც განმარტავს საპასუხო ზომებსა და იმას, თუ როგორ აღმოფხვრავენ ისინი ხარისხის რისკებს.

ფირმის ხარისხის მართვის სისტემის სირთულის ზრდასთან ერთად შესაძლოა საჭირო იყოს უფრო გრანულირებული დოკუმენტაცია, რომელიც აჩვენებს ხარისხის მიზანს, მნიშვნელოვან ხარისხის რისკ(ებ)ს და მნიშვნელოვან საპასუხო ზომებს ამ ხარისხის რისკების აღმოსაფხვრელად. ეს შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს, როდესაც ხარისხის რისკები და საპასუხო ზომები სირთულეებს ქმნის, იმის გამოვლენაში, თუ რომელი ხარისხის რისკები, რომელ ხარისხის მიზნებს უკავშირდება და რომელი საპასუხო ზომები რომელ ხარისხის რისკებს აღმოფხვრის.



ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკებისა და საპასუხო ზომების დოკუმენტაციის ფორმა და დეტალიზაცია, შესაძლოა დაეხმაროს თირმას ნაკლოვანებების გამოვლენასა და შეფასებაში, მათ შორის, ნაკლოვანებების საწყისი მიზეზ(ებ)ის დადგენაში. კერძოდ, თუკი დოკუმენტაცია გასაგებია, მან შესაძლოა თირმას შესაძლებლობა მისცეს დაადგინოს, საიდან წარმოიშვა ნაკლოვანებები, რა გავლენას ახდენს იგი მნიშვნელოვანი ხარისხის მიზნების მიღწევაზე. თირმამ, ასევე, შესაძლოა განსაზღვროს ნაკლოვანებების სერიოზულობა და ყოვლისმომცველობა და რემედიაციის ღონისძიებები, რომლებიც საჭიროა ნაკლოვანების გამოსასწორებლად.

ქვემოთ მოცემულია ილუსტრაცია იმისა, თუ როგორ შეუძლია თირმას ხარისხის მიზნების, ხარისხის რისკებისა და საპასუხო ზომების დოკუმენტირება. თუმცა, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, დოკუმენტაციის ხასიათი და მოცულობა დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე.

საჭირო დოკუმენტაცია ხმსს 1-ში:	მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მისი დოკუმენტირება
ხარისხის მიზნები <i>შეიტანეთ დოკუმენტაციაში თირმის ხარისხის მიზნები (პუნქტი 58(ბ))</i>	შემუშავებული ხარისხის მიზანი: თირმა გამოხატავს ხარისხისადმი თავდადებას იმ კულტურის საშუალებით, რომელიც თირმაში არსებობს და რომელიც აღიარებს და აძლიერებს: (i) თირმის როლს საზოგადოების ინტერესების დაცვაში, ხარისხის გარიგებების მუდმივი შესრულებით; (ii) პროფესიული ეთიკის, ღირებულებებისა და პოზიციების მნიშვნელობას; (iii) ხარისხის შესახებ პერსონალის პასუხისმგებლობას, რომელიც დაკავშირებულია გარიგებების შესრულებასთან ან ღონისძიებებთან ხარისხის მართვის სისტემის ფარგლებში და მათ მოსალოდნელ მოქმედების კურსთან; და (iv) თირმის სტრატეგიული გადაწყვეტილებებისა და ზომების ხარისხის მნიშვნელობას, მათ შორის, თირმის თინანსურ და ოპერაციულ პრიორიტეტებს.
ხარისხის რისკები <i>დოკუმენტაცია შეიცავს თირმის ხარისხის რისკებს (პუნქტი 58(ბ))</i>	ხარისხის რისკი 1: ხელმძღვანელობის ყოველდღიურმა ქმედებამ და მოქმედების კურსმა შესაძლოა არ ასახოს ხარისხისადმი ერთგულება, რასაც შეიძლება უარყოფითი გავლენა ჰქონდეს თირმის კულტურაზე. <i>შეფასების მიზეზები (ხმსს 1-ის ა205 პუნქტში აღნიშნულია, რომ დოკუმენტაცია შესაძლოა იყოს სასარგებლო (ფორმატი, ტექსტის ფორმულირება და დეტალების დონე თირმის განსჯას ექვემდებარება):</i> იმის გათვალისწინებით, რომ თირმა მცირე ზომისაა, ხელმძღვანელობას რეგულარული ურთიერთკავშირი აქვს თირმის პერსონალთან. მათი პირდაპირი ქმედება და მოქმედების კურსი ძალიან თვალსაჩინოა და ძლიერი გავლენა აქვს თირმის კულტურაზე. ხელმძღვანელობის ქმედებამ და მოქმედების კურსმა, რომელიც არ ასახავს თირმის კულტურას, შესაძლოა სერიოზული გავლენა მოახდინოს თირმის შესაძლებლობაზე, მიაღწიოს თავის მიზანს, ჰქონდეს კულტურა, რომელიც წარმოადგენს ხარისხისადმი თავდადებას. დიდი ალბათობა არსებობს იმისა, რომ ხელმძღვანელობის ქმედება და მოქმედების კურსი მნიშვნელოვნად იმოქმედებს თირმის კულტურაზე.

საჭირო დოკუმენტაცია ხმსს 1-ში:	მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება მისი დოკუმენტირება
საპასუხო ზომები ადწერეთ საპასუხო ზომები და როგორ აღმოფხვრავს ის ხარისხის რისკებს (პუნქტი 58(ბ))	საპასუხო ზომა 1.1: ფირმა პერსონალის ყოველწლიურ ანონიმურ გამოკითხვას ჩაატარებს, ისეთი შეკითხვების დასმით, რომლის მიზანი იქნება ინფორმაციის მოპოვება, იმის შესახებ, თუ რას ფიქრობს პერსონალი, საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, ფირმის კულტურაზე, ღირებულებებსა და ხელმძღვანელობაზე. საპასუხო ზომა 1.2: ხელმძღვანელობას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი წვრთვნა.
საპასუხო ზომები დოკუმენტური დადასტურება საპასუხო ზომების შემუშავების, დანერგვისა და ფუნქციონირების შესახებ (პუნქტი 57(ბ))	საპასუხო ზომა 1.1: გამოკითხვის შედეგები, სავარაუდოდ, დოკუმენტის ფორმას ექნება დართული (მაგ.: ანგარიში გამოკითხვის ჩატარებისთვის გამიზნული ვებგვერდის აპლიკაციიდან). საპასუხო ზომა 1.2: ფირმას შეიძლება ჰქონდეს მტკიცებულება იმისა, რომ ხელმძღვანელობა ახორციელებს წვრთვნას და იღებს ყოველწლიურ უწყავშირს კალენდარის საშუალებით, რომელიც მწვრთნელებსა და ხელმძღვანელობას შორის გამართული შეხვედრებისა და ხელმძღვანელობის ინდივიდუალური განვითარების გეგმების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს.



იმ პირობებში, როდესაც ფირმა იყენებს ქსელის მოთხოვნებს ან მომსახურებას ხარისხის მართვის სისტემაში, ხმსს 1 მოიცავს სპეციფიკურ დოკუმენტაციის მოთხოვნებს.

ქსელის მოთხოვნებსა თუ მომსახურებასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია შეიძლება შეიცვალოს მთელი რიგი ფაქტორების გამო, მათ შორის:

- ქსელის მოთხოვნების ხასიათი ან მომსახურება.
- ქსელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ქსელის მოთხოვნებსა და მომსახურებასთან და რამდენად სავარისია დეტალიზაციის დონე, 58-ე და 59-ე პუნქტების მოთხოვნების შესასრულებლად. თუმცა, ფირმა თავის ხარისხის მართვის სისტემაზე პასუხისმგებელია და, შესაბამისად, დოკუმენტაციაზეც.

ქსელის მოთხოვნასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მაგალითი

ფირმას ქსელისგან მოეთხოვება პოლიტიკის ან პროცედურების (ე.ი., საპასუხო ზომების) ქონა. დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ქსელის მოთხოვნასთან შეიძლება მოიცავდეს:

- ფირმის შეფასებას, ქსელის პოლიტიკის ან პროცედურების შესახებ და საჭიროა თუ არა მისი ადაპტირება ან შევსება იურისდიქციის მოთხოვნებისა და გარემოებების გათვალისწინებით, რათა ხარისხის მართვის სისტემაში გამოყენებისთვის სათანადო იყოს (ასრულებდეს ხმსს 1-ის 59-ე პუნქტს).
- ფირმა მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ შეფასების დოკუმენტირება გააკეთოს ცხრილის ფორმატში, რომელშიც ქსელის მიერ წარმოდგენილი ყველა პოლიტიკა ან პროცედურა იქნება მოცემული და, ასევე, იურისდიქციის გარემოებებთან, კანონსა და რეგულაციებთან დაკავშირებული ვითარებები, რათა ბიძგი მისცეს.

- გულისხმიერ მსჯელობას იმის შესახებ, არის თუ არა პოლიტიკა ან პროცედურები ფირმისთვის სათანადო. პოლიტიკის ან პროცედურების აღწერა (ხმსს 1-ის 58-ე (ბ) პუნქტი).
 - o ფირმა საჭიროდ მიიჩნევს ამის შეტანას ფირმის პოლიტიკის ან პროცედურების სახელმძღვანელოში.
- როგორ აღმოფხვრავს პოლიტიკა ან პროცედურები ხარისხის რისკებს (ხმსს 1-ის 58-ე (ბ) პუნქტი).
 - o ფირმა საჭიროდ მიიჩნევს ამის დოკუმენტაციას, როგორც ფირმის შეფასების ნაწილი, რომელიც განმარტებულია პირველ საინფორმაციო შეტყობინებაში.

აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IAASB) შესახებ

IAASB-ის მიზანია ემსახუროს საზოგადოებრივი ინტერესების დაცვას აუდიტის, მარწმუნებელი და სხვა დაკავშირებული მომსახურების მაღალი დონის სტანდარტების დადგენით და აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების კონვერგენციის ხელშეწყობით, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკის ხარისხისა და ერთგვაროვნების ამაღლებას მთელ მსოფლიოში, ასევე საზოგადოების ნდობის განმტკიცებას აუდიტის და მარწმუნებელი მომსახურების გლობალური პროფესიის მიმართ.

IAASB შეიმუშავებს აუდიტისა და მარწმუნებელი მომსახურების სტანდარტებს და სახელმძღვანელო მითითებებს ყველა პროფესიონალიზდალტრისთვის, სტანდარტების შემუშავების საერთო პროცედურული პროცესის ფარგლებში, რომელშიც ჩართულია საზოგადოებრივი ინტერესების საზედამხედველო საბჭო. საბჭო ზედამხედველობას უწევს IAASB-ისა და IAASB-ის საკონსულტაციო ჯგუფის საქმიანობას, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებას სტანდარტებისა და მითითებების შემუშავებაში.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაცია® ანუ IFAC® ხელს უწყობს იმ სტრუქტურების საქმიანობისა და შესაბამისი პროცესების განხორციელების მხარდაჭერას, რომელსაც ეფუძნება IAASB-ის საქმიანობა. IAASB და IFAC პასუხს არ აგებენ იმ ზარალზე, რომელიც განიცადა პირმა, წინამდებარე გამოცემაში გამოყენებული მასალის საფუძველზე ან მის გაუთვალისწინებლად მოქმედების შედეგად, მიუხედავად იმისა, რითი იყო გამოწვეული ეს ზარალი, დაუდევრობით თუ სხვა მიზეზით.

საავტორო უფლება © 2021 წლის სექტემბერი, ეკუთვნის IFAC-ს. ყველა უფლება დაცულია.

The 'International Auditing and Assurance Standards Board', 'International Standards on Auditing', 'International Standards on Assurance Engagements', 'International Standards on Review Engagements', 'International Standards on Related Services', 'International Standards on Quality Control', 'International Auditing Practice Notes', 'IAASB', 'ISA', 'ISAE', 'ISRE', 'ISRS', 'ISQC', 'IAPN' და ლოგო IAASB IFAC-ის სავაჭრო ნიშნებია, ან IFAC-ის რეგისტრირებული სავაჭრო და მომსახურების ნიშნებია აშშ-სა და სხვა ქვეყნებში.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ permissions ან დაგვიკავშირდეთ permissions@ifac.org.

საავტორო უფლების, სავაჭრო ნიშნებისა და ნებართვის შესახებ ინფორმაციის მისაღებად გთხოვთ მიმართოთ permissions ან დაგვიკავშირდეთ permissions@ifac.org.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) პუბლიკაცია „დანერგვის სახელმძღვანელო – ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 1 – ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“, რომელიც 2021 წლის სექტემბერში ინგლისურ ენაზე გამოსცა International Federation of Accountants (IFAC), ქართულ ენაზე თარგმნა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციამ 2022 წლის მაისში და გამოიქვეყნა IFAC-ის ნებართვით. IFAC-ის პუბლიკაციების დამტკიცებულ ტექსტად მიიჩნევა IFAC-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი. IFAC თავის თავზე არ იღებს არანაირ პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე, ან ქმედებებზე, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს ამ დოკუმენტის გამოყენებას.

„დანერგვის სახელმძღვანელო – ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 1 – ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“, 2021 წლის სექტემბერი, ინგლისურენოვანი ტექსტი © 2021 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„დანერგვის სახელმძღვანელო – ხარისხის მართვის საერთაშორისო სტანდარტი (ხმსს) 1 – ხარისხის მართვა ფირმებისთვის, რომლებიც ასრულებენ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს ან მიმოხილვას, ან სხვა სახის მარწმუნებელი და დაკავშირებული მომსახურების გარიგებებს“, 2021 წლის სექტემბერი, ქართულენოვანი ტექსტი © 2022 წ. IFAC. ყველა უფლება დაცულია.

ორიგინალური ვერსიის სახელწოდება: ISQM 1: First-time implementation guide, September 2021

წინამდებარე დოკუმენტის გამრავლების, შენახვის, ან გადაცემის, ან სხვა ანალოგიური მიზნით გამოყენებისთვის ნებართვის მისაღებად დაგვიკავშირდით: Permissions@ifac.org



International Auditing
and Assurance
Standards Board

529 Fifth Avenue, New York, NY 10017
T + 1 (212) 286-9344 F +1 (212) 286-9570
www.iaasb.org

თარგმნა:

